

178  
1975

საქართველოს  
საბავშვო  
ლიტერატურა

# სახეტთა სამართალი



1941

1945

საქართველოს ავტორიტეტული ჟურნალის გამომცემლობა

1975

3



## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ უ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის სახალაჟო სასამართლოს უაჟინის უნსახეჟ

სასამართლო ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

უეიქმნას თბილისის საქალაქო სასამართლო.

ამის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას წარედგინოს წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 117-ე და 122-ე მუხლებში სათანადო ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოწინიკე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1975 წ. 5 მაისი.



# საბჭოთა სამართალი

# № 3



1975 წელი

მაისი—ივნისი

შურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კრიკორაშვილისა და  
ვახაშვილის სასამართლოს ორგანო  
ორთვიური ჟურნალი

## შინაარსი

საბჭოთა ხალხის უკუდავი გამობრუნება დიდ სამამულო ომში . . . . . 3

### რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციის 70-ე წლისთავისათვის

მ. ჯინჭველაშვილი — იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია . . . . .	6
ვ. პაპიტაშვილი — სამხედრო იუსტიცია და პროკურატურა დიდი სამამულო ომის წლებში	16
გ. ერემოვი — ცვლილებანი საბჭოთა სახელმწიფო აპარატში სამამულო ომის წლებში	27
მ. უგრეხელიძე — ჯერომ პოლის შეხედულება დაუდევრობის დასჯადობაზე და მისი კრიტიკა	39
ს. პაჭკორია — ეთიკური დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან როგორც დანაშაულის თვითშეფასების ელემენტი	51
ი. დოჭვერი — მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის შემოღება დასავლეთ საქართველოში	62
თ. ენუქიძე — ისევ „ქართული სამართლის ძეგლების“ გამოცემის გამო . . . . .	65
დ. ნანობაშვილი — შინაოუსვლელო . . . . .	81

### მოწინავეთა კორტრეზები

ოცდათი წელი სხდომის მდივანად . . . . . 83

### კრიტიკა და ბიბლოგრაფია

გ. დევდარიანი — სასარგებლო წიგნი . . . . .	85
ინფორმაცია . . . . .	91

12799

ქ. შარტავის სსრ სსრ სსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა  
თბილისი



## СОДЕРЖАНИЕ

Бессмертный подвиг советского народа в Великой Отечественной войне . . . . . 3

### К 70-ЛЕТИЮ РУССКОЙ РЕВОЛЮЦИИ 1905 — 1907 гг.

М. Джинчелашвили — Первая народная революция эпохи империализма . . . . .	6
В. Папиташвили — Военная юстиция и военная прокуратура в годы Великой Отечественной войны . . . . .	16
Г. Еремов — Советский государственный аппарат в годы Отечественной войны . . . . .	27
М. Угрехелидзе — Воззрение Джерома Холя на наказуемость небрежности и его критика . . . . .	39
С. Пачкорია — Этическое отношение к совершенному преступлению, как элемент самооценки виновного . . . . .	51
И. Дочвери — Введение регистрации гражданского состояния в Западной Грузии в XIX веке . . . . .	62
Т. Энукидзе — Еще раз об издании «Памятников грузинского права» . . . . .	65
Д. Нанобашвили — Не вернувшийся с войны . . . . .	81

### ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВИКОВ

Секретарь судебного заседания . . . . . 83

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Девдариани — Полезная книга (С. Джорбенадзе. Жилой дом и жилищные права и обязанности граждан) . . . . .	85
Информация . . . . .	91



### სარედაქციო კოლეგია

შეკვ. № 2573  
ტირაჟი 20.950  
უგ 04681

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. შარათაშვილი, თ. ლადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკაძე, ვ. ქვანახია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1975 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესხანოვის პროსპ. 103.

გადაეცა წარმოებას 19/VI-75 წ. ხელმოწერილია დასაბუქდარ 9/VII-75 წ., ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირბითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 საარტიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



## საბჭოთა ხალხის უკვლავი გზიკობა დიდ სამამულო ომში

ჩვენი სამშობლოსა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელები მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ზეიმით აღნიშნავენ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ოცდამეათე წლის-თავს.

თითქმის მესამედი საუკუნე გავიდა ომის დამთავრებიდან. და რაც უფრო მეტი დრო გადის ფაშიზმზე — დემოკრატიისა და პროგრესის ამ ყველაზე უბოროტეს მტერზე ჩვენი გამარჯვების დღიდან, მით უფრო ნათლად და გამოკვეთილად ჩანს უკვდავი გმირობა, რაც გამოიჩინა საბჭოთა ხალხმა ომში, ის გადამწყვეტი როლი, რაც მან შეასრულა მსოფლიო ცივილიზაციის გადარჩენაში. „ფაშიზმზე გამარჯვება — აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის შესახებ“ — მსოფლიო-ისტორიული მოვლენა იყო და უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიოს განვითარების მთელ მსვლელობაზე. მან ცხადყო, რომ სოციალიზმი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ყველაზე საიმედო დასაყრდენია“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ შობილმა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ გაუძლო დიდ გამოცდას და ამ ომში გამარჯვებული გამოვიდა. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდა მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც უადრესად მძიმე პირობებში ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა. ომმა ნათლად გვიჩვენა სოციალისტური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების აშკარა უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების სულსჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია, რომელმაც უნარიანად დარაზმა საბჭოთა ხალხი ვერავი და ძლიერი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, გააერთიანა ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი, ფრონტი და ზურგი, რათა უზრუნველყო ომის ძლევამოსილად დამთავრება. უმოკლეს ვადაში პარტიამ შესძლო მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნა ომის ყაიდაზე, მტრის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიიდან სამრეწველო საწარმოების დიდი უმრავლესობის ევაკუაცია და მათი ამოქმედება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. თუმცა დანაკარგები მძიმე იყო, გეგმიანმა სოციალისტურმა ეკონომიკამ მაინც უზრუნველყო ფრონტი ყველა აუცილებელი შეიარაღებით და სურსათით.

ომში გამარჯვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კანონების, სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვას, უშიშროების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოების შეწყობილ საქმიანობას, სამხედრო იუსტიციისა და პროკურატურის მუშაკთა თავდადებულ შრომას



არმიაში და ფრონტისპირა ზოლის მოსახლეობაში დისციპლინის ყოველმხრივი ამადლებისათვის. ამ ორგანოებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფაშიზმის განადგურებაში, სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში.

ომი ძვირად დაუჯდა მთელ კაცობრიობას. მაგრამ ყველაზე მეტად დაზარალდა საბჭოთა კავშირი, რომელმაც თავის ტიტანურ მხრებზე გადაიტანა ფაშიზმთან ბრძოლის მთელი სიმძიმე. საკმარისია ითქვას, რომ ომმა შეიწირა ოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე. ამასთან ერთად ჩვენი ქვეყანამ დაკარგა თავისი ეროვნული სიმდიდრის თითქმის მესამედი.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა თავდადებული შრომითი შემართებით უმოკლეს ვადაში მოიწუშა ომით მიყენებული ჭრილობები, გეგმიანი ეკონომიკის საფუძველზე უზრუნველყო სახალხო მეურნეობის აღმავლობა, ნანგრევებიდან აღადგინა ფერფლად ქცეული ქალაქები და სოფლები, ააშენა ახალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ომის დამთავრებიდან სამ წელზე უფრო ადრე ჩვენს ქვეყანაში გაუქმდა სასურსათო პროდუქტებზე საბარათო სისტემა, მნიშვნელოვნად ამადლდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონე.

ომის შემდეგ სრულიად შეიცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუქა. აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე აზიის მთელ რიგ ქვეყნებში გაიმარჯვა სახალხო რევოლუციამ, რასაც შედეგად მოჰყვა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმოშობა და სოციალისტური ქვეყნების მსოფლიო სისტემის შექმნა. ძირეულად შეიცვალა მსოფლიოს ასპარეზზე ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ. „ფაშიზმზე გამარჯვებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა, რათა კიდევ უფრო განვითარებულიყო მუშათა მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, გაზრდილიყვნენ და განმტკიცებულიყვნენ კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც მუშათა კლასის და ყველა მშრომელის საქმისათვის ყველაზე აქტიური მებრძოლები არიან. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა“.<sup>1</sup>

კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო, რომლის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია ადამიანებზე ზრუნვა ომისშემდგომ, განსაკუთრებით კი უკანასკნელ ხანს ყველაფერს აკეთებს ომგადახდითა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. მიღებულია დადგენილება, რათა სამამულო ომის ინვალიდები და ყველა მონაწილე, შინმოუსვლელთა ოჯახების წევრები უახლოეს დროში დაკმაყოფილდნენ ბინებით, მოწესრიგდეს და გადიდდეს ომის ინვალიდთა პენსიების ოდენობა, გაეზარდოს პენსიები იმ პირებს, ვინც ომში დაკარგეს მარჩენალი.

იუსტიციისა და პროკურატურის ორგანოების მუშაკების წმიდათაწმიდა ვალია თვალყური ადევნონ თუ როგორ სრულდება კანონმდებლობა, რომელიც

<sup>1</sup> სკვპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისათვის“, გზებით „კომუნისტი“, 1975 წლის 9 თებერვალი.



ითვალისწინებს შედეგათებს ომის მონაწილეთათვის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მითითება, რომ „ისტორიული ბრძოლების ვეტერანების პატივისცემა, მათზე ზრუნვა — ჩვენი ცხოვრების ეს ზნეობრივი კანონი, ასევე კანონია ხელისუფლების ორგანოებისათვისაც და თვითეული მოქალაქისთვისაც“.<sup>2</sup>

დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭინაურების ყველანაირ გამოვლენას ვის მიმართაც არ უნდა იყოს მიმართული იგი, განსაკუთრებით კი თუ ამას ადგილი აქვს ომგადახდილი პირის მიმართ, იმათი ოჯახებს წევრების მიმართ, ვინც ჭედდა მტერზე გამარჯვებას და ველარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას.

დევიზი — „არავინ არ არის დავიწყებული, არაფერი არ არის დავიწყებული“ — სავალდებულოა ყველა იმ უწყებისათვის, რომელიც ემსახურება ომის მონაწილეთა საჭიროებებს. პროკურატურის ორგანოებმა სისტემატურად უნდა შეამოწმონ როგორ ასრულებს ესა თუ ის უწყება თუ თანამდებობის პირი თავის მოვალეობას, ყოფილი მეომრებისა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ. ამას გვავალებს იმათი ხსოვნაც, ვინც დაიღუპა ომში.

სამი ათეული წელი გავიდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებიდან. მშვიდობა საბჭოთა სახელმწიფოს ძვირად დაუჯდა და მან იცის კიდევ მისი ფასი. აი რატომ არის, რომ ისევე როგორც ომამდე, ომის შემდგომაც საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის, დაუღალავად იღვწის, რათა ხალხები მშვიდობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ცხოვრობდნენ.

მშვიდობისათვის თავდადებულად იბრძვის ყველა კონტინენტის და ყველა რასის მილიონობით ადამიანი, რომლებისათვისაც მშვიდობა სანუკვარ სიტყვად იქცა. საბჭოთა ხალხის გმირობა და თავდადება დიდ სამამულო ომში მოგვიწოდებს ყოველმხრივ გავუფრთხილდეთ მშვიდობას.

ჩვენი დიადი ქვეყანა არასოდეს ყოფილა ასეთი მძლავრი, ხოლო მისი ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე ესოდენ დიდი. ეს იმის გარანტიაა, რომ მშვიდობა შენარჩუნებულ იქნება.

<sup>2</sup> სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებ-





## იმაპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია

მ. ჯინჯვალაშვილი

70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწყო რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია — იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია, რომელმაც, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის 70-ე წლისთავის შესახებ“ არის აღნიშნული, „ცხადყო, რომ დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდი, პოლიტიკური ძვრებისა და რევოლუციური ბრძოლების პერიოდი“. ვ. ი. ლენინმა მას უწოდა უდიდესი პროლეტარული მოძრაობა პარიზის კომუნის შემდეგ, 1917 წლის ძლევაშემოსილი ოქტომბრის „გენერალური რეპეტიცია“. თუმცა რევოლუცია დამარცხდა, მას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ჩვეულების ისტორიული ბედისათვის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მუშათა და რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. რუსეთის მუშათა კლასმა და მშრომელმა მასებმა რევოლუციური მარქსისტული პარტიის ხელმძღვანელობით პირველად გაილაშქრეს თვითმპყრობელობის, მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობის დემოკრატიზაციისათვის, ახალი ცხოვრების შექმნისათვის.

ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას 1905-1907 წლების რევოლუციის იუბილეს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის 70-ე წლისთავი აღინიშნოს, როგორც ლენინური პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღი. ამ დიად ისტორულ თარიღს საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად აღნიშნავს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

\* \* \*

1905-1907 წლების რევოლუცია მრავალი წლის მანძილზე მწიფდებოდა. ამის საფუძველს იძლეოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მთელი მსვლელობა. რევოლუციის გარდუვალობას უკვე შეიცავდა პირველი ბურჟუაზიული რეფორმის — 1861 წელს გლეხთა ყბადაღებულის „განთავისუფლების“ ბატონყმური ხასიათი და მის შედეგად წარმოშობილი სოციალურ-ეკონომიური ანტაგონიზმები. 1861 წელმა, წერდა ვ. ი. ლენინი, შვა 1905 წელი. საქმე ის იყო, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა კაპიტალიზმი, ყალიბდებოდა და ირანზემბოდა მუშათა კლასი, მტკიცდებოდა მისი კლასობრივი თვითშეგნება. ამასთანავე რუსეთი კვლავ რჩებოდა ისეთ ქვეყნად, სადაც ძლიერი იყო ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთები. ქვეყნის მაღალ განვითარებული კაპიტალიზმი გადანასკვული იყო ბატონყმობის გადმონაშთებთან ეკონომიკასა და პოლიტიკურ წყობილებაში. აი ასეთი თავისებურებით ხასიათდებოდა იმპერიალიზმი რუსეთში,



რომელსაც იგი დაადგა XX საუკუნის დამდეგს. ამდენად, რუსეთი გახდა იმპერიალიზმის მთელი სისტემის წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი, მისი ყველაზე სუსტი რგოლი. მსოფლიო რევოლუციის მოძრაობის ცენტრმა აქ გადმოინაცვლა და ყოველივე ეს განსაზღვრული იყო რუსეთის განვითარების ისტორიული პირობებით, მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით. „...ყველაზე ჩამორჩენილი მიწათმფლობელობა, ყველაზე გავლურებული სოფელი — ყველაზე მოწინავე სამრეწველო და ფინანსური კაპიტალიზმი“ — ასე ახასიათებდა მაშინდელ რუსეთს ვ. ი. ლენინი.<sup>1</sup> 30 ათასი მემამულე მეფის ოჯახის მეთაურობით მიწების იმდენივე რაოდენობას ფლობდა, რასაც 10,5 მილიონი გლეხი. ერთი მუჭა მემამულეები დაკავშირებული იყვნენ უმსხვილეს ფინანსურ-სამრეწველო მაგნატებთან. მუშები და გლეხები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს, ცარიზმის პოლიციური-პროკურატორულ მანქანის ჩაგვრას განიცდიდნენ. უკიდურესად მძიმე იყო არარუსი ეროვნების მშრომელთა მდგომარეობა, მათ მიმართ ტარდებოდა ძალდატანებითი გარუსების, უხეში ჩაგვრის, ეროვნული კულტურის დათრგუნვის პოლიტიკა.

რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების და ხალხის მასების სასიცოცხლო ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვდა, უწინარეს ყოვლისა, მემამულეთა ბატონობისა და მეფის მონარქიის მოსპობას. ამ ისტორიული ამოცანების გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახალხო რევოლუციის გზით. 900-იანი წლების დასაწყისში რუსეთში სწრაფად მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია. პროლეტარიატი აწყობდა მძლავრ რევოლუციურ გამოსვლებს, იზრდებოდა გლეხთა გამოსვლები. რევოლუციის მოახლოებას მკვეთრად შეუწყო ხელი 1900-1903 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა, რომელმაც მოიცვა აგრეთვე მეფის რუსეთიც. ჩვენი ქვეყნის ხალხს ახალი უბედურება დაატება თავს რუსეთ-იაპონიის ომმა, რომელიც 1904 წლის იანვარში დაიწყო. ამ ომმა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა წინააღმდეგობა გაამწვავა და რევოლუციური ამბები დააჩქარა. „ომი ის უკანასკნელი წვეთი იყო, რომელმაც ხალხის მოთმინების ფიალა აავსო. ქვეყანაში რევოლუციური კრიზისი მომწიფდა“<sup>2</sup>, 1902-1904 წლებში ქვეყანაში იმართებოდა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლის ავანგარდში იყო პროლეტარიატი და რომელსაც ჰყავდა საკუთარი რევოლუციური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით. 1904 წლის დეკემბერში მძლავრი გაფიცვა მოაწყო ბაქოს პროლეტარიატმა, რომელსაც ბოლშევიკური კომიტეტი ხელმძღვანელობდა. გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა. ამან სოლიდარობის გაფიცვები გამოიწვია ქვეყნის ბევრ ქალაქში. მუშათა კლასის საგაფიცვო ბრძოლის აღმავლობა რევოლუციის მოახლოების მომასწავებელი გახდა. 1905 წლის დამდეგიდან დაიწყო რევოლუციის მძლავრი აღმავლობა. რევოლუციამ ყველა კლასი აამოძრავა. პროლეტარიატმა ეკონომიური გაფიცვებიდან გადასვლა იწყო მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე. ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა გლეხთა მოძრაობა, აჯანყებები ხდებოდა მეფის არმიის ცალკეულ ნაწილებშიც, გაჩაღდა სტუდენტთა მოძრაობა. „ქარიშხალი! მალე დაიგრგვინებს ქარიშხალი!“ — ასეთი წინასწარმეტყველური სიტყვებით გამოხატა

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, ობზ., ტ. 16, გვ. 417.

<sup>2</sup> სკკპ ისტორია, გვ. 107, 1972 წ. გამოც.



მაქსიმ გორკიმ ლექსში — „სიმღერა ქარიშხალაზე“ — რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილის განწყობილება პირველი რევოლუციის წინ. 1905 წლის რევოლუციის პირველი დღის — 9 იანვრის „სისხლიანმა კვირამ“ მთელი მშრომელი რუსეთი შეძრა. იმ დღეს პეტერბურგის 150 ათასი მუშა, რომელთა შორის ბევრი ქალი და ბავშვი იყო, ხატებითა და საეკლესიო დროშებით ხელში გაემართა ზამთრის სასახლისაკენ, რათა მეფისათვის თავისი პეტიცია გადაეცა.

„...ჩვენ ბედკრულნი, შეგინებული მონები, — ნათქვამი იყო პეტიციაში, — ჩვენ დათრგუნვილი ვართ დესპოტიზმითა და თვითნებობით... ჩვენ აქ მყოფთ, მრავალ ათას, ისევე როგორც მთელ რუს ხალხს, არ გავგანჩნია არავითარი ადამიანური უფლებები... ხელმწიფეო, ნუ ეტყვიან უარს დახმარებაზე შენს ხალხს! დაახვრიე შენსა და შენს ხალხს შორის აღმართული კედელი! ბრძანე და შემოგვფიცე, რომ შესრულდება ჩვენი თხოვნა და შენ რუსეთს გახლდი ბედნიერს; თუ არა, მაშინ მზად ვართ აქვე დავიხრცოთ, ჩვენ მხოლოდ ორი გზა გვაქვს: თავისუფლება და ბედნიერება, ან სამარე“. მეფემ მშვიდობიანი დემონსტრაციის უმოწყალო დახვრეტა ბრძანა. 1000-ზე მეტი მოკლული და 5 ათასამდე დაჭრილი — ასეთი იყო მეფის „წყალობის“ შედეგი. მეფისადმი გულუბრყვილო რწმენა ფერფლივით გაიფანტა. თვით ყველაზე ჩამორჩენილმა ადამიანებმაც კი შეიგნეს: თავისუფლება, მხოლოდ მედგარი ბრძოლით მოიპოვება. მთელს ქვეყანას გადაუარა მრისხანე მოწოდებამ — „ძირს თვითმპყრობელობა“. ასე ჩაება რუსეთი რევოლუციაში, რომელიც ორწელიწადნახევარს გრძელდებოდა. მასების რევოლუციურ ბრძოლაში ჩაბმის მთავარ საშუალებად იქცა მასობრივი ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვები. 1905 წლის უკვე პირველი სამი თვის მანძილზე პოლიტიკურ გაფიცვებში მონაწილეობდა 810 ათასზე მეტი, მთელი წლის მანძილზე კი — დაახლოებით სამ მილიონზე მეტი მუშა. საგაფიცვო მოძრაობა სწრაფად ვრცელდებოდა მთელ რუსეთში. საპირველმაისო პოლიტიკური გაფიცვები თითქმის 200 ქალაქში გაიმართა. განსაკუთრებით შეუპოვარი და ორგანიზებული იყო გაფიცვები დიდ სამრეწველო ცენტრებში — პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში, ლოძში, რიგაში, ბაქოში, კიევში, თბილისში, ყაზანში, ტულაში, ტომსკსა და სხვა ქალაქებში, რომელთა მონაწილეებმა არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერეს რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის ისტორიაში.

პროლეტარიატის ბრძოლა გამარევოლუციონერებელ გავლენას ახდენდა გლეხობაზე, არმიაზე. ერთი წლის განმავლობაში მოხდა 3.200-ზე მეტი გლეხთა გამოსვლა; 1905-1906 წლებში არმიასა და ფლოტში მოხდა 435-ზე მეტი გამოსვლა, მათ შორის 106 შეიარაღებული. ირყეოდა თვითმპყრობელობის შეიარაღებული დასაყრდენი.

პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლის უმაღლეს წერტილს წარმოადგენდა 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. მისი ლოზუნგი იყო: „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს საყოველთაო სახალხო აჯანყებას!“ მოსკოვის ოქტომბრის გაფიცვა მთელი ქვეყნის პროლეტარიატის მძლავრ პოლიტიკურ გამოსვლად გადაიქცა. გაფიცულთა რიცხვმა ორ მილიონს გადააჭარბა. სრულიად რუსეთის ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ მთელი დამაჯერებლობით დაგვანახვა ბოლშევიკების პარტიის კავშირი ხალხის მასებთან და ბოლშევიკური ლოზუნგების ცხოველუნარიანობა. ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ უშუალოდ მიიყვანა მუშათა კლასი ბრძოლის უმაღლეს



ფორმამდე — შეიარაღებულ აჯანყებამდე. რევოლუციის მწვერვალი, როგორც ლენინი აღნიშნავდა, იყო მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება. მოსკოვის პროლეტარიატმა პირველმა აღმართა შეიარაღებული აჯანყების დროშა ცარიზმის წინააღმდეგ. მოსკოვის ქუჩებში გაიმართა მუშათა გმირული შეიარაღებული ბრძოლა მეფის მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. მსოფლიო ისტორიაში პირველად იქნა მიღწეული რევოლუციური ბრძოლის განვითარების ისეთი სიმაღლე და ძალა, როდესაც შეიარაღებული აჯანყება მასობრივ გაფიცვასთან შეერთებული სახით ტარდებოდა. მოსკოვის მოყოლებით შეიარაღებული აჯანყებები მოხდა ქვეყნის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

რუსეთის მუშათა კლასის გამოსვლების გავლენით რევოლუციის ძალები ამოძრავდა განაპირა მხარეებში, მათ შორის საქართველოშიც. 1905 წლის 18 იანვარს თბილისში დაიწყო მუშათა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. პირველნი გამოვიდნენ რკინიგზის სახელოსნოების მუშები, ხოლო 19 და 20 იანვარს გაფიცვა ქალაქის ყველა საწარმოს მოედო. 23 იანვარს თბილისში გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე გაიმართა ხალხმრავალი დემონსტრაცია ლოზუნგით: „ძირს თვითმპყრობელობა!“, რომელიც პოლიციასთან სისხლისმღვრელი შეტაკებით დამთავრდა. 17 იანვარს დაიწყო და 26-მდე გრძელდებოდა გაფიცვები ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ჭიათურაში, ფოთში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში. მუშათა რევოლუციური მოძრაობის უშუალო ზეგავლენით დაიწყო გლეხთა გამოსვლებიც. საქართველოს ბოლშევიკები, განუხრელად ახორციელებდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებს, ენერგიულად იბრძოდნენ იმისათვის, რომ მშრომელთა საყოველთაო გაფიცვები თავისი განვითარების პროცესში გადაზრდილიყო ძლევამოსილ შეიარაღებულ აჯანყებად. მაგრამ მუშათა და გლეხთა აჯანყებანი საქართველოში ცარიზმმა არააღმიაწერი სისასტიკით ჩაახშო. ვ. ი. ლენინი მალალ შეფასებას აძლევდა კავკასიის ხალხების ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. იგი კავკასიას აკუთვნებდა ისეთ მოწინავე მხარეთა რიცხვს, „სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლად გამოხატული“.<sup>3</sup>

რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია ჭეშმარიტად სახალხო რევოლუცია იყო, რადგან მისი მსვლელობისას მშრომელთა ყველაზე ფართო მასები გამოდიოდნენ თავიანთი მოთხოვნებით, ქმნიდნენ საკუთარ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, აქტიურად ებრძოდნენ მეფის ხელისუფლებას. ამასთან ბოლშევიკების პარტიას რევოლუციის პირველი დღეებიდანვე კურსი ჰქონდა აღებული ყველა მემარცხენე, დემოკრატიული ძალების მოქმედების ერთიანობისაკენ, გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ნაკადის: მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცებისა და მატროსების, მოწინავე ინტელიგენციის. დამონებული ხალხის ბრძოლის შეერთებისაკენ. ბოლშევიკების ამ ტაქტიკამ, რომელსაც ამჟამად წარმატებით იყენებენ მთელი მსოფლიოს კომუნისტები, მიიღო სახელწოდება „მემარცხენეთა“ ბლოკი.

ხელმძღვანელობდა რა რევოლუციურ ბრძოლას, ბოლშევიკების პარტია ეყრდნობოდა ვ. ი. ლენინის იმ მითითებას, რომ ცარიზმის დამხობა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც მიუძღვის ქვეყნის ყველა ერისა და ეროვ-

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 127.



ნების მშრომელთა მასებს. რევოლუციის სწრაფი აღმავლობის პერიოდში მუშათა რევოლუციური შემოქმედების შედეგად წარმოიშვა ისტორიაში მანამდე არნახული მშრომელთა მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციები — მუშათა დეპუტატების, ხოლო მათ შემდეგ — გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. მაშინ სულ 55 საბჭო შეიქმნა, რომელთაგან 44 საბჭოს ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ ან მათი გავლენის ქვეშ იყვნენ, 10-ს ხელმძღვანელობდნენ მენშევიკები, ხოლო ერთს — ესერები. ბოლშევიკების პეტაურობით საბჭოები შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და განხორციელების მებრძოლ შტაბებად იქცნენ; მენშევიკები კი საბჭოებს უყურებდნენ მხოლოდ როგორც საგაფიცვო კომიტეტებს. აღმოცენდნენ რა როგორც საგაფიცვო ორგანოები, საბჭოები შემდეგ რევოლუციური ხელისუფლების, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ორგანოებად იქცნენ. ვ. ი. ლენინმა შორსმჭვრეტელურად დაინახა მათში საბჭოთა ხელისუფლების პირველი სახე, პროლეტარიატის დიქტატურის კლასობრივი ფორმა. ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში „ჩვენი ამოცანები და მუშათა დეპუტატების საბჭო (წერილი რედაქციას)“, რომელიც 1905 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში დაწერა, თეორიულად დაამუშავა საბჭოების საკითხი. მან, გულდასმით შეისწავლა და ანალიზი გაუკეთა რა მუშათა დეპუტატების საბჭოების მოღვაწეობას, მათს ყოველდღიურ საქმიანობას, პერსპექტივას, გააკეთა სწორი დასკვნები: მუშათა დეპუტატების საბჭოებს, აღნიშნავდა დიდი ბელადი, პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა ვუყურებდეთ როგორც დროებითი რევოლუციური მთავრობის ჩანასახს, როგორც შეიარაღებული აჯანყების ორგანოს, ახალი რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს.

ისტორიამ ცხადყო დიდი ლენინის ამ დასკვნების ჭეშმარიტება. 1917 წლის დიდმა ოქტომბერმა, სსრ კავშირის ისტორიულმა გამოცდილებამ. მძლიანად და სავსებით დაადასტურეს საბჭოების შესახებ ლენინური მოძღვრების ცხოველყოფელი ძალა. 1905 წლის საბჭოები, რომლებიც მუშათა კლასის უდიდეს ისტორიულ მონაპოვარს წარმოადგენდნენ, 1917 წელს დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების პირველ სახედ იქცნენ, ხოლო დღეს ისინი ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენენ ხელისუფლების ყველაზე მასობრივ, ჭეშმარიტად სახალხო ორგანოებს, რომლებიც ნამდვილი დემოკრატიის გამოძახატველნი არიან.

1905-1907 წლების რევოლუციამ აამოძრავა რუსეთის არამარტო ყველა კლასი, არამედ აგრეთვე მათი პარტიები. რუსეთის სახალხო რევოლუცია ბოლშევიკური პარტიისაგან მოითხოვდა მასების რევოლუციური მოძრაობისადმი სწორ და მტკიცე პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, სოციალ-დემოკრატიის ერთიანი მარქსისტული ტაქტიკის შემუშავებას. მაგრამ იმ დროს მენშევიკთა ოპორტუნისტული და დეზორგანიზატორული მოქმედების შედეგად რსდმპ გათიშული იყო ორ ფრაქციად: ბოლშევიკებად და მენშევიკებად; პარტია განიცდიდა ღრმა კრიზისს, რომლის საფუძველს, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, შეადგენდა ის, რომ „II ყრილობის უმცირესობას დაჟინებით არ სურდა დამორჩილებოდა მის უმრავლესობას“.<sup>4</sup> მენშევიკებმა თავიანთ უთანხმოებას პარტიის ლენინურ უმრავლესობასთან ორგანიზაციულ საკითხში დაუმატეს ახალი უთანხმოება ტაქტიკის საკითხებში. ბოლშევიკები და მენშევიკები სხვადასხვანაირად აფასებდნენ რევოლუციის ხასიათს, მის მიმოდრავებელ ძალებს

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 521.



და პროლეტარიატის ამოცანებს რევოლუციაში. მათ სხვადასხვა გეზი ჰქონდათ პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებში. ამრიგად, სოციალ-დემოკრატიის ერთიანი ტაქტიკა არ არსებობდა.

რსდმპ პარტიის შიგნით შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლას ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკები პარტიის III ყრილობის მოწვევაში ხელდავდნენ; ყრილობას ბოლო უნდა მოეღო მენშევიკების ოპორტუნისმიისათვის ტაქტიკურ საკითხებში და გამოემუშავებინა პარტიის ერთიანი ტაქტიკა დაწყებულ რევოლუციაში. რსდმპ III ყრილობამ, რომელმაც ძირითადად განიხილა ტაქტიკური საკითხები, გაიმართა 1905 წლის აპრილში ქ. ლონდონში, მოისმინა ვ. ი. ლენინის მოხსენებები. ყრილობამ განსაზღვრა პროლეტარიატის, როგორც რევოლუციის ბელადის, ამოცანები და დასახა პარტიის სტრატეგიული გეგმა და ტაქტიკური ხაზი რევოლუციის პირველ ეტაპზე, რომლის მიხედვით პროლეტარიატმა მთელ გლეხობასთან კავშირში, ბურჟუაზიის იზოლაციის პირობებში უნდა იბრძოლოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის.

III ყრილობის გადაწყვეტილებები რუსეთში პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობამ მიიღო როგორც დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების საბრძოლო პროგრამა.

ბოლშევიკურ ტაქტიკას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის მოძღვრება რუსეთის პირველი რევოლუციის თავისებურებებისა და ხასიათის შესახებ, როცელთა სრული დასაბუთება შემდეგში მან მოგვცა თავის წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, რომელიც 1905 წლის ივლისში გამოვიდა. ვ. ი. ლენინმა ამ ნაშრომში მარქსიზმის ისტორიაში პირველად დაამუშავა იმპერიალიზმის ეპოქაში რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის თავისებურება, მისი მამოძრავებელი ძალებისა და პერსპექტივების საკითხები, გაარკვია შეიარაღებული აჯანყების მნიშვნელობა თვითმპყრობელობის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების საქმეში და შეიმუშავა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის თეორია; მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მენშევიკების ოპორტუნისტული დებულებები პარტიის თეორიის, სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებზე რევოლუციაში.

ვ. ი. ლენინის განმარტებით რუსეთის პირველი რევოლუცია თავისი ხასიათითა და ამოცანებით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, მის უშუალო ამოცანას შეადგენდა ცარიზმის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება, მემამულეთა მიწების კონფისკაცია. დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან განსხვავებით რუსეთის რევოლუცია ნამდვილი სახალხო, პროლეტარული იყო, მასში მთავარ მამოძრავებელ ძალად და ბელადად ბურჟუაზია კი არ გამოდიოდა, არამედ პროლეტარიატი. რაც შეეხება ბურჟუაზიას, იგი უკვე აღარ თამაშობდა რევოლუციურ როლს და რეაქციულ ძალად გადაიქცა. მას არ სურდა და არც შეეძლო რევოლუცია ცარიზმზე გამარჯვებამდე მიეყვანა, პროლეტარიატის უფრო მეტად ეშინოდა ვიდრე ცარიზმისა.

1905-1907 წლების რევოლუციის მნიშვნელოვანი ნიშანთვისება ისიც იყო, რომ იგი პროლეტარულ რევოლუციასთან ერთად წარმოადგენდა გლეხურ რე-



ვოლუციას, რამდენადაც მის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მემანუალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია.

მაშასადამე, რევოლუციის გამარჯვებით, ცარიზმის დამხობით, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი. დაინტერესებულნი იყვნენ მხოლოდ მუშათა კლასი და გლეხობა. სწორედ ისინი შეადგენდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალას. „პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი (ჰეგემონია), გლეხობის გადაქცევა ბურჟუაზიის რეზერვდან პროლეტარიატის რეზერვად — ასეთია ახალი, იმპერიალისტური ეპოქის დემოკრატიული რევოლუციების ძირეული განსხვავება მონოპოლისტურადელი კაპიტალიზმის ეპოქის რევოლუციებისაგან“<sup>5</sup>. სულ სხვა შეხედულებისა იყვნენ რევოლუციის საკითხში მენშევიკები. ისინი არასწორად უდგებოდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის ხასიათის გაგებას, გამოჰქონდათ მხოლოდ ბურჟუაზიისათვის სასურველი დასკვნები. მენშევიკები უარყოფდნენ პროლეტარიატის ჰეგემონიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, ასევე უგულებელყოფდნენ გლეხობის რევოლუციურ როლს. ისინი ამტკიცებდნენ — რაკი რევოლუცია ბურჟუაზიულია, მისი ხელმძღვანელიც ბურჟუაზია უნდა იყოსო. აკრიტიკებდა რა მენშევიკების შეხედულებებს, ვ. ი. ლენინი წერდა: „ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვება ჩვენში შეუძლებელია, როგორც ბურჟუაზიის გამარჯვება. ეს პარადოქსად ჩანს, მაგრამ ეს ფაქტია. გლეხი მოსახლეობის სიჭარბე, მისი საშინელი დაბეჩავება (ნახევრადბატონყმური) მსხვილი მიწათმფლობელობით, უკვე სოციალისტურ პარტიად დარაზმული პროლეტარიატის ძალა და შეგნებულობა, — ყველა ეს გარემოება თავისებურ ხასიათს აძლევს ჩვენს ბურჟუაზიულ რევოლუციას... ეს თავისებურება მხოლოდ განაპირობებს ჩვენი ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ხასიათს და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის აუცილებლობას ასეთ რევოლუციაში გამარჯვებისათვის“<sup>6</sup>.

ბოლშევიკები შეადგენდნენ ერთადერთ პარტიას, რომელსაც გააჩნდა მოქმედების მკაფიო პროგრამა, რომელიც შემუშავებული და მეცნიერულად დასაბუთებული იყო ვ. ი. ლენინის მიერ. მესამე ყრილობის რეზოლუციაში, ვ. ი. ლენინის ამ პერიოდის ნაშრომებში განვითარებული იყო პროლეტარიატის ჰეგემონის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეა, ნაჩვენები იყო მონარქიის დამხობისათვის ბრძოლის გზები და საშუალებები, მათში დამტკიცებული იყო, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამ, რომელშიც მთავარ მამოძრავებელ ძალად პროლეტარიატი გამოდის, უნდა გამოიწვიოს არა ბურჟუაზიული ხელისუფლების, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარება: „რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება ცარიზმზე“ — ეს არის, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა... ასეთი გამარჯვების მნიშვნელობა გიგანტური იქნება როგორც რუსეთის, ისეთი მთელი მსოფლიოს მომავალი განვითარებისათვის“<sup>7</sup>. ვ. ი. ლენინმა ამავე დროს ბოლშევიკების პარტია შეაიარაღა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის გენიალური თეორიით. რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის

<sup>5</sup> „რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები)“, გვ. 7.

<sup>6</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 53—54.

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 53—54.



ლენინი თვლიდა სოციალისტური რევოლუციის პროლოგად. ეს იმას ნიშნავდა, რომ დემოკრატიული ამოცანების განხორციელების შედეგად უნდა დაწყებულიყო პროლეტარიატის ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის. „პროლეტარიატმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ბოლომდე უნდა გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება, შეიერთოს გლეხობის მასა, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და გააქარწყლოს ბურჟუაზიის მერყეობა. პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, შეიერთოს მოსახლეობის ნახევრადპროლეტარული ელემენტების მასა, რათა ძალით გატეხოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და გააქარწყლოს გლეხობისა და წვრილბურჟუაზიის მერყეობა... ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომხრენი ვართ. შუა გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით“<sup>8</sup>.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისა და მისი სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ერთ-ერთ მთავარ პირობად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა არსებობა მარქსისტული პარტიისა, რომელიც პროლეტარიატის ბრძოლას იდეურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას გაუწევდა, ურომლისოდაც მუშათა კლასი ვერ შეასრულებდა რევოლუციაში ჰეგემონიის როლს. ყველა ეს ლენინური დასკვნები და თეორიული დებულებები ახალი წვლილი იყო პროლეტარიატის გამანთავისუფლებელი მოძრაობის თეორიასა და პრაქტიკაში.

1905—1907 წლების რევოლუციამ ვერ გაიმარჯვა. მისი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი იყოს ის, რომ ჯერ კიდევ საკმარისად მტკიცე არ იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, გლეხები უადრესად დაქსაქსულად და არაორგანიზებულად მოქმედებდნენ, ვერ შეძლეს ერთსულოვნად დაეჭირათ მხარი მუშებისათვის ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში. არმიაც, რომელიც ძირითადად გლეხებისაგან შედგებოდა, არასაკმარისად იყო გაქვინთილი რევოლუციური განწყობილებით; არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ რსდმპ იმ მომენტში გათიშული აღმოჩნდა ორ ფრაქციად — ბოლშევიკებად და მენშევიკებად. ბოლშევიკები თანმიმდევრულ რევოლუციურ ხაზს ატარებდნენ, მენშევიკები კი მოქმედებდნენ როგორც ბურჟუაზიის აგენტურა მუშათა მოძრაობაში. ყველა ამ გარემოებათა გამო პროლეტარიატმა ვერ შეძლო ბოლომდე შეესრულებინა რევოლუციის ჰეგემონიის როლი და გამარჯვებამდე მიეყვანა იგი.

დამარცხების მიუხედავად 1905—1907 წლების რუსეთის რევოლუციამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა. იგი მთელ ისტორიულ ხანას წარმოადგენს, როგორც რუსეთის, ისე მსოფლიოს ხალხთა განვითარების ისტორიაში: მასში პირველად გამოვიდნენ აშკარად ჩვენი ქვეყნის ყველა კლასი და პარტია, მათი პროგრამული და ტაქტიკური შეხედულებანი მოწმდებოდა მასების მოქმედებით. რევოლუციის პროცესში გამოიკადა ბრძოლის უადრესად სხვადასხვანაირი ფორმები — პარლამენტური და არაპარლამენტური, ლეგალური და არალეგალური, გაფიცვები და შეიარაღებული აჯანყებანი. „ამ პერიოდის ყოველი თვე — წერდა ვ. ი. ლენინი, — როგორც მასების, ისე ბელადებისათვის, როგორც კლასების, ისე პარტიებისათვის — პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლების სწავლების თვალსაზრისით „მშვიდობიანი“ „კონსტიტუციური“ განვითარების წელიწადს უდრიდა. 1905 წლის გენერალური რეპეტი-

<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 110, 286.



ცია“ რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა<sup>9</sup>.

რუსეთის პირველ რევოლუციაში „ხალხის მასა, მისი უმრავლესობა, საზოგადოების უღრმესი „ქვედა ფენები“, ჩაგვრითა და ექსპლოატაციით გასრესილნი, დამოუკიდებლად დგებოდნენ ფეხზე. მათ რევოლუციის მთელ მსვლელობას დასვეს ბეჭედი თ ა ვ ი ა ნ თ ი მოთხოვნებისა, თ ა ვ ი ა ნ თ ი ცღებისა — თავისებურად აეშენებინათ ახალი საზოგადოება, ძველი საზოგადოების ნაცვლად, რომელსაც ისინი ანგრევდნენ“.<sup>10</sup>

1905—1907 წლების რევოლუციამ ბრწყინვალედ დაადასტურა ის დასკვნები და განზოგადებანი, სტრატეგიული და ტაქტიკური დებულებანი, რომლებიც მოგვცა ვ. ი. ლენინმა. ლენინური მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონის შესახებ, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის შესახებ, რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შესახებ, სხვა კლასებთან და პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ, რევოლუციის აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდებში პროლეტარული პარტიის ტაქტიკის შესახებ, ამბობდა ანხ. ლ. ი. ბრეჟნევი, ყოველივე ეს ამჟამადაც შეადგენდა ბოლშევიკური ტაქტიკის ნიმუშს ყველასათვის, ვისაც ჯერ კიდევ მოუწევს ექსპლოატატორული წყობილების დამხობა.

ბოლშევიკების პარტია რევოლუციიდან გამოვიდა ისტორიული გამოცდილებით გამდიდრებული ოპორტუნისმთან ბრძოლაში, რომელიც ხელს უშლიდა მუშათა მოძრაობას და ცდილობდა იგი ბურჟუაზიის მიზნებისათვის დაექვემდებარებინა, რევოლუციური გზიდან რეფორმისტულ გზაზე გადაეხვევიებინა. იგი მუშათა კლასის აღიარებული ბელადი გახდა. „1905 წლის გაზაფხულზე, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენი პარტია არალეგალური წრეების კავშირს წარმოადგენდა; შემოდგომაზე კი იგი მილიონობით პროლეტარიატის პარტიად იქცა“.<sup>11</sup>

1905—1907 წლების რუსეთის პირველ სახალხო რევოლუციას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის პარიზის კომუნის მემბოხე სულისკვეთების აღორძინება იყო. მან მძლავრი ბიძგი მისცა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში მუშათა მოძრაობას, სერიოზული დარტყმა მიაყენა იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას; მისი გავლენით დაიწყო დემოკრატიული რევოლუციები ირანში, თურქეთში, ჩინეთში და სხვა ქვეყნებში. „მსოფლიო კაპიტალიზმმა და რუსეთის 1905 წლის მოძრაობამ — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — საბოლოოდ გამოადვიძეს აზია. ასეული მილიონობით დაბეჩავებულმა, შუასაუკუნებრივი ჩამორჩენილობით გაველურებულმა მოსახლეობამ გამოიღვიძა ახალი ცხოვრებისათვის და აღამიანის საანბანო უფლებებისათვის, დემოკრატიისათვის საბრძოლველად“.<sup>12</sup>

1905—1907 წლების რევოლუციამ საბოლოოდ განუმტკიცა რუსეთს საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრის, რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური მოქმედების ცენტრის მდგომარეობა. რუსეთის პირველი სახალხო რევოლუცია გახდა ზღუდე, რომელზეც დამთავრდა კაპიტალიზ-

<sup>9</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 13.

<sup>10</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 512—513.

<sup>11</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 172.

<sup>12</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 80.



მის შედარებით მშვიდობიანი განვითარების პერიოდი, რომელიც დაიწყო პარტიზის კომუნის დამარცხების შემდეგ, და დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქის—რევოლუციური ბრძოლების პერიოდი.

ლენინური თეორიით და ტაქტიკით შეიარაღებულმა კომუნისტურმა პარტიამ შესძლო ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და გლეხობის დარაზმვა და 1917 წლის ოქტომბერში დაამხო კაპიტალისტური წყობილება, დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება, უზრუნველყო განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება. ამჟამად ახორციელებენ რა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს; ჩვენი ქვეყნის მშრომელები რწმენით მიიწევენ წინ კომუნიზმის მწვერვალებისაკენ. აღმოცენდა და განუხრელად განამტკიცებს თავის პოზიციებს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, კრახი განიცადა იმპერიალიზმის კოლონიურმა სისტემამ. ყოველივე ეს სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის პრაქტიკული განხორციელებაა, ლენინიზმის იდეების ზეიმია.

მსოფლიო ძირფესვიანად შეიცვალა. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ყველა ქვეყნის მარქსისტულ-ლენინური პარტიები ჩაბრუნდნენ და შემოქმედებითად იყენებენ სკკ პარტიის, ლენინური პარტიის მრავალწლიან მდიდარ გამოცდილებას, პარტიისა, რომელიც მეთაურობდა იმპერიალიზმის ეპოქის პირველ სახალხო რევოლუციას, მიიყვანა მშრომელები დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე და დიდი წვლილი შეაქვს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა საერთო ბრძოლაში, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირების საქმეში, მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნათა პროცესში.

სკკპ მდიდარი და ყოველმხრივი რევოლუციური გამოცდილება და რევოლუციური ტრადიციები, მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის მისი ბრძოლის გამოცდილება ამჟამად მთელი პროგრესული საზოგადოებრიობის ფასდაუდებელ კუთვნილებას წარმოადგენს.

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა, აღნიშნავენ რა რუსეთის პირველი რევოლუციის 70-ე წლისთავს, ღრმა პატივისცემით იხსენიებენ მისი გმირების სიმამაცეს, რომელთა ნათელი ხსოვნა, რევოლუციური ტრადიციები აღაფრთოვანებს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებს. სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან საბოლოოდ განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.



## საზოგადოებრივი და პოლიტიკური დიდი სამუშაოების წინაშე

3. პანიკაშვილი,

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომი სამარადისოდ შევა ჩვენი ქვეყნისა და მთელი პლანეტის ისტორიაში. მაღლიერი შთამომავლობა პატივისცემით დახრის თავს იმ გმირთა ხსოვნის წინაშე, რომლებმაც გზა გადაუღობეს მტერს, გაანადგურეს იგი საკუთარ ბუნავში, გადაარჩინეს მსოფლიო ცივილიზაცია, იხსნეს კაცობრიობა მონობისაგან, ჩაგვრისაგან, შერცხვენისაგან.

საბჭოთა ხალხის ამ საგმირო საქმეების შესახებ ათასობით ტომები დაიწერა მსოფლიოს ყველა ენაზე, მაგრამ ეს თემა მთლიანად არ არის ამოწურული და კიდევ ბევრი ბრწყინვალე ფურცელი დაიწერება დიდი სამამულო ომის ისტორიიდან.

ჯარის ყველა სახეობა, ზურგის ყველა მშრომელი ხოტბაშესხმულია ჩვენი და საზღვარგარეთელი მწერლებისა და პოეტების, ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების, მუსიკოსებისა და არქიტექტორების, მხატვრების, მოქანდაკეების და სხვათა მიერ, რომლებმაც აღბეჭდეს და შემოუნახეს შთამომავლობას გმირო-გამანთავისუფლებელი ხალხის სახე. საბჭოთა ადამიანის საგმირო საქმეების ამსახველი ყველაზე ბრწყინვალე ფურცლები საეხებით სამართლიანად მიეძღვნა ქვეით ჯარისკაცს და ტანკისტს, არტილერისტს და მფრინავს, მეზღვაურს და მეკავშირეს, მედიკოსსა და მესანგრეს, მრეწველობის მუშაკს, მხენელ-მთესველს, რომლებიც სჭედდნენ გამარჯვებას. მათ თავის მხრებზე გადაიტანეს ომის მთელი სიმძიმე.

მხოლოდ ერთმა სამსახურმა — იურიდიულმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა საკმაოდ გაშუქება ისტორიკოსების, ლიტერატორების, მხატვრების, მუსიკოსების ნაშრომებში. ეს იმიტომ კი არაა, რომ სამამულო ომის წლებში საბჭოთა ადამიანის საგმირო საქმეთა მკვლევარებს არ ესმით ომის წლების იურისტების შრომის მნიშვნელობა, ანდა იმიტომ კი არაა რომ კანონიერებისა და სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მტრის აგენტურის, პანიკის, დეზორგანიზაციისა და იმ წლების სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის თემა არ აინტერესებდა. იყო სხვა უფრო აქტუალური პრობლემები, იუსტიციის ორგანოთა საქმიანობა საბოლოო ანგარიშით არ წყვეტდა ომის ბედს.

ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ გამარჯვების საქმეში თავიანთი წვლილი არ შეიტანეს იუსტიციის ორგანოებმაც.

ომის პირველსავე დღეებში მილიონობით საბჭოთა ადამიანებთან ერთად იურისტები მიდიოდნენ ფრონტზე და მწყობრში თავის ადგილს იკავებდნენ. ორმოციან წლებში ქალაქ მოსკოვში შექმნილ სამხედრო იურიდიულ აკადემიას არ შეეძლო იურიდიული კადრებით ფრონტის მოთხოვნების უზრუნველყოფა და არმიაში იწვევდნენ დიდი რაოდენობით პროკურატურის, სასამართლოს, ადვოკატურის მუშაკებს, იურისკონსულტებს, უმაღლეს სასწავლებლის კურსდამთავრებულებს.



1941 წლის ივნისში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სამხედრო მოქმედებათა ზონაში და ფრონტისპირა ზოლში საქმეების უმრავლესობა იხილებოდა სამხედრო ტრიბუნალების მუდმივი შემადგენლობის მიერ, ე. ი. სახალხო მსაჯულთა გარეშე, რაც განსაკუთრებით მკვეთრად ზრდიდა იურისტების საჭიროებას. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ეს წესი შეიცვალა და საქმეების განხილვაში მონაწილეობისათვის სახალხო მსაჯულებს იწვევდნენ.

სამხედრო იურისტთა ოჯახში წარმოდგენილი იყო საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნება, ძალიან ფართოდ საქართველოს შვილებიც.

მთელი ომის მანძილზე ჯერ სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის, შემდეგ კი ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო პროკურორის თანამდებობაზე მუშაობდა მიხეილ ყარამანის ძე ლომიძე. ომის დამთავრების შემდეგ წლების მანძილზე იგი სათავეში ედგა რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებს. იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის პროკურორი, საქარველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, მინისტრთა საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე. იგი დღესაც მწყობრშია, საპასუხისმგებლო თანამდებობაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში და ახალგაზრდობას ზრდის პრინციპულობის, მაღალი პროფესიული ოსტატობის, დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

როგორც ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის წევრმა გაიარა. მთელი ომი პავლე ბერძენიშვილმა, რომელსაც შემდგომში დიდი ხნის მანძილზე ეკავა რესპუბლიკის პროკურორის თანამდებობა და ამჟამად მუშაობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მამაც პატრიოტად თავი გამოიჩინა და რამდენიმე ჭრილობა მიიღო ვლადიმერ მისიურაძემ, რომელსაც ამჟამად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პოსტი უკავია.

მძიმე ჭრილობით დაბრუნდა ქალაქ თბილისში კონსტანტინე გედევანიშვილი, რომელიც ახლა მუშაობს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე რესპუბლიკის პროკურატურაში.

მთელი ომი იმყოფებოდა მოქმედ არმიის თენგიზ მეზურნიშვილი, რომელიც ომის შემდეგ დიდი ხანი მუშაობდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურატურაში. რამდენიმე წლის წინ ყველა დაგვამწუხარა ამ შესანიშნავი ადამიანის ნადრევა სიკვდილმა.

ბევრჯერ შეუხედავს სიკვდილისათვის თვლებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი იოსავას, სოლო რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს სერგო ქაჯაიას მოქმედ არმიის დივიზიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა.

დივიზიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარედ მუშაობდა აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი წევრი, ამჟამად ადვოკატი დავით გიორგაძე.

დიდ პატივს სცემდნენ, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი სარდლობაში და თანამებრძოლებში პოლკის კომისარს პავლე კობახიძეს. იგი — კადრის მესაზღვრე — გაიზნა სამხედრო იუსტიციის ორგანოებში ამ ორგანოთა განმტკიცებისათვის. ეს დავალება მან ბრწყინვალედ შეასრულა. იგი ომში გამოიჩინა არა მარტო როგორც იურისტი. მებრძოლთა რიგებში მყოფს არა-

66279



ერთხელ გადაუღობია გზა მტრისათვის, რისთვისაც მას მკერდს უმშვენებდა ბევრი საბრძოლო ორდენი და მედალი. ომის შემდეგ მან ვერ შესძლო დაბრუნებულიყო საქართველოში. სარდლობის გადაწყვეტილებით გაიგზავნა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სამუშაოდ ჯერ თურქმენეთში, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში და იქცეოდა ისე, როგორც შეეფერება ნამდვილ კომუნისტსა და მოქალაქეს.

ჩვენი თანამემამულე იურისტების სია, რომლებმაც გაიარეს მთელი ომი სამშობლოს დამცველთა საერთო მწყობრში, შეიძლებოდა უსასრულოდ გაგვეგრძელებინა.

იურისტებს შორის დანაკარგები, რასაკვირველია, ნაკლები იყო ვიდრე სამწყობრო ნაწილებში, მაგრამ მაინც იგრძნობოდა, განსაკუთრებით ომის პირველ პერიოდში.

1941 წლის 26 ივნისს ქ. მოსკოვში გაწვეული ვიყავი ჯარში და იმ საღამოსვე გავემგზავრე ჩრდილო-დასავლეთ ფრონტზე როგორც სამხედრო ტრიბუნალის წევრი. ერთი ვაგონით მივემგზავრებოდით 32 იურისტი, რომლებიც შეადგენდა ფრონტის სამხედრო იუსტიციის ორგანოთა ძირითად ბირთვის. ჩვენს ჯგუფში იყო რამდენიმე კაცი შუა აზიიდან, მოსკოველები, ორი პირი ყაზანიდან და ქვეყნის სხვა ოლქებიდან. საქართველოდან მხოლოდ მე ვიყავი. ჩვენ ყველა ახალგაზრდები ვიყავით, მხიარულები, ვერ წარმოგვედგინა ომის საშინელება და არავის წარმოედგინა მისი ხანგრძლივობა: უბრალოდ ჩვენ არ ვიცოდით რა იყო ომი და მასზე ვმსჯელობდით წიგნების, ნარკვევებისა და პირველი ცნობების მიხედვით.

გავიდა ორი კვირა და 32 ახალგაზრდა მხიარული იურისტიდან მწყობრში დარჩა 14. დანარჩენები ან დაიღუპნენ, ან დაჭრილები იყვნენ ჰოსპიტალებში, პირადად ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი ამხანაგის გურგეიჩის სიკვდილმა. მე ჩვენს ჯგუფში ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი, ის კი ყველაზე უფროსი და ალბათ, ამიტომ იჩენდა ასეთ ზრუნვას. ერთხელ საღამოს იგი მომიახლოვდა და მითხრა, რომ მიიღო წერილი ცოლისაგან, რომელთანაც ომის დაწყების შემდეგ დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი კავშირი. წერილი იყო შესანიშნავი, თბილი, გამამხნევებელი და მან ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ორი საათის შემდეგ კი მოვიდა განკარგულება, რომ ტრიბუნალის ერთი შემადგენლობა გავზავნილიყო ქ. ტალინში. დებულებით უნდა გავემგზავრებულიყავი მე, მაგრამ ტალინი ითვლებოდა მშვიდ ადგილად და ყველამ დაჟინებით მოვითხოვეთ, რომ იქ გამგზავრებულნიყო ჩვენში ყველაზე უფროსი — გურგეიჩი. ორი დღის შემდეგ იგი დაიღუპა, ხოლო ცოლის წერილები რამდენიმე ხნის განმავლობაში კვლავ მოდიოდა.

მდგომარეობა ყოველთვის არ გვაძლევდა საშუალებას, რომ უშუალოდ ჩვენი საქმე გავვეკეთებინა და განსაკუთრებით პირველ დღეებში ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ იურისტები ჯარისკაცთა მხარდამხარ საერთო მწყობრში იბრძოდნენ.

ჩვენი ტრიბუნალის მდივანმა სერგეი ანდრეევმა, პირველმა ჩვენს შორის, მიიღო საბრძოლო ჯილდო — წითელი დროშის ორდენი. ქვეგანაყოფის შემადგენლობაში მყოფი იგი აღმოჩნდა სამხედრო ნაწილისაგან მოწყვეტილი და, როგორც წოდებით უფროსმა, წაიყვანა მებრძოლები გარღვევისაკენ, შემდეგ კი პირველი გადავიდა შეტევაზე, რის შედეგადაც მოწინააღმდეგე უკუვაგდეთ რამდენიმე კილომეტრით.



ჩემთან ერთად ინსტიტუტში სწავლობდა ქ. ერევნის მკვიდრი ვაჟ კარაგოზიანი. დიდი გულსტიკივით ვავიგე, რომ იგი 1941 წლის ივლისში დაიღუპა. მან დაიკავა დაღუპული ბატალიონის მეთაურის ადგილი და რამდენიმე დღის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამკვდრო — სასიცოცხლო ბრძოლას მტერთან, რომლის ძალები ბევრად აღემატებოდა მათ. ვაგმა საკუთარი ხელით ააფეთქა მტრის რამდენიმე ტანკი და დაიღუპა ისე, რომ ვერ მოასწრო ვერც ერთი საქმის გარჩევა, როგორც იურისტმა.

ქალაქ ფსკოვიდან ასი კილომეტრის დაშორებით შეტევაზე გადმოსულ მტერთან ორ დღიან ბრძოლაში მონაწილეობდნენ აგრეთვე პროკურატურის სამხედრო ტრიბუნალისა და განსაკუთრებული განყოფილების მუშაკები. მეორე დღის ბოლოსათვის ბრძოლის 1600 მონაწილიდან დაიღუპა 1200 კაცი. საბრძოლო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობა არ შეადგენდა ჩვენი მუშაობის ძირითად შინაარსს, ჩვენს წინაშე იდგა სხვა ამოცანები.

სამხედრო დანაშაულის საქმეების გარდა ჩვენს ორგანოებს ენებოდა ყველა სახელმწიფო დანაშაულის, მკვლელობის, ზანდიტიზმის, ყაჩაღობის, ძარაცვის, სოციალისტური საკუთრების დატაცების და სხვა საქმეთა განხილვა. ჩემთვის არ არის ცნობილი მაშინდელი წლების სასამართლო სტატისტიკის მონაცემები, მაგრამ საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ მოქმედ არმიის სამხედრო დანაშაულებანი არ იყო გავრცელებული. არ მახსოვს შემთხვევა, რომ ვინმე გამესამართლებინოს ხელქვეითობის წესის დარღვევისათვის; ნებაყოფლობით ტყვედ დანებებისათვის, დეზერტირობისათვის და ა. შ. მაშინ დეზერტირობად ითვლებოდა ნაწილის თვითნებურად დატოვება ერთ დღეზე მეტი დროით და ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა ნაწილი ისვენებდა ან გადაჯგუფებას ახდენდა. მაგრამ სამხედრო სამსახურისაგან საერთოდ თავის არიდების მიზნით ნაწილის დატოვების ფაქტები პრაქტიკულად არ ხდებოდა. ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ჩვენს ფრონტზე უკვე 1941 წლის ბოლოსათვის იოხდა მდგომარეობის სტაბილიზება და მტერმა, რომელმაც დაიკავა ქალაქ ნოვგოროდის ნახევარი, წინააღმდეგ ვეღარ შესძლო. ამ ვითარებამ დიდი გავლენა იქონია პირად შემადგენლობის მორალურ მდგომარეობაზე. მებრძოლები და მეთაურები აკეთებდნენ ყოველივე შესაძლებლსა და შეუძლებლს გამარჯვებისათვის, რომლის ძირითადი პირობა იყო მკაცრი სამხედრო დისციპლინა და ეს ყველას ვარგად ესმოდა.

სამხედრო დანაშაულობების ხასიათი, რომელთანაც ჩვენ გვიხდებოდა გვეკონოდა საქმე, განსაზღვრავდა ჩვენს სასამართლო პრაქტიკასაც. ხშირ შემთხვევაში განაჩენის აღსრულება იდებოდა ომის დამთავრებამდე და მსჯელობულნი იგზავნებოდნენ ფრონტზე. მოგვიანებით შეიქმნა სპეციალური საჯარიმო ნაწილები, სადაც იხილდნენ სასჯელს.

თუმცა სამხედრო დანაშაულის შესახებ საქმეებით არ ვიყავით დიდად დატვირთული, სხვა კატეგორიის საქმეები ბევრი იყო. ფრონტისპირა ზონაში სახალხო სასამართლოები ფაქტიურად არ არსებობდნენ და სისხლის სამართლის ყველა საქმეებს იხილავდა სამხედრო ტრიბუნალი.

როცა საბჭოთა არმიამ დაიწყო წინსვლა, ათავისუფლებდა რა მტრისაგან საბჭოთა მიწას, სამხედრო დანაშაულის შესახებ საქმეების რაოდენობამ კიდევ უფრო იკლო, სამაგიეროდ გაჩნდნენ საქმეები სამშობლოს მოალაპტეებსა და მტრის ხელის შემწყობებზე. ამ საქმეების გარჩევა მძიმე იყო. ჩვენ ვიყავით



მტრის სისასტიკის, საბჭოთა ადამიანების მასობრივი მოსპობის უშუალო მოწმენი, ვხედავდით გამარჯვებისათვის როგორ იხოცებოდნენ ჩვენი ადამიანები, ახალგაზრდები, რომლებსაც ჯერ არაფერი ენახათ ცხოვრებაში, მაგრამ არ უშინდებოდნენ სასიკვდილო საფრთხეს, ოღონდ კი გაგვემარჯვებინა. ამ საყოველთაო პატრიოტიზმისა და მწუხარების ფონზე, განსაკუთრებული აღშფოთების გრძობას, ზიზღს იწვევდნენ ადამიანები, რომლებიც გადავიდნენ მტრის მხარეზე, მლიქვნელობდნენ მათ წინაშე, დალატობდნენ თავის ხალხს. ესენი იყვნენ ბურგომისტრები, მამასახლისები, პოლიციელები, გამყიდველები, რომლებიც მსახურობდნენ მტრის სხვადასხვა სამხედრო ქვედანაყოფებში, მოქმედ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც სიბინძურესავით ამოტივტივდნენ ზედაპირზე ჩვენი მიწაწყლის დროებითი ოკუპაციის პერიოდში.

ზიზღი ზიზღია, მაგრამ გვიხდებოდა თვითეულ საქმეში გულდასმით გარკვევა — რამ აძულა ეს კაცი დადგომოდა მოღალატის გზას, კონკრეტულად რით გაუწია მტერს დახმარება? იყო საქმის შეწყვეტისა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევები, როცა ჩვენ ვაღგენდით, რომ ბრალდებული დაკავშირებული იყო ჩვენს იატაკქვეშა ორგანიზაციებთან, ეხმარებოდა ჩვენს ადამიანებს, ხოლო მტერთან მუშაობა მხოლოდ ფარდა იყო.

ყველაზე საშიშ, შენიღბულ მტრებთან შეხვედრა ჩვენ გაცილებით მოგვიანებით მოგვიხდა, ბევრ შემთხვევაში — უკვე ომის შემდეგ. საჭირო იყო მათი გამოაშკარავება, მხილება, ამისათვის კი დრო აღარ გვრჩებოდა, რადგან ჯართან ერთად მივიწვევდით წინ.

უკვე 1953 წლის ბოლოს, დასავლეთ უკრაინაში მუშაობის დროს მე მომიწია განმეხილა საქმე ერთი პირისა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა ომის წლებში. ხანგრძლივი დროის გასვლის გამო დამავიწყდა ბრალდებულის გვარი და ამიტომ პირობითად ვუწოდებ „პ“-ს. ომის წლებში იგი ქალაქ ვინიცაში ცხოვრობდა და დალაქად მუშაობდა. როცა უკრაინის განთავისუფლება იწყებოდა „პ“-მ დადაწყვიტა ემოქმედა. ორ ამხანაგთან ერთად დაიწყო საბუთების ვაფორმება მტრის ზურგში პარტიზანული რაზმის შექმნის შესახებ. საბუთების მიხედვით ეს რაზმი ძალიან აქტიურად მოქმედებდა. აქტებში აღნიშნული იყო, რომ რაზმმა მოსპო ათობით ეშელონი, გაანადგურა რამდენიმე გარნიზონი და ჩაატარა მთელი რიგი საბრძოლო ოპერაციები. ამ იატაკქვეშა ორგანიზაციის მასობრიობის შთაბეჭდილების შექმნისათვის მასში ჩააბეს რამდენიმე კაცი, რომლებსაც არ გაანდეს ეგრეთწოდებული რაზმის ხელმძღვანელთა ნამდვილი მიზნები. რაზმმა ნამდვილად დაიწყო ზრდა, ადამიანები მიისწრაფოდნენ აქტიური მოქმედებისაკენ. ხმები რომელიღაც იატაკქვეშა საბრძოლო ცენტრის შესახებ — ვავრცელდა მოსახლეობაში და პატრიოტები ცდილობდნენ მათთან კავშირის დამყარებას. „პ“-სა და რაზმის წევრთა შორის დაიწყო უსიამოვნება, ისინი მოითხოვდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას, მას კი სჭირდებოდა არა მოქმედება, არამედ — დოკუმენტები.

საბოლოო ჯამში „პ“ იძულებული გახდა, რომ მიეცა ნებართვა ერთი ოპერაციის ჩატარებაზე, რომელშიც თვითონ არ მონაწილეობდა. მტერთან შებმისას მებრძოლი თევდორე მძიმედ დაიჭრა. ბინაში მიყვანის შემდეგ მან დაიწყო ბოდვა, ყვირილი და „პ“ შიშმა შეიპყრო, რომ მას შეეძლო გაეცა ისინი. მან გაიყვანა თევდორე ქალაქკარეთ და დახვრიტა. იმ პერიოდში „პ“-სთან დაამყარა კავშირი უკრაინის პარტიზანული ცენტრის წარმომადგენელმა, რომელიც





შეგზავნილი იყო სხვა რაიონში, მაგრამ იქ საქმე ჩავარდა და იგი მოხვდა ვინიცაში. „პ“-მ ისიც ქალაქგარეთ დახვრიტა. სასამართლოზე „პ“ ამტკიცებდა, რომ მეკავშირე მოღალატე — პროვოკატორი ეგონა, მაგრამ დადგინდა, რომ მკვლელობა მან შიშისაგან ჩაიდინა, რადგან ცენტრის წარმომადგენელი მოითხოვდა აქტიურ საბრძოლო მოქმედებას, ეს კი „პ“-ს ხელს არ აძლევდა. ამასთან მეკავშირემ ადგილზე დაადგინა, რომ დოკუმენტები ჯგუფის საქმიანობაზე ყალბია, რაც ასევე არ შედიოდა „პ“-ს ანგარიშში. ქალაქის განთავისუფლებისთანავე შეუძლებელი იყო „პ“-ს დანაშაულში გარკვევა. დოკუმენტების საფუძველზე მან მთავრობის ჯილდოც კი მიიღო. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ დადგინდა სინამდვილე და დანაშაულის ხანდაშულობის ვადის გასვლამდე ორი თვით აღრე მის მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობის გამოყენებაზეც ომმა თავისებური გავლენა იქონია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები ჩვენთვის ურყევი კანონი იყო, მაგრამ მისი გამოყენების პრაქტიკას თავისი სპეციფიკა ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხებოდა გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის ვადებს. ახლა საქმის წარმოება ბრალდების ყველაზე არართულ ფაზულზე, როგორც წესი, თვეობით გრძელდება და ეს სავსებით ნორმალურად ითვლება. ხანდახან საქმის წარმოება გრძელდება წლობითაც, რაც სავანგამოა, მაგრამ ამასაც ხშირად ურიგდებიან და გაჭინაურებას ხსნიან სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით. მაშინ კი საქმის წარმოებისათვის დაწყებული ვადები შეადგენდნენ დღეებს, ხოლო ძალიან ხშირად საათებსაც კი.

მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და მოულოდნელად მოხდა ბრძოლის ველის თვითნებურად მიტოვების შემთხვევა. რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ საქმეზე ერთი თვის შემდეგ ან ერთი კვირის შემდეგ გამოტანილ განაჩენს? განაჩენი საჭირო იყო სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ. გამოძიებისათვის ორი საათი, რომლის განმავლობაში დაიკითხებოდა ბრალდებული, რამდენიმე მოწმე, წაეყენებოდა ბრალდება, დგებოდა ოქმი გამოძიების დამთავრების შესახებ და საბრალდებო დასკვნა.

ამ საქმეში ყველაფერი იყო, სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსის ნორმები მთლიანად იყო დაცული, მხოლოდ ზედმეტი სიტყვებიცაა აკლდა. დოკუმენტები მოკლედ და ლაკონურად დგებოდა. სასამართლო პროცესისათვის დაგეგმილი იყო ერთი საათი, ხანდახან კი უფრო ნაკლებიც. დრო იზოგებოდა საკითხთა გარკვევისა და ყველაზე მთავარზე, ძირითადზე ყურადღების გამახვილების ხარჯზე. ეს ნაკარნახევი იყო სამხედრო დროით და აუცილებლობით. განაჩენები იწერებოდა ძალზე მოკლედ ერთ, მაქსიმუმ ორ ფურცელზე და ცხადდებოდა მაქსიმალურად დიდი აუდიტორიის თანდასწრებით, განაჩენი მოჰყავდათ სისრულე და საქმეები ბარდებოდა არქივს.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ განაჩენი, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას, ომის პირველ წელს მტკიცდებოდა არმიის სარდლის მიერ, ასე რომ პრაქტიკულად მათი მოყვანა სისრულეში შეიძლებოდა მაშინვე, გამოცხადების შემდეგ. მოგვიანებით ეს პრაქტიკა შეიცვალა და განაჩენებს უკვე ფრონტის სამხედრო საბჭო ანტკიცებდა.

სასამართლო პროცესში პროკურორები და ადვოკატები პრაქტიკულად ვერ მონაწილეობდნენ. სამხედრო მოქმედების ზონაში და ფრონტის პირა ზონაში ადვოკატები არ იყვნენ, რაც გამოირიცხავდა მათი გამოძახების შესაძლებლობას,



მაშასადამე, სახელმწიფო ბრალმდებლის მონაწილეობასაც. ამასთან არსებობდა საკანონმდებლო ნორმა, რომლის მიხედვით მოცემულ პირობებში ნებადართული იყო საქმეების გარჩევა მხარეთა მონაწილეობის გარეშე და ამ ნორმით ვხელმძღვანელობდით.

სამხედრო ტრიბუნალის განაჩენების სისრულეში მოყვანა ხდებოდა დაუყოვნებლივ მათი გასაჩივრების გარეშე, გარდა იმ განაჩენებისა, რომლებიც ითვალისწინებდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ცალკეული ნორმების შესრულების დროს ვხვდებოდით განსაზღვრულ სიძნელეებს. მაგალითისათვის ავიღოთ სათათბირო ოთახის საილუმოებოება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ამ მოთხოვნის შესრულებისათვის რეალური შესაძლებლობები არ იყო, ამიტომ ხშირად სასამართლო იძულებული იყო წასულიყო იქვე ბუჩქების ან ხეების უკან სათათბიროდ.

მაგონდება პროცესი პარტიზან ვალოდიას მშობლების გამცემლობასთან დაკავშირებით.

ვალოდია 11 თუ 12 წლის ბიჭი იყო და ჩვენს ფრონტზე მის შესახებ ლეგენდებს თხზავდნენ. ორი საბრძოლო ორდენით მკერდდამშვენებული ბიჭუნა შიშის ზარს სცემდა მტერს. პირადად მან შეაგდო ყუმბარები სახლში, სადაც განლაგდა გერმანელ ოფიცერთა ჯგუფი. მის ანგარიშზე იყო რამდენიმე სატრანსპორტო ავტომანქანის განადგურება, ვიღაც მაღალი ჩინის გერმანელ ოფიცრის დატყვევება და სხვა მრავალი საგმირო საქმე. ოკუპანტებმა გამოაცხადეს მაღალი ჯილდო მისი დაჭერისათვის, მაგრამ პარტიზანები ვალოდიას გაძლიერებით იცავდნენ, ცდილობდნენ, რომ ოპერაციებში მას არ მიეღო მონაწილეობა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ზევიდან მიღებული ბრძანებით იგი გაგზავნილ იქნა მოსკოვში სასწავლებლად და ალბათ ახლა დიდი მხედართმთავარია.

დახარბდა რა დიდ გასამრჯელოს მამასახლისმა გასცა ვალოდიას დედა, რომელიც საჯაროდ დახვრიტეს.

მამასახლისი ჩვენ გავასამართლეთ პარტიზანული ბაზის განლაგებაში. ზამთარი იყო, თერმომეტრი 30 გრადუსს ყინვას აჩერებდა. დიდი გაჭირვებით სასამართლო სხდომისათვის გავანთავისუფლეთ ერთი ოთახი, რომელიც ხალხით ვაიჭედდა: ჩავატარეთ პროცესი, მოვისმინეთ ბრალდებულის უკანასკნელი სიტყვა და დადგა საკითხი, სად დაგვეწერა განაჩენი. რადგან სხვა სათავსო არ იყო, ჩვენ გამოვეყვანეთ აუდიტორიის სკამებით, შევაქციეთ მას ზურგი, ჩურჩულით ვითათბირეთ და დავეწრეთ განაჩენი.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მუშაობა მუდამ იყო სარღობისა და პოლიტმუშაკების ყურადღების ცენტრში. ყურადღება ექცეოდა სამართლებრივ პროპაგანდასაც. როგორც წესი, მოკლე საუბრები ტარდებოდა ქვედანაყოფებში საღამოობით და მიუხედავად დაღლილობისა მებრძოლები დიდი ყურადღებით ისმენდნენ მათ. ამ საუბრებისათვის ვემზადებოდით გულმოდგინედ, რადგან 15—20 წუთში, მაქსიმუმ ნახევარ საათში საჭირო იყო ბევრის მოყოლა და ამასთან საინტერესოდ და საზრიანად. თუ მოკლედ ჩამოვაცალიებთ ამ საუბრების საერთო შინაარსს, მას შეიძლება დარქმეოდა „კანონი მტკმედებაში“. სამხედრო ნაწილის წინაშე მდგომი ამოცანებიდან გამომდინარე, სამხედრო დისციპლინის მდგომარეობისა და დარღვევების ხასიათის გათვალისწინებით საუბრისათვის ვიღებდით ერთ საკითხს, ვარჩევდით მისთვის მაგალითებს; ფაქტებს, რომლებსაც ვაანალიზებდით კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. მაგალი-



თად, როცა ომის მსვლელობაში დადგა მკვეთრი გარდატეხა ჩვენს სასარგებლოდ და გერმანელების მთელი ჯგუფები გვბარდებოდნენ ტყვედ. აქტუალური გახდა სამხედრო ტყვეთა უფლებების, მათი შენახვის რეჟიმის, გაქცევის შეუძლებელადაა ტყვეთა პასუხისმგებლობის საკითხები და ა. შ. ჩვენი საუბრების მოსასმენად მოდიოდნენ უფროსი ოფიცრებიც. შეკითხვები ბევრი იყო ხოლმე:

— გერმანელები აწვალდნენ და სპობდნენ ჩვენს აღამიანებს, ჩვენ კი რატომ ველოლიავებით მათ?

— ის საზიზღარი ფაშისტი ხომ ახრჩობდა ჩვენს ხალხს, ჩვენ კი მათ უზრუნველვყოფთ სამჯერადი კვებით მათ შორის ცხელი კერძით.

ჩვენ განუშარტავდით საერთაშორისო კონვენციებს. ვესაუბრებოდით საბჭოთა ჯარისკაცის მოვალეობის შესახებ, აღამიანობაზე და ჰუმანიზმზე. აქვე მინდა შევნიშნო, რომ მოგვიანებით ნათელი გახდა, რომ ჩვენც, იურისტებიც მთლიანად ვარკვეული არ ვიყავით გერმანელი სამხედრო ტყვეების მდგომარეობაში. ჩვენ გამოვდიოდით სამხედრო ტყვეების შესახებ საერთაშორისო კონვენციების საერთო დებულებებიდან და მხოლოდ შემდეგ ვაირკვევთ, რომ ამ კონვენციების მთელი რიგი დებულებები არ ვრცელდებოდა ვერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე. ისინი ომის გამოუცხადებლად, მუხანათურად დაეცნენ თავს ჩვენს ქვეყანას, არღვევდნენ საომარი მოქმედებების წარმოების წესებს, მშვიდობიანი მოსახლეობისადმი, სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებს და ომის ყველა სხვა კანონს. მათგან განსხვავებით იაპონელმა სამხედრო ტყვეებმა შეინარჩუნეს ჩვენთან უფლება ყოფილიყვნენ თავიანთივე შენაერთებით, რომლებსაც მეთაურობდნენ მათივე ოფიცრები, ოფიცრები არ გამოდიოდნენ სამუშაოდ; დებულებდნენ ფულად სახსრებს, ტყვეები გაქცევისათვის პასუხს არ აგებდნენ და სარგებლობდნენ ყველა სხვა იმ უფლებით, რაც დადგენილი იყო საერთაშორისო შეთანხმებებით. გერმანელმა ფაშისტმა ბარბაროსებმა თვითონვე დაკარგეს ამ შეთანხმებებით სარგებლობის უფლება.

ბევრ ფაშისტ დამნაშავეს, რომელიც მხილებული იყო მშვიდობიან მცხოვრებთა მოსპობაში და სხვა ბოროტმოქმედებაში, ჩვენ ვასამართლებდით. უნდა ითქვას პირდაპირ, რომ ჩვენ ისინი გვეზიზღებოდნენ, მაგრამ ყველა შემთხვევაში ვალდებული ვიყავით გამოგვეჩინა ობიექტურობა და ვიჩინოთ კიდევ მას, ვაგროვებდით და ვამოწმებდით მტკიცებულებებს, ვაძლევდით ბრალდებულებებს საშუალებას ესარგებლათ ყველა უფლებით, რაც გარანტირებული იყო ჩვენი კანონმდებლობით.

როცა ლაპარაკია ომის წლების იურისტებზე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ობიექტური ხასიათის დიდი სიძნელეებიც, რომლებიც მათ ხვდებოდათ.

ძალიან მტკივნეულად იდგა საკითხი მდივნების შემადგენლობის შესახებ. კვალიფიცირებული მდივნების გარეშე წარმოუდგენელი იყო სასამართლო საქმეების წარმოება. ომის დასაწყისში სასამართლოს მდივნების თანამდებობები დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა ოფიცრებით, რომელთა უმეტესობა შესანიშნავად იყო მომზადებული და პასუხობდა თავის დანიშნულებას. მაგრამ 1942 წლის ნახევარში მივიღეთ ბრძანება კაცი მდივნების ქალებით შეცვლის შესახებ. ბრძანება ბრძანებაა და ჩვენ დიდი გულისტკივილით დავემშვიდობეთ ამხანაგებს, რომლებსაც მივეჩვიეთ და რომელთაც თავისი მხრებით ზიდეს სამხედრო იუსტიციის ორგანოების მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მდივან — ქალებს ჩვენ არ გვიგზავნიდნენ და მათ ადგილებზე ვარჩევდით მტრ-



რისტების შესახებ ლაპარაკი ზედმეტი იყო. ჩვენ ვეძებდით განათლებულ ქალიშვილებს, რომლებიც ჩვენთან მუშაობის სურვილს გამოთქვამდნენ. ქალიშვილებთან ბევრს ვმუშაობდით, ვასწავლიდით. შემდეგში ჩვენ მივეჩვიეთ ახალთანაშემწეებს. ომის დამთავრების შემდეგ მოვიდა ახალი ბრძანება მდივან — ქალების მამაკაცებით შეცვლის შესახებ და ჩვენ კვლავ სინანულით ვემშვიდობებოდით იმათ, ვინც შევარჩიეთ, მოვამზადეთ, გავზარდეთ.

დიდ სიძინელებს ვხვდებოდით მოწმეთა გამოძახების დროს, ამის დასადასტურებლად მოვიყვან ერთ მაგალითს.

1943 წელს ვორონეის ოლქში გაძნელდა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა და დახმარებისათვის იქ გაიგზავნა ტრიბუნალის რამდენიმე სესია. მათ წინაშე იდგა ამოცანა მაქსიმალურად მოკლე ვადაში უზრუნველყო დაგროვილი საქმეების განხილვა, რადგან სიტუაცია ფრონტზე მეტად რთული იყო. ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ და დაპატიმრებული იყო მამასახლისთა, პოლიციელთა და სხვა გამცემთა დიდი რაოდენობა. ჩასვლის მომენტისათვის ბრალდებულები ჩვენთან იყვნენ, ხოლო მოწმეთა დიდი რაოდენობა მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. საქმეები უნდა განხილულიყო, მაგრამ როგორ? როცა ბრალდებულები თავს დამნაშავედ სცნობდნენ, მაშინ განაჩენი გამოგვეკონდა მათივე ჩვენების საფუძველზე, ხტლო როცა ისინი უარყოფდნენ თავიანთ ბრალს, ან წაყენებული ბრალდების ძირითად პუნქტებს, მაშინ სასამართლო გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდა. ყოველი ასეთი საქმის განხილვა პრობლემა იყო. გვიხდებოდა ახალი მოწმეების დადგენა, რომელთა გამოძახება შესაძლებელი იყო, მათი დაძებნა პატიმართა შორის. სამუშაო ბევრი იყო, მაგრამ ძირითადად დავალება შევასრულეთ და დავბრუნდით ყველა თავის ფრონტზე.

რთული იყო სახალხო მსაჯულების გამოძახებაც. როცა სხდომას ატარებდა ტრიბუნალის ერთი შემადგენლობა, მაშინ ეს არ წარმოადგენდა პრობლემას, ხოლო როცა რამდენიმე შემადგენლობა, მაშინ საქმე რთულდებოდა. მაგალითად, ვორონეის ოლქში 30—40 დღის განმავლობაში ყოველდღიურად სხდომას ატარებდა ტრიბუნალის ათი შემადგენლობა. მათთვის საჭირო იყო ყოველ დღე ოცი მსაჯულის გამოძახება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. სახალხო მსაჯულები მაშინ არ ირჩეოდნენ, არამედ ინიშნებოდნენ ნაწილის უფროსის ბრძანებით. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ვიპოვნეთ. ჰოსპიტალში გამოჯანმრთელებულ დაჭრილებს, რომელთაც რასაკვირველია შეეძლოთ სიარული, ჰოსპიტლის უფროსი ბრძანებით ინიშნავდა მსაჯულად. ისინიც დიდი სურვილით და ინტერესით იღებდნენ მონაწილეობას ჩვენს მუშაობაში. პირადად ჩემთან ერთ თვეზე მეტ ხანს იყო მსაჯულად მფრინავი უფროსი ლეიტენანტი, რომლის გვარი არ დამამახსოვრდა. დაზიანებული ჰქონდა ხელი. გმირობისა და მამაცობისათვის მას მინიჭებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მან ისე აითვისა ჩვენი მუშაობა, რომ ჩვენზე ცუდად არ ერკვეოდა საქმეებში და ამბობდა, რომ ომის შემდეგ აუცილებლად დაამთავრებდა იურიდიულ ინსტიტუტს, მფრინავის პროფესიის შეცვლას არ აპირებდა, მაგრამ თვლიდა, რომ იურიდიული ცოდნა ყველასთვის აუცილებელია. ეს მსაჯული ძალზე განათლებული, ერუდირებული, კულტურული კაცი იყო, მაგრამ სრულიად აუტანელი იყო მოღალატეთა მიმართ. გაიგებდა თუ არა, რომ ბრალდებული მუშაობდა ოკუპანტებთან პოლიციელად, მტკიცედ, უაჰელაციოდ შემოჰქონდა წინადადება: „დახვრეტილ იქნას წყეული!“ მე მესმოდა მისი —



სამხედრო მფრინავისა, რომელიც სულ 22 წლისა იყო. 3 წელი ყოველ წუთს სიკვდილის პირისპირ იდგა და არ ემინოდა მისი. აქ კი ბრალდებულის საქმეზე იჯდა მისი თანატოლი და ჰყვებოდა თუ როგორ მსახურობდა პოლიციაში. მე მესმოდა მისი, მაგრამ მხარს არ ვუჭერდი და იგი ხელს ჩაიქნევდა. მეთანხმებოდა ხოლმე უფრო ჰუმანურ განაჩენზე. შემდეგ მას მე აღარ შევხვედრივარ და არ ვიცი მართლა შევიდა თუ არა იგი იურიდიულ ინსტიტუტში.

ძალიან გვიჭირდა შოვნა ქალაქისა, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის წარმოება. მახსოვს, რომ ზოგჯერ საქმეების გაფორმება განაჩენის გარდა ხდებოდა გაზეთის ფურცლებზე. ამიტომ ყოველ ღონეს ვხმარობდით, რომ როგორმე გვეშოვა ქალაქი. ძნელი იყო განაჩენების გამრავლება და ხშირად ასლებს ხელით ვიღებდით.

ექვს არ იწვევს ის, რომ მოსამართლე ყველა შემთხვევაში უნდა იყოს ობიექტური, მაგრამ პირადი განცდები და სიძნელები მოქმედებდა ჩვენს შეგნებაზეც. მაგონდება რამდენადმე არაჩვეულებრივი საქმე, მდინარე ვოლხოვის რაიონში ჩვენი ნაწილი მოხვდა ალყაში. უფრო სწორად, სამი მხრიდან მტერი გვერტყა, მეოთხედან კი გაუვალე ჭაობი. ნაწილთან ერთად იყო ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის სესია ჩემი და მდივნის შემადგენლობით, აგრეთვე ფრონტის პროკურორის თანაშემწე, ჩემი ახლო მეგობარი ჟოვტენკო. 42 დღის განმავლობაში ვიცავდით თავს. გერმანელები მაინცდამაინც არ გვაწუხებდნენ და დანაკარგებიც უმნიშვნელო იყო, მაგრამ არ ვექონდა საკვები. თვითმფრინავედან გვიყრიდნენ ორცხობილას, რომელიც ხშირად იკარგებოდა. ჩვენს ყოველდღიურ ულუფას შეადგენდა სხვადასხვი სახით დამზადებული ფეტვის ბურღული, რომელიც საკმარისი რაოდენობით გვქონდა და 50 გრამი ორცხობილა. ვანსაკუთრებით გვტანჯავდა უმარტივობა. ოცდაათ წელზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ და არა თუ ჭამა, დანახვაც კი არ მინდა ფეტვის ბურღულის. ნაწილში გაჩნდა სურავანდისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებანი, რადგან ხანდახან ვჭამდით ბალახსა და ფოთლებს. ბევრი ჯარისკაცი იწვა სანიტარულ ნაწილში. ყოველდღიურად მდგომარეობა რთულდებოდა. ორმოცდამერვა დღეს ჭაობის მხრიდან მოვიდა ორი ჯარისკაცი და მოაჩანეს მოშუშეული ღორის ხორცის 34 ცალი პატარა ჭილა კონსერვი. ნაწილის უკუროსთან შეიკრიბა მეთაჯრთა მთელი შეჯამდგენლობა და გადაწყდა, რომ კონსერვები მიეცათ ავადმყოფებისათვის. მაგრამ დღით გამოირკვა, რომ არცერთი ჭილა აღარ დარჩა. თურმე ორ მზარეულს სადღაც ეშოვნათ შინაური არაყი და რამდენიმე ამხანაგთან ერთად მთლიანად შეესანსლათ 34 ჭილა კონსერვი. მათი ღირებულება უმნიშვნელო იყო, მაგრამ მთელი ნაწილი აღაშფოთა ამ შემთხვევამ და მეორე დღესვე გაიმართა სასამართლოს სხდომა. აღშფოთებულმა და მშვიერმა მოსამართლეებმა ორივე მზარეულს მიუსაჯა დახვრეტა, რაც მთელმა ნაწილმა ერთსულოვნად მოიწონა. მაგრამ ჭაობის მეშვეობით კავშირი დამყარებულ იქნა და კონსერვები უწყვეტად მოდიოდა, გაჩნდა ცხიმი, მარილი, შაქარი, გაიზარდა ორცხობილების ულუფა, რაღაცნაირად ყველამ ვიგრძინით განაჩენის უსამართლობა და გულითადად გაგვეხარდა, როცა დამნაშავეებს დახვრეტა შეუცვალეს 7 წლით თავისუფლების აღკვეთით და გააგზავნეს ფრონტზე სასჯელის მოსახდელად.

გავიდა წლები და ესლა ომის დამთავრების 30 წლის შემდეგ რომ მკითხოთ რა დამამახსოვრდა მე ყველაზე მეტად, რა იყო ყველაზე ძირითადი, მთავარი დაუფიქრებლად გიპასუხებთ: რწმენა! რწმენა პარტიისადმი, ხალხისადმი, გამარჯვებისადმი, უმაღლესი მთავარსარდლისადმი.







# ცვლილებანი საბჭოთა სახელმწიფო აპარატში სამაშალო ომის წლებში

პროფ. ვ. ერემოვი

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამსხვრია ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული ტიპის სახელმწიფო მექანიზმი და შექმნა ახალი სახელმწიფო აპარატი.

სახელმწიფო აპარატი უცვლელი როდინა. იგი მუდმივად ვითარდება საზოგადოებაში კლასთა თანაფარდობასა და ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებათა შესაბამისად. საბჭოთა სახელმწიფო აპარატი ასეთ ცვლილებებს განიცდიდა ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა ძირითად ეტაპებსა და პერიოდებში.

წინამდებარე სტატიაში შევჩერდებით საბჭოთა სახელმწიფო აპარატის სრულყოფისა და გარდაქმნის იმ ღონისძიებებზე, რაც განხორციელდა სამამულო ომის წლებში.

სამამულო ომის პერიოდში ყველაფერი დაუქვემდებარდა სამშობლოს დაცვის ინტერესებს. ეს მოითხოვდა სახელმწიფო აპარატის მთელი საქმიანობის გარდაქმნას საომარ, სამხედრო ყაიდაზე.

ომის დაწყების პირველ დღესვე 1941 წლის 22 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო რამდენიმე ბრძანებულება. მათ შორის პირველი იყო ბრძანებულება „სამხედრო წესების შესახებ“, რომლითაც უკრაინის, ბელორუსიის და ბალტიისპირეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში, რსფსრ-ს მთელ რიგ ოლქებში, ლენინგრადსა და კარელია ფინეთის სს რესპუბლიკაში გამოცხადდა სამხედრო წესები.

„იმ ადგილებში — ნათქვამი იყო ბრძანებულებაში — სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ყველა ფუნქცია თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის დარგში ეკუთვნის ფრონტების, არმიების სამხედრო ოლქების სამხედრო საბჭოებს, ხოლო იქ, სადაც სამხედრო საბჭოები არ არის, — ჯარის შენაერთების უმაღლეს სარდლობას“.<sup>1</sup>

ბრძანებულებით სამხედრო ხელისუფალნი ადიკტურვენ უფლებით: გაეწვიათ მოქალაქენი შრომის ბეგარაზე თავდაცვითი სამუშაოს შესასრულებლად, გზების, ნაგებობათა, კავშირგაბმულობის საშუალებათა, ელექტროსადგურების, ელექტროქსელებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი ობიექტების დასაცავად, ხანძართან, ეპიდემიასთან და სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად; გამოეცხადებინათ შრომის და ავტოსატრანსპორტის ბეგარა სამხედრო საჭიროებისათვის; მოეწესრიგებინათ დაწესებულებათა და საწარმოთა, მათ შორის თეატრების, კინოებისა და სხვ. მუშაობის დრო; აეკრძალათ ქუჩაში გამოსვლა განსაზღვრული დროის შემდეგ, შეეზღუდათ ქუჩაში მოძრაობა, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში მოეხდინათ ჩხრეკა და დაეკავებინათ საექვო პირნი; ად-

<sup>1</sup> გაზ „კომუნისტი“, 1941 წ. 23 ივნისი.



მინისტრაციული წესით გადაესახლებინათ იმ ადგილის ფარგლებიდან, სადაც გამოცხადებული იყო სამხედრო წესები ის პირნი, რომლებიც ცნობილი იყვნენ სოციალურად საშიშ პირებად, როგორც თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებით, ისე დანაშაულებრივ წრესთან ურთიერთობით.

ამავე ბრძანებულებით სამხედრო ხელისუფალთ უფლება მიენიჭათ:

„ა) გამოეცათ მთელი მოსახლეობისათვის სავალდებულო დადგენილებანი და დაეწესებინათ ამ დადგენილებათა შეუსრულებლობისათვის ადმინისტრაციული სასჯელი 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთის ან 3 000 მანეთამდე<sup>2</sup> ჯარიმის დადების სახით;

ბ) მიეცათ განკარგულებანი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის და მოეთხოვათ მათი უცილობლივ და დაუყოვნებლივ შესრულება“.

იქ, სადაც სამხედრო წესები გამოცხადდა, სამხედრო ტრიბუნალების განხილვას ექვემდებარებოდა საქმეები: სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ, სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა, აგრეთვე ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის შესახებ, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესრულებისათვის თავის არიდების შესახებ, იარაღის უკანონოდ ყიდვის, გაყიდვის და შენახვის, იარაღის დატაცების, სპეკულაციის, ბოროტული ხულიგნობის და სხვ. დანაშაულობათა შესახებ, რომელსაც სარდლობა საჭიროდ მიიჩნევდა სამხედრო წესების გარემოების მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმავე დღეს გამოაქვეყნა აგრეთვე ბრძანებულება — „ლენინგრადის, ბალტიისპირეთის განსაკუთრებულ, კიევის განსაკუთრებულ, ოდესის, ხარკოვის, ორიოლის, მოსკოვის, არხანგელსკის, ურალის, ციმბირის, ვოლგისპირეთის, ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქებში სამხედრო ვალდებულთა მობილიზაციის შესახებ“.

ბრძანებულება ითვალისწინებდა 1905—1918 წლებში დაბადებულ სამხედრო ვალდებულთა მობილიზაციას.

საკავშირო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 23 ივნისის დადგენილებით შეიქმნა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მთავარი სარდლობის ბანაკი. იმავე წლის 7 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბრძანებულებით ი. ბ. სტალინი დანიშნა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდლად, ხოლო მთავარსარდლობის ბანაკი გარდაქმნა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლობის ბანაკად.

რას წარმოადგენდა „უმაღლესი სარდლობის მთავარბანაკი“? ამაზე უპასუხებს საბჭოთა კავშირის მარშალ ივ. კ. ყუკოვი. „მთავარბანაკი, — აღნიშნავს იგი, — ეს ომის გონივრული ცენტრი იყო. ჯარისკაცი ხედავდა ფრონტის პატარა უბანს და იქ აკეთებდა თავის მხედრულ საქმეს. მთავარბანაკი ყველგან მთლიანობაში ხედავდა. მთავარბანაკში ნათქვამი სიტყვა უდიდეს არმიებს ამოძრავებდა. ძნელი გასაგები არ არის, თუ რა დიდი უნდა ყოფილიყო მთავარბანაკში მიღებული ყოველი გადაწყვეტილების სიბრძნე... მთავარბანაკი უმაღლესი რწმუნებით აღჭურვილ თავის წარმომადგენლებს გზავნიდა ომის გადამწყვეტ უბნებზე“.

ომიანობის პირობებში საბჭოთა სახელმწიფო აპარატში მომხდარ ზოგიერთ

<sup>2</sup> დღევანდელ ფულზე გადაანგარიშებით 300 მანეთამდე.



ცვლილებათა მიუხედავად ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები განაგრძობდნენ თავიანთ კონსტიტუციურ უფლებამოვალეობათა განხორციელებას. ისევე როგორც სხვა რთულ ვითარებაში, ახლაც კომუნისტურმა პარტიამ თავის თავზე აიღო ხელმძღვანელი როლი ხალხის დარაზმვისა გერმანელი ფაშისტების განადგურებისათვის.

ამ მხრივ ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სადირექტივო დოკუმენტია საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 29 ივნისის დადგენილება — „ფრონტისპირა ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისადმი“.

პარტიამ და მთავრობამ დაავალეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, რათა სწრაფად გარდაექმნათ მთელი თავიანთი საქმიანობა სამხედრო ყაიდაზე, ბოლო მოეღოთ გულდამწვინებისათვის, მოეხდინათ ორგანიზაციებისა და ხალხის მთელი ძალების მობილიზება მტრის გასანადგურებლად.

დადგენილება მოითხოვდა, რათა ყოველმხრივ დახმარებოდნენ არმიას, ორგანიზებულად ჩეტარებინათ მობილიზაცია, უზრუნველყნათ არმიის მომარაგება, ჩქაროსნულად გადაეტანათ სამხედრო საჭურვილი, გადაეყვანათ სამხედრო ნაწილები, ფართო დახმარება აღმოეჩინათ დაჭრილებისათვის.

უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქნა დასახული წითელი არმიის ზურგის განმტკიცება, ქარხნების, ელექტროსადგურების, ხიდების და სატელეფონო ქსელის დაცვა, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადათ ზურგის ყოველგვარ დეზორგანიზატორებს, დეზერტირებს, პანიკორებს, ცრუ ხმების გამავრცელებლებს, ჯაშუშებს, დივერსანტებს, მტრის პარაშუტისტებს.

პარტიამ და მთავრობამ მოითხოვეს, რათა მტრის მიერ დაკავებულ რაიონებში შექმნილიყო პარტიზანული რაზმები და სადივერსიო ჯგუფები მტრის ზურგში პარტიზანული ომის გასაჩაღებლად.

დადგენილებით განურჩევლად პიროვნებისა სამხედრო ტრიბუნალს უნდა გადასცემოდა იმ პირთა საქმე, ვინც თავისი პანიკორობითა და ლაჩრობით ხელს უშლიდა თავდაცვის საქმეს.<sup>3</sup>

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ომიანობის პირობებში საჭიროდ მიიჩნიეს შექმნილიყო საგანგებო ორგანო — თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი.

ერთობლივ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო და იმ მიზნით, რომ სწრაფად იქნას მობილიზებული სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალები მტრის უკუსაგდებად, რომელიც ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნეს:

1. შეიქმნას თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ამხ. ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით...

<sup>3</sup> დასახელებული დადგენილების ტექსტი იხ. Решения партии и правительства по хозяйственным вопросам (1917—1967 гг.), т. 3, стр. 38—40.



2. მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში თავმოყრილ იქნას თავდაცვის კომიტეტის ხელში;

3. დავალოს ყველა მოქალაქეს, ყველა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სამხედრო ორგანოს სიტყვაშეუბრუნებლად შეასრულონ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.<sup>4</sup>

„საგანგებო ვითარებაში, — ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, — პარტიამ, საბჭოთა ხალხმა განახორციელეს უდიდესი, ჭეშმარიტად გმირული ღონისძიებანი, რათა განემტკიცებინათ ჩვენი ქვეყანა შეკავშირებულ სამხედრო ბანაკად. შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ბ. სტალინის მეთაურობით მტრის მოსაგვრებლად მთელი მოქმედების ხელმძღვანელობისათვის. კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა უდიდესი მუშაობა გასწიეს ჩვენი ქვეყნის მთელი ძალების დასარაზმავად.“<sup>5</sup>

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წინასახეობას წარმოადგენდა მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო (1918 წ. 30 ნოემბერი), რომელიც შეიქმნა ვ. ი. ლენინის ინიციატივით სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში. მაგრამ მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოსთან შედარებით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის უფლებები საგრძნობლად იყო გაზრდილი. მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში თავმოყრილ იქნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი ერთნაირად სავალდებულო იყო პარტიულ და სახელმწიფო ორგანოთათვის, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებისათვის, სამხედრო ორგანოებისათვის. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებას კანონის ძალა ჰქონდა.<sup>6</sup> სამამულო ომის პერიოდში (1941 წ. 30 ივნისიდან — 1945 წლის 4 სექტემბრამდე) თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა 10 ათასამდე ასეთი ხაზის აქტი მიიღო.<sup>7</sup>

ომისაღების დროს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები მოწოდებული იყვნენ უზრუნველყოთ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ღირებულებების ზუსტად და დროულად შესრულება. ამ პრინციპის დაცვა შეადგენდა სამამულო ომის პერიოდში სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის ძირითად შინაარსს.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს, თავისი ღირებულებების ოპერატიულად შესრულებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად, ყოველ სამხედრო-სამრეწველო-სახალხო კომისარიატთან და უწყებასთან ჰყავდა თავისი რწმუნებული. როგორც წესი, რწმუნებულებად ინიშნებოდნენ მსხვილ სამრეწველო სამხარეო და საოლქო პარტიული კომიტეტების მდივნები. საჭიროებისამებრ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან იქმნებოდა სპეციალური კომიტეტები და კომისიები.

თავდაცვის კომიტეტები შეიქმნა ზოგიერთ მოკავშირე საბჭოთა სოცია-

<sup>4</sup> Ведомости Верховного Совета СССР, 1941 г., № 31; გაზ. «კომუნისტი» 1941 წ. 1 ივლისი.

<sup>5</sup> ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება, 1965 წ., გვ. 10.

<sup>6</sup> იხ. История Коммунистической партии Советского Союза, 1970 г., т. 5, стр. 164

<sup>7</sup> იხ. იქვე, ტ. 6, გვ. 104.



ლისტურ რესპუბლიკაშიც. მაგალითად, 1941 წლის 11 ივლისს შეიქმნა ესტონეთის სსრ თავდაცვის რესპუბლიკური კომიტეტი.<sup>8</sup>

ფრონტისპირა ქალაქებში შექმნილი იყო თავდაცვის საქალაქო კომიტეტები, ისინი წარმოადგენდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივ ორგანოებს.

საომარი მოქმედების პერიოდში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს თავდაცვის საქალაქო კომიტეტებმა.

იმ მიზნით, რომ ყველა ძალა და საშუალება ადგილზე სასწრაფოდ ყოფილიყო მობილიზებული მტრის უკუსაგდებად, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა 1941 წლის 22 და 23 ოქტომბრის, 3 და 18 ნოემბრის დადგენილებით სევასტოპოლში, სტალინგრადში, ტულაში, მოსკოვში, ლენინგრადში, როსტოვში, კურსკში, მურმანსკში, ვორონეჟში, კალინინში, ასტრახანში, ივანოვოში და სხვ., სულ 80-ზე მეტ ფრონტისპირა ქალაქში შეიქმნა თავდაცვის საქალაქო კომიტეტი.

თავდაცვის საქალაქო კომიტეტები პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიერ იქმნებოდნენ. მათი მიზანი იყო მტრის საწინააღმდეგო ყველა ძალების სწრაფი მობილიზება, ისინი არ წარმოადგენდნენ ერთადერთ სახელმწიფოებრივ ორგანოებს, საბჭოების მთელი სისტემა უცვლელად შენარჩუნებულ იქნა, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას ამ პერიოდშიც საბჭოები წარმოადგენდნენ.

როგორც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, ისე თავდაცვის ადგილობრივი (საქალაქო) კომიტეტები წარმოადგენდნენ საბჭოთა ხელისუფლების საგანგებო ორგანოებს.

რატომ ეწოდებოდა მათ საგანგებო ორგანოები? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ომის პირობებშიც საბჭოთა სახელმწიფოს ყველა კონსტიტუციური უმადლესი და ადგილობრივი ორგანო დარჩა და განაგრძობდა ფუნქციონირებას. საჭირო ცვლილებები ხდებოდა მათ ფუნქციებში, სტრუქტურაში და ორგანიზაციულ ფორმებში, ხოლო მათ გვერდით ომიანობის პირობებთან დაკავშირებით შეიქმნა დასახელებული კომიტეტები. დამთავრდა თუ არა სამამულო ომი, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი გაუქმდა, ხოლო მისი ადგილობრივი ორგანოები — თავდაცვის საქალაქო კომიტეტები უქმდებოდა მას შემდეგ, რაც ფრონტი ქალაქიდან 50-100 კილომეტრით გადაიწვედა, ე. ი. მას შემდეგ, რაც მტრის მიერ ამ ქალაქის დაპყრობის უშუალო საფრთხე იხსნებოდა.

თავდაცვის საქალაქო კომიტეტები სამხედრო-ორგანიზატორული და სამობილიზაციო ცენტრები იყო ადგილებზე. ისინი ომის ინტერესებს უქვემდებარებდნენ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მთელს საქმიანობას. ხელმძღვანელობდნენ თავდაცვით მშენებლობას, ქმნიდნენ აირსაწინააღმდეგო დაცვას, წვრთნიდნენ ნებაყოფლობით სახალხო ლაშქარს, აწყობდნენ ადგილობრივ საწარმოებში საბრძოლო იარაღის წარმოებასა და დაზიანებულის შეკეთებას, უძღვებოდნენ ტრანსპორტის მუშაობას.

თავდაცვის საქალაქო კომიტეტები აგებდნენ თავდაცვის სიმაგრეებს, აწვავდნენ მოსახლეობას ტანკების წინააღმდეგ ბრძოლას, სამხედრო საქმეს, საჭიროებისამებრ ახდენდნენ ქალაქების საწარმოთა და იქ მომუშავეთა ევაკუა-

<sup>8</sup> იხ. СССР в Великой Отечественной войне 1941—1945 гг., 1970, стр. 39.



ციას ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, ზრუნავდნენ საწვავზე, აგებდნენ ბარიკადებს, აწყობდნენ ქუჩების დაცვას, თხრიდნენ ტანკსაწინააღმდეგო ორმოებს და ა. შ.

თავდაცვის საქალაქო კომიტეტები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებდნენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამის საბჭოს, მის აღმასკომთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მტკიცე კონტაქტში.

თავდაცვის საქალაქო კომიტეტების შემადგენლობაში შედიოდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო ან რაიონული კომიტეტების მდივნები (თავმჯდომარე), შესაბამისი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარენი (თავმჯდომარის მოადგილე), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების (სამმართველოების) უფროსები, ქალაქის კომენდანტი და სხვ.

როგორც წესი, პარტიის საოლქო კომიტეტის, ქალაქის კომიტეტის ან რაიონის აპარატი იქცეოდა ქალაქის თავდაცვის კომიტეტის აპარატად. ქალაქის თავდაცვის კომიტეტები უშუალოდ ექვემდებარებოდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს.

როგორც ვხედავთ, არც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს და არც საქალაქო თავდაცვის კომიტეტებს თავიანთი საკუთარი აპარატი არ გააჩნდათ, ისინი მოქმედებდნენ პარტიული ორგანიზაციების, კონსტიტუციური სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით.

მოსკოვსა და ლენინგრადში თავდაცვის საქალაქო კომიტეტების არსებობის მიუხედავად, ამ ქალაქების დაცვას უშუალოდ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ხელმძღვანელობდა.<sup>9</sup>

როგორც ითქვა, თავდაცვის კომიტეტები ყველგან იქმნებოდა, სადაც კი ფრონტი ახლოვდებოდა. ასე იყო საქართველოშიც. „ჯერ კიდევ 1942 წლის აგვისტოს დამდეგს სოხუმში, ბათუმში, ფოთში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში შეიქმნა თავდაცვის კომიტეტები. ამ კომიტეტების თავმჯდომარეებად დაინიშნენ საქართველოს კპ(ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ბარამია, საქართველოს კპ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. თვალჭრელიძე და საქართველოს კპ(ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გაბუნია.“

ეს კომიტეტები ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით ეწეოდნენ დიდ მუშაობას ფრონტისათვის დახმარების გაწევის, ამიერკავკასიის ფრონტისა და შავი ზღვის ფლოტის სარდლობის დავალებათა განსახორციელებლად ადამიანთა ძალებისა და მატერიალური რესურსების მობილიზაციის საქმეში.<sup>10</sup>

ხელისუფლების უმადლესი და ადგილობრივი ორგანოების გვერდით საგანგებო ორგანოების შექმნით არ ამოიწურება ცვლილებანი საბჭოთა სახელმწიფო აპარატში სამამულო ომის პერიოდში.

ცვლილება მოხდა მმართველობის უმადლეს და ცენტრალურ აპარატშიც. 1944 წლის მაისში, სახალხო კომისარიატებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, შეიქმნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ბიურო. სახკომსაბჭოს ბიურო მოქმედებდა სახკომსაბჭოს სახელით, ამტ-

<sup>9</sup> История государства и права СССР, 1966 г., стр. 353.

<sup>10</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), 1971 წ., გვ. 757—758.



კიცებდა საწარმოთა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მომარაგებისა დაკრედიტების გეგმებს, წყვეტდა სახალხო კომისარიატების, კომიტეტებისა და სამმართველოების პრაქტიკულ საკითხებს. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ბიუროსთან შეიქმნა მუშა-ძალის განაწილების კომიტეტი.

სახალხო კომისართა საბჭოების ბიუროები შეიქმნა მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებშიც.<sup>11</sup>

სამამულო ომის პერიოდში ზოგიერთი სახალხო კომისარიატი გარდაიქმნა, ზოგიერთი კი სამხედრო პირობების შესატყვისად ახლად ჩამოყალიბდა. იყო შემთხვევები სახალხო კომისარიატის გაყოფისა, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კომისარიატის საკავშირო-რესპუბლიკური ტიპის კომისარიატად გარდაქმნისაც და ა. შ.

1941 წლის 11 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიქმნა სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატი, იმავე წლის 26 ნოემბრიდან საერთო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი გარდაიქმნა ნალმატყორცნი შეიარაღების სახალხო კომისარიატად. საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატი კი შექმნილი იყო სამამულო ომის დაწყების წინ.

ომის პერიოდში შეიქმნა აგრეთვე შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების სახალხო კომისარიატები, სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით მომარაგების, სახალხო მეურნეობის ტყის მასალით მომარაგების, წითელი არმიის საწვავი მასალით მომარაგების მთავარი სამმართველოები და რიგი სხვ.

ცვლილებები მოხდა თვით სახალხო კომისარიატების სტრუქტურაშიც. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატში შეიქმნა სამხედრო საგზაო მშენებლობის სამმართველო; 1943 წლის 15 აპრილისა და 9 მაისის ბრძანებულებით რკინიგზის, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტი გადაყვანილ იქნა სამხედრო მდგომარეობაზე, განხორციელდა სამხედრო წესები.<sup>12</sup>

გზათა სახალხო კომისარიატს ფრონტებზე ჰყავდა თავისი რწმუნებულები. ასევე თავისი განყოფილებები და კანტორები გააჩნდათ ფრონტებზე კავშირგამბულობის სამინისტროს, სახბანკს და სხვ.

სამამულო ომის პერიოდში (1942 წლის დასაწყისში), შეიქმნა „სატრანსპორტო კომიტეტი“, რომელიც აერთიანებდა სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის მუშაობას და აწესებდა მიმოზიდვის სახელმწიფო გეგმებს.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა მთავარი სამხედრო ვაჭრობა („გლავგოენტორგ“), ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან — საევაკუაციო ჰოსპიტლების განყოფილება, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში 1941 წლის 24 ივნისიდან შექმნილი იყო საბჭოთა საინფორმაციო ბიურო და ა. შ.

სამამულო ომის პერიოდში სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეიქმნა: წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო ტრიბუნალების მთავარი სამმართველო, რკინიგზისა და წყლის

<sup>11</sup> 1953 წლიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან ბიუროს ნაცვლად არსებობს პრეზიდიუმი. შემდეგში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებშიც მოხდა ანალოგიური ცვლილება.

<sup>12</sup> იხ. გაზ. „პრავდა“ 1943 წ. 17 აპრილის მოწინავე წერილი „სამხედრო წესები სსრ კავშირის რკინიგზებზე“. „საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე სამხედრო წესების შემოღების შესახებ“ ბრძანებულების ტექსტი იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1943 წ. 11 მაისი.



ტრანსპორტის სამხედრო ტრიბუნალების მთავარი სამმართველო, აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების სამხედრო ტრიბუნალების სამმართველო.<sup>13</sup>

1941 წლის 24 ივნისს საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით შეიქმნა „ევაკუაციის საქმეთა საბჭო“, სახალხო კომისარიატებთან და უწყებებთან კი — საევაკუაციო ბიუროები და კომიტეტები. 1941 წლის ოქტომბერში შეიქმნა სასურსათო მარაგის, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სამრეწველო საქონლის ევაკუაციის კომიტეტი. 1941 წლის 26 სექტემბერს „ევაკუაციის საქმეთა საბჭოსთან“ შეიქმნა „მოსახლეობის ევაკუაციის სამმართველო“.

არც ევაკუაციის სამმართველოს და არც საბჭოს თავისი სპეციალური აპარატი არ გააჩნდათ, ისინი თავიანთ მუშაობას ატარებდნენ სახალხო კომისარიატებისა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მეშვეობით.

საბჭოთა არმიის მიერ გერმანელი ფაშისტებისაგან დროებით ოკუპირებული ტერიტორიის განთავისუფლებისას ევაკუირებული მოქალაქენი უბრუნდებოდნენ თავიანთ სოფლებსა და ქალაქებს. აქაც საჭირო იყო ორგანიზებული მოქმედება. ამ მიზნით სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის საბჭოსთან შეიქმნა რეპატრიაციის საქმეთა ცენტრალური სამმართველო. ჩვენი ქვეყნის დასავლეთის რესპუბლიკების სახალხო კომისარიატის საბჭოებთან კი რეპატრიაციის განყოფილებანი. განყოფილებანი შეიქმნა სამხარეო, საოლქო და სარაიონო მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთანაც.

სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებშივე, კერძოდ 1941 წლის 30 ივნისს, შრომისუნარიან მოქალაქეთა მობილიზაციის მიზნით, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან შეიქმნა მუშა ძალის აღრიცხვისა და განაწილების კომიტეტი, ხოლო 1942 წლიდან მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან და მხარეებისა და ოლქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან — მუშა ძალის აღრიცხვისა და განაწილების ბიუროები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის საბჭოს 1943 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან შეიქმნა „გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული რაიონების მეურნეობის აღდგენის კომიტეტი“. ამავე პერიოდში დასავლეთის რესპუბლიკებში შეიქმნა საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები, ხოლო სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან — არქიტექტურის საქმეთა კომიტეტი.

სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის საბჭომ 1944 წლის 4 ოქტომბერს მიიღო დადგენილება გერმანიის ტერიტორიაზე ძალით წაყვანილ ტყვეობაში მყოფ საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის შესახებ. დადგენილებით დაინიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს რწმუნებული საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის საქმეებზე.<sup>14</sup>

სამამულო ომის პერიოდში სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებით შეიქმნა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭო.

<sup>13</sup> იხ. В. А. Власов, Советский государственный аппарат, 1951 г., стр. 379.

<sup>14</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1944 წ. 25 ოქტომბერი; История СССР, 1970 г., стр. 306.





ცვლილებები მოხდა აგრეთვე ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებშიც.

მართალია, სამამულო ომის პერიოდში ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები ფუნქციონირებდნენ, მაგრამ მათი უფლებამოსილების სფერო სამხედრო მშენებლობის, თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის, უშიშროების დაცვისა და ბევრ სხვა საქმიანობაში მნიშვნელოვნად შეიზღუდა.

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მოვალენი იყვნენ სრული დახმარება გაეწიათ სამხედრო სარდლობისათვის იმ მხრივ, რომ მოცემული ადგილის ძალები და საშუალები გამოეყენებინათ ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის და საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად.

განსხვავებული იყო ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობის სტილი ფრონტისპირა ტერიტორიაზე, ჩვენი ქვეყნის ზურგში და მტრის ზურგში, აგრეთვე მტრის ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიებზე.

ომის პერიოდში საჭირო გახდა საბჭოების, როგორც ქვეყნის პოლიტიკური საფუძვლის, კიდევ უფრო განმტკიცება. გაზ. „პრავდა“ მიუთითებდა, რომ „მთელი ჩვენი ცხოვრების სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნაში დიდი როლი ეკუთვნის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — საბჭოთა წყობილების საფუძველს.

ომმა საბჭოების წინაშე დასახა უაღრესად სერიოზული ამოცანები, რომელთა გადაჭრაზე ბევრად არის დამოკიდებული პიტლერელ ავაზაკთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება“.<sup>15</sup>

ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სოციალისტური კანონიერების დაცვა, ბრძოლა ცრუ ხმების გამავრცელებელთა წინააღმდეგ, ადგილობრივი საპაერო თავდაცვის მოწყობა და ა. შ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „პრავდა“ 1942 წლის 3 ივლისის ნომერში აღნიშნავდა, რომ „ომმა მილიციის ორგანოების წინაშე მთელი რიგი ახალი რთული ამოცანები დააყენა, და საბჭოთა მილიცია წარმატებით ართმევს თავს ამ ამოცანებს“.

ომის პერიოდში შეიქმნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი საპაერო თავდაცვის ორგანოები. კერძოდ, ქალაქ თბილისში მშინ არსებობდა ადგილობრივი საპაერო თავდაცვის შტაბი,<sup>16</sup> ხოლო თბილისის საბჭოსთან შექმნილი იყო „მუდმივმოქმედი თავდაცვის კომისია“.<sup>17</sup>

სამამულო ომის პერიოდში მოცემულ ტერიტორიაზე სანიტარული პირობების დასაცავად, საბარათო სისტემის წესების დაცვისა, უპატრონო ბავშვებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად და ა. შ. შექმნილ იქნა ქუჩის კომიტეტები. დასახელებული კომიტეტები ღრესაც მოქმედებენ, მაგრამ შედარებით განსხვავებული ფუნქციებით.

ადგილობრივი საბჭოები ზრუნავდნენ ფრონტიდან დაბრუნებულ დემობილიზებულ ინვალიდთათვის შრომითი, საბინაო და სხვა მოწყობისათვის, ეხმარებოდნენ ფრონტელთა ოჯახებს, მოხუცებს, ბავშვებს.

1943 წლის მარტში საოლქო, სამხარეო, ქალაქებისა და რაიონების აღმას-

<sup>15</sup> იხ. გაზ. „პრავდა“, 1942 წ. 27 აპრილის მოწინავე წერილი „საბჭოების გადაუღებელი ამოცანები“.

<sup>16</sup> შტაბის უფროსი იყო მაიორი კორძაძე (იხ. გაზეთ „კომუნისტი“, 1942 წ. 19 აგვისტო).

<sup>17</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1942 წ. 28 მარტი.



კომებთან შეიქმნა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სპეციალური განყოფილებანი, იგრეთვე ანალოგიური მუდმივი კომისიები ადგილობრივ საბჭოებთან. ადგილობრივი საბჭოები თავიანთ შესაბამის ტერიტორიებზე ატარებდნენ „სანიტარულ დეკადებს“, იცავდნენ სანიტარულ წესებს, იბრძოდნენ ეპიდემიების ჩანასახთა წინააღმდეგ, მზრუნველობდნენ მათ ტერიტორიაზე მყოფ ჰოსპიტლებს.<sup>18</sup>

სამამულო ომის პერიოდში გაიზარდა სამრეწველო მშენებარე ობიექტები, ამის შედეგად გაიზარდა ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობაც. ამან გამოიწვია ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დაწვრილ-ერთეულება. რსფსრ-ში ამ პერიოდში შეიქმნა 14 ახალი ოლქი, უკრაინის სსრესპუბლიკაში — 1 ახალი ოლქი, ბელორუსიის სსრ-ში — 3 ოლქი; ყაზახეთში — 2; ტაჯიკეთში, თურქმენეთში, უზბეკეთში და ყირგიზეთში — თითო-თითო ახალი ოლქები!<sup>19</sup>

საბჭოებმა სამამულო ომის პერიოდში არსებითად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა, შეუფარდეს იგი ფრონტის ინტერესებს. საბჭოები ომის პერიოდში დაძაბულად მუშაობდნენ, მაგრამ, ომიანობის პირობებში არა მარტო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადები ირღვეოდა, არამედ — ადგილობრივი საბჭოებისაც. საბჭოების დეპუტატთა დიდი ნაწილი არმიაში იყო გაწვეული. შექმნილი ვითარება არ იძლეოდა საბჭოების რეგულარულად მუშაობის შესაძლებლობას.

როგორც ცნობილად, საბჭოების სესიების მოწვევისას დაცულ უნდა იქნას კონსტიტუციური მოთხოვნა ქვორუმის შესახებ. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ საბჭოს სესია მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი, როდესაც მას ესწრება საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის, სულ ცოტა, ორი მესამედი.

შეიძლებოდა თუ არა სამამულო ომის პერიოდში ასეთი კონსტიტუციური ნორმის დაცვა? მას თითქმის ვერც ერთი საბჭო ვერ შეასრულებდა. ამ მიზეზით საბჭოების მუშაობა საერთოდ რომ არ შეწყვეტილიყო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შესაძლებლად მიიჩნია სამამულო ომის პერიოდში სესიაზე დამსწრეთა დადგენილი ქვორუმი, ე. ი. ორი მესამედი გათვალისწინებულიყო არა დეპუტატთა „საერთო რაოდენობიდან“, არამედ „სახეზე მყოფ“ დეპუტატთაგან.<sup>20</sup>

მთელ რიგ ფუნქციას სამამულო ომის პერიოდში, ასრულებდა მისი აღმასკომი. ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა განთავისუფლებულ რაიონებში, სადაც იზრდებოდა აღმასრულებელი ორგანოების როლი.

როგორც წესი, არჩევით ორგანოებში დაუშვებელია კოოპტაცია. სამამულო ომის პირობებიდან გამომდინარე, დასაშვებად იქნა მიჩნეული კოოპტაცია. ზემდგომი საბჭოს აღმასკომს შეეძლო კოოპტაციის წესით შეევსო ქვემდგომი აღმასკომი. უფრო მეტიც, აღმასკომში შეიძლება შეეყვანათ არადეპუტატიც კი.

იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც დეპუტატთა

<sup>18</sup> იხ. А. Лепешкин, Вместе со всем народом (Журн. «Своеты депутатов трудящихся», 1970 г., № 5, стр. 25-29).

<sup>19</sup> В. А. Власов, Советский государственный аппарат, 1951 г., стр. 381-382.

<sup>20</sup> Журн. «Советы депутатов трудящихся», 1970 г., № 5, стр. 29; А. А. Аскеров, Очерки советского строительства, 1953 г., стр. 209.



მცირერიცხოვნობის გამო საბჭოს სესიის მოწვევა შეუძლებელი ხდებოდა, აღმასრულებელი კომიტეტები სისტემატურად იწვევდნენ მოქალაქეთა საერთო კრებებს და მათი მონაწილეობით წყვეტდნენ მნიშვნელოვან საკითხებს. ეს იყო სახელმწიფოებრივ მმართველობაში მასების მონაწილეობის მნიშვნელოვანი ფორმა.

იმ ტერიტორიაზე, სადაც ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ აღარ იყო დარჩენილი არც ერთი დეპუტატი, ამომრჩეველთა კრება აღადგენდა საბჭოთა ხელისუფლებას. კრებაზე უშუალოდ ირჩეოდა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა მოცემულ ტერიტორიაზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ფუნქციების განხორციელება.<sup>21</sup>

სამამულო ომის პერიოდში მუშაობა გარდაქმნეს საბჭოების მუდმივმა კომისიებად. მართალია ზოგ კომისიაში 1 და 2 დეპუტატი იყო, მაგრამ კომისიების საქმიანობა საერთოდ არ შეწყვეტილა. უფრო მეტიც, მაშინ შეიქმნა ზოგიერთი ახალი მუდმივი კომისია, მაგალითად, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის მუდმივი კომისია.

შეუძლებელია სამამულო ომის პირობებთან დაკავშირებით ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში მომხდარი ყველა ცვლილების ასახვა, ერთ საყოფარჩევანო წერილში. მკითხველთა ყურადღება ჩვენ შევაჩერეთ შედარებით მნიშვნელოვან ცვლილებებზე.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სამხედრო ყაიდაზე არსებული სახელმწიფო აპარატი მოკლე დროის განმავლობაში გარდაიქმნა სამშვიდობო პირობებისათვის შესატყვის აპარატად. პირველ ყოვლისა გაუქმდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი.

1945 წლის 4 სექტემბრის თარიღით ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ“. ბრძანებულებაში ჩაწერილია: „ომის დამთავრებასა და ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული მდგომარეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით ცნობილ იქნას, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შემდგომი არსებობა აუცილებლობას არ წარმოადგენს, რის გამოც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი გაუქმდეს და მთელი მისი საქმეები გადაეცეს სსრ კავშირის სახალხო კომისარტა საბჭოს“.<sup>22</sup>

დაიწყო საბჭოების მუშაობაში ომამდელი მდგომარეობის სრული აღდგენა, სახელმწიფო აპარატის უკუგარდაქმნა.

საბჭოთა სახელმწიფო აპარატი ეს მართლა მანქანა, შენობა ან თანამდებობის პირთა კაბინეტები კი არ არის. აპარატი ეს ადამიანებია, ეს არის მუშაკები, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა მიანდო უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა — იზრუნოს ქვეყნის დაცვისათვის, ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

<sup>21</sup> Очерки по истории органов советской государственной власти, 1949 г., стр. 327.

<sup>22</sup> Ведомости Верховного Совета СССР, 1945 г., № 1.

აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნა საკ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ერთობლივი დადგენილებით, ხოლო გაუქმდა მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით.



იბრძოლოს ყველა პირობებში (მათ შორის საომარ მდგომარეობაშიც) თანაბარი რიტმულობითა და საქმის მოთხოვნათა შესაბამისობით.

სახელმწიფო აპარატი რთული მექანიზმია, იგი შეიცავს სამეურნეო, კულტურის, სოციალურ-ეკონომიური, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და სხვა ხასიათის ორგანოებს. იგი, როგორც წესი, ყოველთვის შეიცავს სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობის ორგანოებსაც. საომარი მოქმედების პირობებში კი საბჭოთა სახელმწიფოს მთელი აპარატის მოქმედება დაუქვემდებარდა სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის ორგანოთა საქმიანობას, უკეთ რომ ვთქვათ „აპარატი ჩვენი ქვეყნის მთელი სამხედრო ორგანიზმის შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი ხდება“.

სამამულო ომის დამთავრებიდან 30 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სამშვიდობო პირობებში საბჭოთა სახელმწიფო აპარატი გარდაქმნილია ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის განხორციელებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო აპარატი ყველა პირობებში ემსახურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ღირექტივების განხორციელებას. მისი ძირითადი ამოცანა, ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ამ ეტაპზე, არის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აგება და ადამიანთა აღზრდა. ამ მიზნით ჩვენ სისტემატურად ვამარტივებთ, ვაუმჯობესებთ და სრულგყოფთ, კიდევ უფრო ვაახლოვებთ ხალხთა მასებთან და ვაიაფებთ სახელმწიფო აპარატს, ვაძლიერებთ მას და ვამზადებთ პირობებს კომუნისტური თვითმმართველობის შექმნისათვის.



# ჯერომა ჰოლის შეხედულება დაუდევრობის დასჯადობაზე და მისი ქრიზიკა

## 8. უპრეხელიკა

დაუდევრობით ჩადენილი ქცევის დასჯადობას მეცნიერ იურისტთა შორის მუდამ ჰყავდა და ამჟამადაც ჰყავს მოწინააღმდეგენი. ამათგან სისხლის სამართლის თანამედროვე უცხოურ ლიტერატურაში განსაკუთრებით გამოირჩევა ცნობილი ამერიკელი სამართალმცოდნე ჯერომ ჰოლი.

დაუდევრობის დასჯადობის დაუსაბუთებლობა და მისი გაუქმების საჭიროება ჯ. ჰოლს უწინაც ბევრჯერ უმტკიცებია<sup>1</sup>. მაგრამ ყველაზე მეტ მონდომებას ამ მხრივ იგი ამჟღავნებს სტატიაში<sup>2</sup>, რომლის ადრეული ვარიანტი მოხსენების სახით წარუდგინა სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის VIII კონგრესს ლისაბონში 1961 წელს.

სისხლის სამართლის სფეროდან დაუდევრობის განდევნისათვის ჰოლი ისტორიულ, ეთიკურ და, როგორც თვითონ უწოდებს, მეცნიერულ მოსაზრებებს იშველიებს.

ისტორიული ხასიათის მოსაზრებად ჰოლი მიიჩნევს „სისხლის სამართალში დაუდევრობის სფეროს პროგრესულ შეზღუდვას მრავალი, თითქმის ყველა თანამედროვე, საკანონმდებლო სისტემის მიერ“<sup>3</sup> იგი თვლის, რომ „ასეთი ტენდენცია ღრმად შეიჭრა ინგლის-ამერიკის სამართალში“<sup>4</sup>.

ჰოლი ლიტონ განცხადებას სჯერდება და არ მიუთითებს, თუ რა საკანონმდებლო მასალა აქვს მხედველობაში. საეჭვოა, მას სარწმუნო საბუთი ჰქონდეს ნაგულგები. მას შემდეგ, რაც დაუდევრობა ბრალის დამოუკიდებელ სახედ გამოიყურა<sup>5</sup>, იგი სულ უფრო და უფრო მეტად იკიდებდა ფეხს სისხლის სამართალში. დროთა განმავლობაში დაუდევრობა სისხლის სამართლის განუყოფელ კუთვნილებად იქცა. თანამედროვე ევროპულ ქვეყნებში კი დაუდევრობის დასჯადობის სფერო არათუ არ ვიწროვდება, არამედ ფართოვდება კიდევაც უპირატესად ატომური კანონებით გათვალისწინებული გაუფრთხილებლობითი დელიქტების ხარჯზე<sup>6</sup>.

თავისებური ვითარებაა ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში, სადაც საერთო სამართლის პრინციპებიც მოქმედებს (common law) და სასტატუტო სამართლის ნორმებიც (statute law). ამ უკანასკნელ წლებში ამერიკის

<sup>1</sup> იხ. Jerome Hall, *General Principles of Criminal Law*, 1947, p. 237-246; *Studies in Jurisprudence and Criminal Theory*, New York, 1957, p. 256-257.

<sup>2</sup> იხ. J. Hall, *Negligent Behavior Should be Excluded from Penal Liability*, «Columbia Law Review», 1963, Vol. 63, № 4, p. 632.

<sup>3</sup> J. Hall, *Negligent Behavior...*, p. 634.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იხ. Г. С. Фельдштейн, *Учение о формах виновности в уголовном праве*, М., 1902, стр. 70-74.

<sup>6</sup> იხ. U. Nehring, *Strafnormen im Atomenergierecht*, göttingen, 1965, E. R. Frey, *Die Gefährdungstrafatbestände des schweizerischen Atomgesetzes und ihre dogmatische Bedeutung*, «Schweizerische Zeitschrift für Strafrecht», 1962, Band 78, Heft 1, S. 70-105.



შეერთებულ შტატებში მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი კოდექსები.

მრავალრიცხოვან ინგლისურ-ამერიკულ სტატუტებსა თუ კოდექსებში დასჯადი დაუდევრობის შემთხვევათა რიცხვი თანდათანობით ისევე მატულობს, როგორც ევროპული სისტემის კანონმდებლობებში. ეს იმდენად აშკარაა, რომ საგანგებო მტკიცებას არც კი საჭიროებს. ამიტომ ჰოლის დებულება, რომ ინგლის-ამერიკის სამართალში შეიჭრა დაუდევრობის დასჯადობის შეზღუდვის ტენდენცია, მხოლოდ საერთო სამართლის მიმართ თუ ინარჩუნებს ძალას. საერთო სამართალში კი თავის დროზე მართლაც დაისახა ასეთი ტენდენცია. დაახლოებით XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოკიდებული შეიმჩნევა ცდები არ დაესაჯათ სუბიექტი ე. წ. „ჩვეულებრივი დაუდევრობისათვის“ (ordinary negligence). სასამართლო დოკუმენტებში, ისევე როგორც მეცნიერთა ნაშრომებში, ვხვდებით მითითებებს, რომ სასჯელი უნდა დაეკისროს მხოლოდ ისეთ პირს, ვინც გამოიჩინა სამოქალაქო სამართლებრივ დაუდევრობაზე უფრო მაღალი ხარისხის დაუდევრობა.<sup>7</sup> მაგრამ თუ რა ხარისხის დაუდევრობაა საჭირო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, ამ კითხვაზე ინგლის-ამერიკის პრეცედენტი და დოქტრინა ერთგვაროვან პასუხს არ იძლეოდა. მოსამართლეები და მეცნიერები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საჭირო დაუდევრობის ხარისხს განსაზღვრავდნენ როგორც „უხეშ“, „ბოროტ“, „წმინდა“, „სრულ“, „ბრალეულ“, „კრიმინალურ“, ან „განუსჯელ“ დაუდევრობას.<sup>8</sup> განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი ე. წ. „განუსჯელი დაუდევრობის“ ცნებამ (reckless negligence), რომელიც სისხლისსამართლებრივი დაუდევრობის ექვივალენტად განიხილებოდა.

მრავალრიცხოვანი ცდები დაუდევრობის სფეროს შემოფარგვლისა მიმე შემთხვევებით უთუოდ მიჩვენებელია დაუდევრობის დასჯადობის შეზღუდვის ტენდენციისა საერთო სამართალში. მაგრამ ვერ ითქმის, რომ ეს ტენდენცია დამახასიათებელი იყოს ინგლის-ამერიკის სისხლის სამართლისათვის მთლიანად. საერთო სამართლის დებულებანი ხომ დღითი-დღე კარგავენ იურიდიულ ძალას იმის გამო, რომ ინგლის-ამერიკის სამართალში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანონმდებლობა გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს<sup>9</sup>.

უფრო ანგარიშგასაწევია ჰოლის მსჯელობის ის მხარე, რომელიც დაუდევრობის დასჯადობის ზნეობრივ დასაბუთებას ეხება.

ჰოლი ემყარება ჰეგელის სამართლის ფილოსოფიას, რომლის მიხედვით ბრალი გულისხმობს მხოლოდ შეგნებულ უმართლობას. ვინაიდან დაუდევრობა გამორიცხავს ზიანის მიყენების შეგნებას, იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ბრალი. ამიტომ დაუდევრობის დასჯადად გამოცხადება, ჰოლის მიხედვით, ნიშნავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მორალური საწყისების უარყოფას.

ჰოლის პოზიცია არ არის ბოლომდე თანმიმდევრული. ზოგჯერ ის თითონაც აღიარებს, რომ უყურადღებობა, წინდაუხედავობა შეიძლება გასაკიცხი იყოს. „თუმცა ეს თვისებები — წერს ჰოლი,— შეიძლება გასაკიცხი იყოს, მაგრამ შეგ-

<sup>7</sup> იხ. მაგალითად, J. W. Cecil Turner and A. L. L. Armitage, Cases on Criminal Law, R. V. Bateman, Cambridge, 1953, p. 147.

<sup>8</sup> R. Moreland, A Rationale of Criminal Negligence, Lexington (Kentucky), 1944, p. 28.

<sup>9</sup> იხ. B. Goodhart, Precedent in English and Continental Law, «Law Quarterly Review», № 97, p. 64-65.





ნებულ სამართალდარღვევას ისინი მაინც ვერ მიეკუთვნება<sup>10</sup>. ცოტა ჭკემით ჰოლი წერს, რომ ის, ვინც შეგნებულად ზრდის რისკს, უფრო ბრალეულია, ვიდრე ის, ვინც წინდაუხედაობით სჩადის იგივეს.<sup>11</sup> საბოლოოდ ჰოლი ასე სვამს კითხვას: „დაევშვათ თუნდაც რომ დაუდევრობით სამართალდარღვევა გულისხმობს ბრალს ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით; მაგრამ მაინც ხომ რჩება დასაძლევი სერიოზული ეჭვები, რომლებიც ბრალის ხარისხს უკავშირდება?“<sup>12</sup> სხვანაირად, ჰოლი წამოჭრის ორ ძირითად საკითხს: 1. არღვევს თუ არა დაუდევრობა ზნეობრივ მოვალეობას? და 2. თუ არღვევს, არის თუ არა ეს იმ ხარისხის მორალური ბრალი, რომელიც სისხლისსამართლებრივ სასჯელს იმსახურებს?

ამ ორი პრობლემიდან, მთავარია სწორად გადაიჭრას პირველი მათგანი. პირველ საკითხზე დადებითი პასუხის შემთხვევაში შედარებით იოლი დასასაბუთებელია დაუდევრობითი ქცევის დასჯის მიზანშეწონილობა.

მოვალეობისა და შესაძლებლობის ფარგლებში რაიმეს გაუთვალისწინებლობა რომ ბრალია, უძველესი დროიდან არის ცნობილი შემდეგი ლათინური გამოთქმიდან: *non scire quod scire debemus et possumus culpa est*, ამ ძველისძველი პრინციპის შინაარსი თითქმის უცვლელად არის შენარჩუნებული დაუდევრობის ფორმულაში თანამედროვე განვითარებული სამართლის სისტემების მიერ. იგი საცხებით შეესაბამება თანამედროვე საზოგადოების მართლმეგნებას, რომლის მიხედვით, უყურადღებობით მიყენებული ზიანი, თუ ზიანის მიმყენებელს ევალებოდა და შეეძლო მისი გათვალისწინება, განიხილება არა როგორც უბედურება, რომელიც მას თავს დაატყდა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად, არამედ, როგორც თუმცა შეუგნებელი, მაგრამ, მაინც მის ნებასთან, უფრო ზუსტად — მისი ნების არასათანადო აქტივობასთან დაკავშირებული ფაქტი. ამაზე ნათლად მიუთითებს ისიც, რომ დაუდევრობით ზიანის მიმყენებელი, როგორც წესი, კიცხავს თავის თავს მის მიერ ჩადენილი მიუტევებელი შეცდომის გამო.

აღსანიშნავია, რომ ჰოლს ეს ფაქტი დაუდევრობის დასჯადობის მომხრეთა ყველაზე უფრო სერიოზულ არგუმენტად მიაჩნია. მაგრამ იმ ემოციურ მდგომარეობას, რომელსაც წარმოშობს დაუდევრობით ზიანის მიმყენებელში ზიანის ფაქტი, ჰოლი „ღირებულებათა დაგვიანებულ გაცნობიერებას“ უწოდებს და განიხილავს მას როგორც „სინანულს ღირებულების „დაზიანების გამო“, „დაზიანების“ ფიზიკური მნიშვნელობით“. ამასთან მიუთითებს, რომ ასეთი სინანული სრულებითაც არ წარმოადგენს საყვედურს ან მონანიებას, რომელიც შეიძლება თან ახლდეს შეგნებულ დაზიანებას<sup>13</sup>.

უდავოა, რომ სუბიექტის შემდგომი დამოკიდებულება თავისივე ნამოქმედარის მიმართ სხვადასხვაა შეგნებული და შეუგნებელი ვნების დროს. მაგრამ ეს განსხვავება თვით იმ სხვაობიდან წარმოდგება, რომელიც არსებობს შეგნებულ და შეუგნებელ საზიანო ქცევათა შინაარსში. პირველ შემთხვევაში სუბიექტს შეგნებული აქვს, რომ ბოროტებას სჩადის და, მიუხედავად ამისა, მაინც ახორციელებს ბოროტ ნებას. ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი შემდგომი სინა-

<sup>10</sup> J. Hall, *Negligent Behavior...*, p. 637.

<sup>11</sup> იხ. იქვე.

<sup>12</sup> იხ. იქვე, გვ. 636.

<sup>13</sup> J. Hall, *Negligent Behavior...*, p. 637.



ნული უნდა გულისხმობდეს გაცნობიერებული ბოროტებისაგან თავისივე ნების აქტიური წარმართვის უარყოფით შეფასებას. მეორე შემთხვევაში სუბიექტს შეგნებული არა აქვს, რომ აზიანებს რაიმე სიკეთეს. ამიტომ, შესაბამისად, მისი სინანული გულისხმობს საკუთარი თავის გაკიცხვას იმის გამო, რომ მან არ გამოიყენა მოსალოდნელი ზიანის შეგნების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე ჩვენ არადამაჯერებლად მიგვაჩნია ჰოლის მტკიცება, თითქოს დაუდევრობის დროს თვითგანსჯას მოსდევდეს სინანული „ფიზიკური დაზიანების“ გამო, შეგნებული ბოროტებისას კი, პირქით, სინდისის ქენჯნა მორალური ბრალის გამო. ამ დებულების სუსტი მხარე განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს სუბიექტის მიერ მისთვის ძვირფასი ადამიანის დაზიანების მაგალითზე. არ შეიძლება, მაგალითად, ითქვას, რომ დედა, რომელმაც დაუდევრობით იმსხვერპლა შვილი, სინანულს განიცდიდეს მარტოოდენ იმის გამო, რომ იგი გახდა „ფიზიკური მიზეზი“ შვილის დაღუპვისა. ამგვარი განცდა თავისთავად საეხებით ბუნებრივია, მაგრამ იგი მშობელს მაშინაც გაუჩნდებოდა, დამდგარი შედეგი კიდევაც რომ არ ყოფილიყო მისი ნების არასათანადო გამოვლენის შედეგი. მოტანილ შემთხვევაში მშობლის განცდის სპეციფიკა მდგომარეობს სინდისის ქენჯნაში, რომელსაც ის გრძნობს მისი საბედისწერო უყურადღებობის გამო. მსგავსი ემოციური განცდა იპყრობს ყოველ მორალურ ადამიანს, რომელიც დაუდევრობით ჩაიდენს საზიანო ქცევას. ზოგჯერ ამ განცდის ინტენსივობა იმდენად ძლიერია, რომ ადამიანი ტრაგიკულ შედეგამდე — თვითმკვლელობამდეც კი მიყავს.

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ სინდისის ქენჯნა, რომელსაც დაუდევრობით ზიანის მიმყენებელი განიცდის, უტყუარი საბუთი იყოს დაუდევრობის დროს ბრალის არსებობისა. ზემოთ აღნიშნული მხოლოდ იმაზე მიუთითებს, თუ რა ღრმად არის დამკვიდრებული თანამედროვე საზოგადოების შეგნებაში დაუდევრობის გასაკიცხაობა.

საზოგადოებაში არსებული შეხედულებანი და წარმოდგენები დაუდევრობაზე სრულ თანხმობაშია ამ სიტყვის სემანტიკასთან. ქართული სიტყვა დაუდევრობა ნიშნავს ადამიანის მიერ გამოვლენილ უზრუნველობას, უდარდლობას, უთაურობას, უყურადღებობას, არაგულმოდგინებას; ხოლო ებითეტი „დაუდევარი“, ხმარებული ადამიანის მიმართ, გულისხმობს სხვისი ინტერესებისადმი გულგრილად, არხეინად განწყობილ კაცს. იგივე შინაარსს გამოხატავს სიტყვა „დაუდევრობა“, ნახმარი სხვა კონტექსტებში, მაგალითად, „დაუდევარი საქციელი“ და სხვ. დაუდევრობის ყველა ამ მნიშვნელობაში იმთავითვე მოცემულია შეფასების მომენტი. ანალოგიურ უარყოფით შეფასებას აუცილებლობით გულისხმობს სიტყვა დაუდევრობა სხვა — როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე — ენებში. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ლათინური *negligentia*, ინგლისური *negligence*, რომელიც ლათინურიდან არის ნასესხები, გერმანული (*unbewußte*) *Fahrlässigkeit*, რუსული *небрежность*.

დაუდევრობა რომ ყოველთვის გულისხმობს ზნეობრივ გასაკიცხაობას, თვალნათლივ საბუთდება პროფ. თ. წერთლის შემდეგი მსჯელობით: „თუ განზრახვაზე კიდევ შეიძლება ითქვას, რომ თავისთავად აღებულო, იგი მოკლებულია შეფასების მომენტს... ამასვე ვერ ვიტყვით გაუფრთხილებლობაზე იმის გამო, რომ გაუფრთხილებლობა თავის თავში უკვე შეიცავს შეფასების მო-



მენტს. განზრახ შეიძლება გააკეთო კარგი საქმეც და ცუდი საქმეც. შეიძლება კეთილი განზრახვა და ბოროტი განზრახვაც, მაგრამ არ შეიძლება იყოს კარგი გაუფრთხილებლობა. გაუფრთხილებლობა ყოველთვის გულისხმობს უარყოფით მსჯელობას, გულისხმობს იმას, რომ სუბიექტმა დაარღვია ჯეროვანი, სწორი მოქმედების ნორმა<sup>14</sup>.

პროფ. თ. წერეთლის ეს მსჯელობა, რომელიც საერთოდ გაუფრთხილებლობას ეხება, მთლიანად ვრცელდება დაუდევრობაზე როგორც გაუფრთხილებლობის ტიპიურ სახეზე.

საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერება, კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის იმ თვალსაზრისს ადგა, რომ დაუდევრობა გულისხმობს მორალურ ბრალს.

მტკიცე მეთოდოლოგიურ საფუძველს ამ თვალსაზრისის არსებობისათვის ქმნის მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკური მოძღვრება თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ, რომლის თანახმად, ადამიანის ყოველი მოქმედება განსაზღვრულია მისი გარემომცველი სინამდვილის მოვლენებით, თუმცა ამ განსაზღვრულობის ფარგლებში სუბიექტს საკმაო შესაძლებლობა რჩება იმისათვის, რომ შეგნებულად და მიზანდასახულად წარმართოს თავისი ნება ბუნებასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში. ამის შესაბამისად, ზნეობრივი და სამართლებრივი გაკიცხვის წანამძღვარს წარმოადგენს ის, რომ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენ პირს შესაძლებლობა ჰქონდა ემოქმედნა სხვაგვარად, ვიდრე იგი მოქმედებდა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

გაკიცხვისა და საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ბრალად შერაცხვის ეს ზოგადი წანამძღვარი მთლიანად ინარჩუნებს ძალას გაუფრთხილებლობის შემთხვევების, მათ შორის დაუდევრობის ანუ ისეთი გაუფრთხილებლობის მიმართ, როდესაც ზიანის მიმყენებელი სუბიექტი საერთოდ არ ითვალისწინებდა საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას<sup>15</sup>. აქაც გარკვეული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების არსებობისას, ადამიანს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს საკუთარ წარმოდგენებზე და ისე წარმართოს თავისი ფსიქიკური აქტივობა, რომ გაითვალისწინოს და თავიდან აიცილოს საზიანო შედეგი. ასეთი შესაძლებლობა როდია ნული ინდივიდის ფსიქიკურ სფეროში. იგი გულისხმობს ადამიანის ფსიქიკაში არსებულ რეალურ პირობებს არასასურველი შედეგის თავიდან ასაცილებლად<sup>16</sup>. და თუ ამ რეალურ პირობებს სუბიექტი არ იყენებს, ეს მაჩვენებელია საზოგადოების ინტერესებისადმი მისი უზრუნველი, გულგრილი დამოკიდებულებისა<sup>17</sup>. მაშასადამე, დაუდევრობის დროს შესაძლე-

<sup>14</sup> თ. წერეთელი, ფინალური თეორია ბურჟუაზიული სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა, ურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1966, № 2, გვ. 36.

<sup>15</sup> იხ. **В. Г. Макашвили**, Вина и сознание противоправности, «Методические материалы ВЮЗИ», вып. 2, М., 1948, стр. 91; он же, Уголовная ответственность за неосторожность», М., 1957, стр. 91; იხ. აგრეთვე, «Уголовное право. Общая часть», М., 1948, стр. 345; «Уголовное право. Общая часть», М., 1952; **Б. Е. Маньковский**, Проблема ответственности в уголовном праве, М.-Л., 1949, стр. 61-62. **В. Ф. Кириченко**, Значение ошибки по советскому уголовному праву, М., 1952, стр. 28, 75; «Курс советского уголовного права», т. 11, М., 1970, стр. 317 и др.

<sup>16</sup> იხ. **В. Г. Макашвили**, Вина и сознание противоправности, стр. 91, он же, Уголовная ответственность за неосторожность, стр. 92; **Б. С. Маньковский**, указ. соч., стр. 61.

<sup>17</sup> См. «Курс советского уголовного права», т. 11, стр. 317-320.



ბელია მოქმედი სუბიექტის მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობის დასაბუთება, ჩადენილი საზიანო ქცევის დაკავშირება პიროვნების სულიერ სამყაროსთან და იმ ღირებულებებთან, რომლებზეც იგი არის ან არ არის ორიენტირებული.

ამგვარად, თავისუფლებისა და აუცილებლობის მარქსისტულ-ლენინური გაგება აქარწყლებს ეჭვებს, რომელსაც ჰოლი გამოთქვამს დაუდევრობის ბრალად ცნობის საკითხზე და იძლევა საფუძველს გაბედულად ვამტიცოთ, რომ დაუდევრობითი ქცევა მორალურ ბრალს გულისხმობს. მაგრამ, შესამოწმებელია ჰოლის ეჭვები, გამოთქმული იმის გამო, არის თუ არა დაუდევრობა საკმაო ხარისხის ბრალი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ჩვენი აზრით, ასეთი კითხვა თავიდანვე არასწორად არის დაყენებული.

ბრალი რომ პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი იყოს, მაშინ ჰოლის ეჭვები შეიძლება საფუძვლიანიც ყოფილიყო და ანგარიშგასაწვეიც. მაგრამ, სისხლის სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვით, არავინ არ შეიძლება დაისაჯოს მარტოდენ აზრთა ცუდი წყობისათვის. ბრალი მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელი მომენტია იმ მომენტთან, რომლებიც პასუხისმგებლობას ასაბუთებენ და იგი მხოლოდ მაშინ იძენს იურიდიულ მნიშვნელობას, თუ ჩაქსოვილია რომელიმე კონკრეტულ ქმედობაში. თავის მხრივ ქმედობაც არ არის საკმარისი პასუხისმგებლობისათვის. საჭიროა, რომ ეს ქმედობა იყოს საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო. ზოგჯერ აუცილებელია, რომ მოქმედება იწვევდეს ამა თუ იმ სამართლებრივი სიკეთის რეალურ დაზიანებას და სხვ. შეიძლება ყველა მომენტი არსებობდეს, მაგრამ კანონმდებელმა გასაკიცხი ქმედობა მაინც არ გამოაცხადოს დასჯადად მის მიმართ სასჯელის არაეფექტიანობის გამო და ა. შ.

ამგვარად, სასჯელი არასდროს არ უკავშირდება იზოლირებულად აღებულ ამა თუ იმ ფსიქიკურ მდგომარეობას. სასჯელის მუქარა ეხება გარკვეული ფსიქიკური განწყობით ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ, მართლსაწინააღმდეგო ქმედობას, რომლის დასჯა გამართლებულია სისხლის სამართლის და სოციალური პოლიტიკის თვალსაზრისით. ეს არის საერთო წესი, რომელიც მთლიანად გრცელდება დაუდევრობით დაწამულზედაც. ის გარემოება, რომ დაუდევრობა გასაკიცხი ფსიქიკური მდგომარეობაა, მხოლოდ მორალურ სანქციას იძლევა დაუდევრობით ჩადენილი ქცევის დასჯადობისათვის. მაგრამ დაუდევრობით ჩადენილ რომელ ქმედობას გამოაცხადებს კანონმდებელი დასჯადად და რომელს არა, — ეს უკვე აღარ არის დამოკიდებული დაუდევრობითი ბრალის (ე. ი. დაუდევრობითი ფსიქიკის გასაკიცხაობის) ხარისხზე: ეს განისაზღვრება დაუდევრობითი ბრალის მიღმა არსებული დოგმატიკური და პოლიტიკური მომენტებით, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი სისხლის სამართლისა და სოციალური პოლიტიკის მომენტებს უკავია. ქვემოთ დავინახავთ, რომ ჰოლის შეხედულებისათვის მეტად დამახასიათებელია ამ უკანასკნელი მომენტების მნიშვნელობის დაუფასებლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისას.

დაუდევრობის დასჯადობის საწინააღმდეგო ერთ-ერთ არგუმენტად ჰოლი იმას მიიჩნევს, რომ სასჯელს არ შეუძლია დამაშინებელი ზეგავლენა იქონიოს დაუდევრად მოქმედ სუბიექტზე. ის თვლის, რომ ვინაიდან დაუდევრობითი





ქცევისას ადამიანი არც მოსალოდნელ ზიანს ითვალისწინებს და არც მოსალოდნელ სასჯელს, ამიტომ სასჯელი არ შეიძლება მისი შემაკავებელი მოტივი იყოს. მოტივი „სწორედ ის არის, რაც არ არსებობს უყურადღებო ქცევის დროს“, — შენიშნავს ჰოლი<sup>18</sup>.

თუ გავიხსენებთ, რომ დაუდევრობისას სუბიექტს მოსალოდნელი ზიანის გათვალისწინებაც შეუძლია და სასჯელის მუქარის მხედველობაში მიღებაც, ცხადი გახდება, რომ სასჯელის პრევენციული დანიშნულება დაუდევრობითი ქცევის მიმართ საესვებით რეალურ საფუძველს ემყარება. სასჯელის მუქარა სწორედ იმას ემსახურება, რომ მოქალაქეს შეუქმნას წინდახედული და უყურადღებო ქცევის დამატებითი მოტივი, აიძულოს ის შეძლებისდაგვარად გამოიყენოს თავისი უნარი და გამოცდილება ზიანის თავიდან ასაცილებლად, გაუძლიეროს მას თვითკონტროლის გრძნობა სოციალური ღირებულების ობიექტებთან დამოკიდებულებაში. მაგრამ თუ სასჯელის მუქარამ შემაკავებელი მოტივაციური ზეგავლენა არ მოახდინა დაუდევრად მოქმედ პირზე, ეს არ გამოდგება იმის დამადასტურებლად, რომ სასჯელს ასეთ შემთხვევებში საერთოდ არ გააჩნია მოტივაციური ძალა. დანაშაულის განზრახ ჩამდენს წარმოდგენილი აქვს ხოლმე მოსალოდნელი სასჯელი, თუმცა მაინც სჩადის დანაშაულს. მაგრამ, განა ეს საფუძველს იძლევა, რომ უარყოფთ სასჯელის მნიშვნელობა განზრახ დელიქტებში?<sup>19</sup>

ამგვარად, დანაშაულის დაუდევრობით ჩადენის ფაქტი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ დამნაშავე გულგრილად იყო განწყობილი როგორც სამართლით დაცული ობიექტის, ისე თვით სასჯელის მუქარის მიმართაც, რისთვისაც იგი სასჯელს იმსახურებს. სასჯელის გამოყენება კონკრეტული სამართლებრივი ღონისძიებაა სუბიექტის აღზრდისათვის საზოგადოებრივ ინტერესებზე ზრუნვის სულისკვეთებით.

დაბოლოს, დაუდევრობის დასჯადობის წინააღმდეგ ჰოლი, როგორც თითონ აცხადებს, მეცნიერულ საფუძველზე ილაშქრებს. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ დაუდევრობას არეგ-დარევა შეაქვს სისხლის სამართლის მეცნიერების სისტემაში. ჰოლი წერს: „უკანასკნელი და ყველაზე სერიოზული მოსაზრება... ის არის, რომ დაუდევრობის შემოტანა ხელს უშლის სისხლის სამართლის მეცნიერული თეორიის აგებას, ანუ ურთიერთმიმართებაში მყოფი ისეთი ცვლადი ღონისძიებების სისტემის შექმნას, რომელთაც ფაქტებსა და ღირებულებებში რეალისტური საფუძველი გააჩნიათ“<sup>20</sup>.

ჰოლის ამ სიტყვების გასარკვევად საჭიროა გავიხსენოთ მისი სამართლებრივ-ფილოსოფიური შეხედულება საერთოდ.

ჰოლის თეორია ლიტერატურაში ცნობილია „ინტეგრაციული იურისპრუდენციის“ სახელწოდებით.<sup>21</sup> ჰოლის „ინტეგრაციული“ თეორიის მიხედვით, არც ერთი თანამედროვე მიმდინარეობა სამართლის მეცნიერებაში არ არის ცხოვრების მოთხოვნილებათა „ადექვატური“, მაგრამ, თითოეულ მათგანს გააჩნია ღირსებები, რომლებიც წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული. სამართ-

<sup>18</sup> J. Hall, *Negligent Behavior...*, p. 641.

<sup>19</sup> იხ. R. Honig, *Jerome Halls Strafrechtslehre*, «Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft», 1962, B. 74, H. 3, S. 399.

<sup>20</sup> J. Hall, *Negligent Behavior...*, p. 643.

<sup>21</sup> იხ. С. А. Пяткина, «Интегративная юриспруденция» Джерома Холла, «Правоведение», 1966, № 3, стр. 104.



ლის თეორიაში არსებულ მიმდინარეობათა ღირსებების გამოყენება და თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების უკუგდება საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს „ცნების, ღირებულებისა და ფაქტის სინთეზი“. ამ გზით ჰოლი ცდილობს ყველა იმ დადებითი მომენტის შენარჩუნებას ინტეგრაციულ იურისპრუდენციაში, რომლებიც სამართლის ნორმატივისტულ, რეალისტურ, სოციოლოგიურ და აქსიოლოგიურ მიმდინარეობებს გააჩნიათ.

ასეთნაირად გავებული „იურისპრუდენცია“, ჰოლის მიხედვით, აუცილებლობით გულისხმობს, თავის ძირითად ამოცანად, იურიდიული ცნებების ლოგიკურ ანალიზს, მათს კლასიფიკაციას და ამის საფუძველზე, პოზიტიური სამართლის სისტემატიზაციას. ასეთ ამოცანას „ინტეგრაციულ იურისპრუდენციას“ უსახავს ნორმატივიზმი როგორც მისი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, რომლისთვისაც იურიდიულ ცნებათა ფორმალურ-ლოგიკური ანალიზი არსებითია.

ყოველი დარგის, მათ შორის სისხლის სამართლის, ორგანიზებისა და სისტემაში მოყვანის მოთხოვნა სავსებით საფუძვლიანი მოთხოვნაა. მაგრამ, უნაყოფოა ამა თუ იმ დარგის მოწესრიგების ცდა დაუსაბუთებელ პოსტულატებზე დაყრდნობით. მაგალითად, ჰოლი ემყარება თავიდანვე მცდარ წანამძღვარს, რომ არ შეიძლება არსებობდეს შეუცნობელი ბრალი. ბრალის ცნება, მისი აზრით, არ შეიძლება ერთდროულად გულისხმობდეს ნების შეგნებულ და შეუგნებელ გამოვლენას — ორ საწყისს, რომლებიც ლოგიკურად სავსებით გამორიცხავენ ერთმანეთს. სისხლის სამართლის ლოგიკურად მწყობრი თეორია ვერ შეეგუება ასეთი შეუსაბამობის შემცველი ცნების გამოყენებას. ამიტომ ჰოლი მოითხოვს დაუდევრობის გაძევებას ბრალის ცნებიდან.

როგორც გონებამახვილურად შენიშნა უეკსლერმა, „სისხლის სამართლის თეორეტიკოსებმა... არ უნდა მოითხოვონ ისეთი კანონმდებლობის შექმნა, რომელიც გააადვილებდა მათს მუშაობას“,<sup>22</sup> ე. ი. თვით ჰოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სისხლის სამართლის მეცნიერული თეორიის აგებას“. სისხლის სამართლის თეორია მოწოდებულია სწორად ასახოს და შეაფასოს ცხოვრებისეული მოვლენები მთელი მათი სირთულითა და მრავალფეროვნებით. მაგრამ, თუ არსებობს ისეთი მოვლენა, რომელიც რთულია თავისი ბუნებით, მაშინ, მისმა შესაბამისმა ცნებამაც აუცილებლად უნდა ასახოს ეს სირთულე. ასეთია ჭეშმარიტების ობიექტურობის მოთხოვნა, რომელიც უფლებას უსპობს ყოველ მეცნიერს თვითნებურად გაამარტივოს ცნებათა შინაარსი მხოლოდ იმ მიზნით, რომ უკეთ დაიცვას ფორმალური ერთგვაროვნება.

ჰოლი თვით მოითხოვს ცნების, ღირებულებისა და ფაქტის სინთეზს. მოითხოვს, აგრეთვე, ერთგვაროვნებას თვით ცნებათა სისტემაში. ამიტომ ჰეიციხავს სისხლის სამართალში არსებულ შეუსაბამობებს. კერძოდ, მას დაუშვებლად მიაჩნია ბრალის ცნებაში ცნობიერისა და არაცნობიერის ხელოვნური ურთიერთმეგუების ცდა. მაგრამ ამით თვით ჰოლი უშვებს შეუსაბამობას, ერთი მხრივ, ფაქტსა და ღირებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, — ცნებას შორის.

როგორც ზემოთ დავინახეთ, აღამიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედობას შეგნებულადაც შეიძლება სჩადიოდეს და შეუგნებლადაც. ამასთან ერთად, გავარკვიეთ, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედობის ჩადენისას არაცნობიერი ფსი-

<sup>22</sup> H. Wechsler, Symposium on the Model Penal Code, Foreword, «Columbia Law Review», 1963, № 4, p. 593.





ქიკური პროცესები შეიძლება ისევე გასაკიცხი იყოს, როგორც ცნობიერი. აქედან გამომდინარე, არსებობს კანონიერი საფუძველი ბრალის გვარობითი ცნებისათვის, რომელიც გააერთიანებს როგორც განზრახვი, ისე დაუდევრობითი ბრალის სახეებს. ეს კი არა მარტო ნიშნავს წესრიგს სისხლისსამართლებრივ ცნებათა სისტემაში, არამედ, აგრეთვე, სრულ შესაბამისობას, ერთი მხრივ, ფაქტსა და ღირებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, ცნებას შორის.

ასეთია ჰოლის ცალკეული მოსაზრებანი დაუდევრობის დასჯადობის შესახებ და მათი კრიტიკა. ახლა საჭიროა მათი შეფასება მთლიანობაში და იმ ნაკლოვანებათა გამოვლინება, რომლებიც ჰოლის თვალსაზრისიდან გამომდინარე შედეგებში პოულობენ გამოხატულებას.

ის გარემოება, რომ ჰოლი მოითხოვს გაუფრთხილებლობისათვის სასჯელის ეთიკურ დასაბუთებას, მის თვალსაჩინო ღირებულებად უნდა ჩაითვალოს, რითაც ის მომგებიანად გამოირჩევა სამართლის სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლებისაგან. მისასაღმებელია ისიც, რომ სისხლის სამართლის მორალურობის მოთხოვნას ჰოლი გაბედულად იყენებს მოქმედი ამერიკული სამართლის კრიტიკისათვის<sup>23</sup>. მაგრამ, როდესაც ჰოლმა ეთიკური ღირებულება სამართლის ელემენტად გამოაცხადა, მან ველარ შეძლო ნორმატივიზმისა და სოციოლოგიზმის ელემენტებთან მისი თანაბარზომიერი შეხამება, რასაც მისი „ინტეგრაციული იურისპრუდენციის“ პრინციპი მოითხოვდა. ამგვარად, ჰოლის მოძღვრებას იგივე ნაკლი აღმოაჩნდა, რასაც სამართლის ბევრ სხვა სკოლას უსაყვედურებენ — ცალმხრივობა. სამართლის აქსიოლოგიამ, რომელიც ჰოლის სამართლებრივი ფილოსოფიის ერთ-ერთი კომპონენტი უნდა ყოფილიყო (სამართლის ფორმალური თეორიისა და სამართლის სოციოლოგიის გვერდით), მოულოდნელად, სავსებით შთანთქა სოციოლოგიური მომენტი. ჰოლის თეორია, რომელსაც „სინთეზური თეორიის“ პრეტენზია გააჩნდა, სამართლის კონკრეტული პრობლემების გადაჭრისას „სამართლის აქსიოლოგიად“ იქცა, თანაც ისეთად, რომელსაც ეთიკურ ღირებულებათა სისტემაში მხოლოდ შეგნებული მოქმედებანი შეაქვს. ამ გარემოებამ შეუძლებელი გახადა ზნეობრივი საწყისის რაციონალური გამოყენება გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად. დაუდევრობა დარჩა საბოლოოდ ბრალის ცნების ფარგლებს მიღმა და გამოეთიშა დასჯადობის სფეროს. სისხლის სამართალში ჰოლმა შეინარჩუნა მხოლოდ შეცნობილი ბრალის სახეები — განუსჯელობა და განზრახვა, რითაც დასჯადი ბრალის სფერო ზუსტად ისე მოხაზა, როგორც ამას ჰეგელი აკეთებდა.

დაუდევრობის გამოდევნით სისხლის სამართლის სფეროდან ჰოლმა მეტისმეტად შეზღუდა გაუფრთხილებლობის ცნება და გააღარიბა მისი შინაარსი, რომელიც ყოველთვის გულისხმობდა შეუცნობელი ბრალის შემთხვევებს. მაგ-

<sup>23</sup> ჩვენ ვერ დავეთანხმებით პიატკინას, როდესაც ის წერს: „ჰოლის ყოველი ცდა იქეთვე არის მიმართული, რომ გაამართლოს მოქმედი სამართალი, თვითონ მისგან გამომდინარე. ...ის შეგნებულად უარს ამბობს მოქმედი სამართლის მორალური გამართლების ძიებაზე მის გარეთ, იმისათვის, რომ გამორიცხოს ამ სამართლის კრიტიკის შესაძლებლობა“ (იხ. С. А. Пяткина, დასახ. ნაშრ., გვ. 107). პიატკინა ამას იმით ხსნის, თითქოს ჰოლი, რომელიც „დემოკრატიული ბუნებითი სკოლის“ წარმომადგენლად ითვლება, გადაჭრით უარყოფდეს ბუნებითი სამართლის დაპირისპირებას პოზიტიური სამართლისადმი. ყოველ შემთხვევაში ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს იმ პოზიციიდან, რომელიც ჰოლს უჭირავს ამერიკული სამართლის მიმართ არაბრალეული და დაუდევრობითი ქცევის დასჯადობის საკითხში.



რამ მთავარია ის შედეგები, რომლებიც ჰოლის მსჯელობიდან გამომდინარეობს. ჰოლის თვალსაზრისი ზნეობრივად ამართლებს და გზას უხსნის საზოგადოებრივი უსაფრთხოების ყოველგვარ შეუცნობელ ხელყოფას, თუნდაც ის მიუტევებელი უყურადღებობითა და წინდაუხედავობით იყოს გამოწვეული.

დაუდევრობა, როგორც დავინახეთ, სავსებით თავსდება მორალური ბრალის ცნებაში. ამასთანავე, დაუდევრობითი ქცევა ყოველთვის მნიშვნელოვან საშიშროებას წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. სოციალური ცხოვრების ქმედითად დასაცავად საზოგადოება სხვადასხვა სამართლებრივ ღონისძიებებს მიმართავდა დაუდევრობის წინააღმდეგ. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სისხლის სამართლის სასჯელს ეკირა.

ამგვარად, საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და მართლწესრიგის ამოცანები, ე. ი. სოციალური პოლიტიკისა და სამართლის პოლიტიკის მიზნები, ყოველთვის მოითხოვდა დაუდევრობასთან ბრძოლას სასჯელის მეშვეობით. ჰოლი არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ისტორიულ გამოცდილებას. უფრო მეტიც, იგი მხედველობაში არ იღებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებაში უკანასკნელი საუკუნეების ტექნიკურმა პროგრესმა შეიტანა. ინდუსტრიულმა რევოლუციამ და წარმოების სხვადასხვა დარგების სწრაფმა განვითარებამ უჩვეულოდ გააფართოვა მომეტებული საფრთხის სფერო, რაზედაც განსაკუთრებით ატომური წარმოების დანერგვამ იქონია ზეგავლენა. აღნიშნულ ვითარებაში უფრო ქმედითი ღონისძიებანი გახდა საჭირო საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად. შესაბამისად, სასჯელმა — ყველაზე უფრო რადიკალურმა სამართლებრივმა ღონისძიებამ — განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. სოციალური ცხოვრების გადაუდებელმა საჭიროებებმა ძალაუვნებურად გამოიწვია კრიმინალურ-პოლიტიკური მომენტის როლის გაზრდა სისხლის სამართალში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე გაუფრთხილებლობით დელიქტებს ეხება.

ჰოლის თვალსაზრისი ანგარიშს არ უწევს სოციალური პოლიტიკისა და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის აღნიშნულ ამოცანებს. ამის გამო, ჰოლის შეხედულების მიხედვით, ზნეობრივი მომენტი სავსებით ჩამოცილებული აღმოჩნდა პოლიტიკური მომენტისაგან, ეს უკანასკნელი კი — უკუგდებული. ეს არის ჰოლის თვალსაზრისის ერთ-ერთი არსებითი ნაკლი, რადგან ზნეობრივი მომენტი კი არ გამოირიცხავს პოლიტიკურ მომენტს, არამედ გულისხმობს მას. ამით აიხსნება, რომ ზნეობრივი ნორმები და პრინციპები არ არიან უცვლელნი და განყენებულნი: ისინი იცვლებიან სწორედ სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად.

აღნიშნული გარემოების უგულებელყოფამ ჰოლი ლოგიკურად იქამდე მიიყვანა, რომ ეთიკური მომენტი მან ერთპიროვნულად გააბატონა სისხლის სამართალში სოციალურ-პოლიტიკური და კრიმინალურ-პოლიტიკური მომენტების დაკნინების ხარჯზე. ამით ჰოლმა სისხლის სამართალს წაართვა მარეგულირებელ-დაცვითი ფუნქცია და იგი არსებითად წმინდა ეთიკურ კატეგორიად გამოაცხადა. ამ პუნქტში ერთხელ კიდევ გამოძღვანდა ჰოლის თვალსაზრისის სიახლოვე ძველ „სამართლიანობის თეორიებთან“, რომლებსაც, წმინდა სახით, დღეს აღარავინ იზიარებს.

ამგვარად, ჰოლის თვალსაზრისის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ გაუფრთ-



ხილებლობის დასჯადობის ერთადერთ განმსაზღვრელ მომენტად მან ზნეობრივი საწყისი მიიჩნია. მაგრამ, იმ საკითხის გადაწყვეტა, იმსახურებს თუ არა სასჯელს რომელიმე გარკვეული ფსიქიკური მდგომარეობით (მათ შორის დაუდევრობით) ჩადენილი ქცევა, უმართებულოა მხოლოდ მისი ზნეობრივი შეფასების მიხედვით. აუცილებელია, აგრეთვე, მისი შეფასება პრაქტიკულ სოციალურ საჭიროებათა თვალსაზრისით, მაგალითად, საჭიროა დადგინდეს ქცევის ამა თუ იმ ტიპის გავრცელებულობა, ობიექტური საშიშროება, ის, თუ რამდენად ექვემდებარება იგი სასჯელს და ამის შესაბამისად გაირკვეს მისი დასჯის მიზანშეწონილობა. დასჯის მიზანშეწონილობა ის მომენტიც, რომელიც, დასჯადობის საკითხის გადაჭრისას ზნეობრივი საწყისის თანაბარ და, ამავე დროს, დამოუკიდებელ როლს ასრულებს. ზნეობრივი საწყისისაგან განსხვავებით მისთვის დამახასიათებელია მეტი ლაბილურობა. ამ ლაბილური მომენტის მეშვეობით მიიღწევა ის, რომ სამართალი არ არის მარადიული და უცვლელი კატეგორია: იგი კონკრეტულ-ისტორიული გარემოს ნაყოფია. ზნეობრივი საწყისისაგან მიზანშეწონილების (პოლიტიკური) მომენტის მოწყვეტა და მისი უგულებელყოფა მთელ რიგ დრომოჭმულ სამართლებრივ პრინციპებს უკვდავყოფას უქადის. იგი საშუალებას უსპობს ჰოლს გაარკვიოს, რატომ არის, რომ ერთი და იგივე ქცევა, ერთსა და იმავე კანონმდებლობაში სხვადასხვა დროს, ან სხვადასხვა კანონმდებლობაში ერთსა და იმავე დროს, ზოგჯერ ისჯება, ზოგჯერ კი — არა<sup>24</sup>.

ერთი შეხედვით ჰოლის თვალსაზრისი ჰუმანური და პროგრესული შეხედულების შთაბეჭდილებას ახდენს, რაც ჰოლის მიერ ეთიკური მომენტის წინა პლანზე წამოწევით აიხსნება. მაგრამ, საკმარისია უფრო ღრმად ჩავწვდეთ მას, რომ გამოაშკარავდება მისი პროგრესულობის მოჩვენებითი ხასიათი.

„არ შეიძლება დაისაჯოს ვინმე, თუ ის აშკარად არაზნეობრივად არ მოქმედებს, ე. ი. თუ ის შეგნებულად არ ვნებს სხვას“<sup>25</sup> — აცხადებს ჰოლი და უაპელაციოდ ამევეებს დაუდევრობას სისხლის სამართლის სფეროდან. ასეთი პოზიცია შეიძლება „ჰუმანურად“ ჩაითვალოს დაუდევრობით მოქმედი სუბიექტის თვალსაზრისით, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ იგი უმოწყალო და დაუნდობელია საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. ჰოლის შეხედულება საშუალებას უსპობს საზოგადოებას სისხლისსამართლებრივი დონისძიებებით დაიცვას თავი საზოგადოებრივი ინტერესებისადმი გულგრილად განწყობილი სუბიექტებისაგან. ეთიკური საწყისი, რომელიც ჰოლმა აბსოლუტად აქცია, სრულებითაც არ აღმოჩნდა ისეთი ზნეობრივი სისხლის სამართ-

<sup>24</sup> „რატომ შემოიფარგლება დაუდევრობის დასჯადობა მცირე სპეციფიკური დანაშაულებით: რატომ არ უნდა განვავრცოთ იგი საერთოდ?“ — კითხულობს ჰოლი (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 641), და უნდა დავგარწმუნოს, რომ თუ დაუდევრობის დროს ბრალი დასაბუთდებოდა, მაშინ დაუდევრობით ჩადენილი ყოველი ქცევა შეიძლებოდა დასჯადად გამოცხადებულიყო. ჰოლის მიერ დასმულ ამ კითხვას უეკსლერი, სავსებით დამსახურებულად, „არასერიოზულს“ უწოდებს (იხ. H. Wechsler, დასახ. ნაშრომი, გვ. 593).

<sup>25</sup> J. Hall, Negligent Behavior..., p. 636.



თალში, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მისმა არასწორმა გაგებამ, შემდეგ კი ცალმხრივმა გამოყენებამ, სხვა მომენტებთან თანაბარზომიერად შეხამების გარეშე, გამოიწვია საზოგადოების კანონიერი ინტერესების გაუმართლებელი დაქვემდებარება ბრალეული ინდივიდის უკანონო ინტერესებისადმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჰოლის თვალსაზრისი არა თუ არ შეესაბამება საზოგადოების ქმედითად დაცვის ინტერესს ტექნიკის საუკუნეში, არამედ, შეიძლება ითქვას, — ეწინააღმდეგება კიდევაც მას. ამიტომ იგი არაპრაქტიკული და გამოუყენებელი ჩანს თვით იმ საზოგადოებისათვის, რომელშიც წარმოიშვა. მაგრამ, ჰოლის თეორიას აქვს პოლიტიკური ასპექტი, რომელც მას სხვა „პრაქტიკულ ღირებულებას“ ანიჭებს. სახელდობრ, მისი გამოყენება წარმატებით შეიძლება იმ ანგარიშით, რომ პასუხისმგებლობისაგან მარჯვედ გათავისუფლდნენ კერძო მეწარმეები საწარმოო ტექნიკის დაუდევრობით გამოყენების შედეგად მუშაკის დაზიანების შემთხვევაში.



# ეთიკური დამოკიდებულება ჩაღნილ დანაშაულთან როგორც დანაშაულის თვითშეფასების ელემენტი

ს. კაჭკორია

სუბიექტის მიერ საკუთარი დანაშაულის შეფასებას ეთიკურ ღირებულებათა სისტემის მიხედვით შეიძლება ეწოდოს დანაშაულთან ეთიკური დამოკიდებულება. ამგვარ დამოკიდებულებას სუბიექტისათვის პიროვნული აზრი გააჩნია, რადგან ის დანაშაულისა და ამასთან დაკავშირებით საკუთარი მე-ს თვითშეფასება დამნაშავესათვის პიროვნულად მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულებების ასპექტში. დამოკიდებულება დანაშაულისადმი და, აქედან გამომდინარე, საკუთარი მე-სადმი, წარმოგვიდგება როგორც სუბიექტის ეთიკური თვითშეფასება და იგი პიროვნების საერთო, ინტეგრალური თვითშეფასების ერთ-ერთი ელემენტია.

დამნაშავის ეთიკური თვითშეფასების განსაზღვრისათვის გამოდგება შემდეგი ფორმულა:

$$\text{ეთიკური თვითშეფასება} = \frac{\text{კონკრეტული დანაშაული (მისი მორალური არსი)!}}{\text{სოციალური ღირებულებები}}$$

მოცემული ფორმულიდან გამომდინარე, რაც უფრო მაღალია დამნაშავის პიროვნების სოციალური ღირებულებების დონე მორალის თვალსაზრისით, და რაც უფრო დაბალი მორალურ-სოციალური ნიშნებით ხასიათდება დანაშაული, მით უფრო უარყოფითი უნდა იყოს თვითშეფასება და პირიქით.

დამნაშავის პიროვნების სოციალური ღირებულებები შეიძლება დაიყოს ორი ნიშნის მიხედვით: პირველი — მოცემული ღირებულებების ფსიქოლოგიური ხასიათისა და მეორე — მორალურ-სოციალური შინაარსის მიხედვით.

პირველი ნიშნის მიხედვით სოციალური ღირებულებები წარმოგვიდგება როგორც სუბიექტური, ან ობიექტური ხასიათისა.<sup>2</sup> მეორე ნიშნის მიხედვით სოციალური ღირებულებები დაიყოფა მორალურ და ამორალურ ღირებულებებად.

<sup>1</sup> ეს ფორმულა შემუშავებულია ამერიკელი ფსიქოლოგის უ. ჯემსის ცნობილი ფორმულის საფუძველზე:

$$\text{თვითშეფასების ელემენტი} = \frac{\text{წარუმატებლობა}}{\text{მომთხოვნელობა}}$$

<sup>2</sup> სუბიექტურ და ობიექტურ ღირებულებათა შორის არსებობს თვისებრივი განსხვავება. შ. ჩხარტიშვილი წერს: „სუბიექტურ ღირებულებას განიცდის ის, ვისაც შესატყვისი მოთხოვნილება აქვს და ისიც აქტუალურ მდგომარეობაში. მოთხოვნილების საგანს სუბიექტური ღირებულება მოთხოვნილებასთან ერთად ვითარდება, მის აღკვეთასთან ერთად იხსნება და უფასურდება. ამიტომ სუბიექტური ღირებულება ისევე ცვალებადი და წარმავალია, როგორც მოთხოვნილების პროცესი. იგი, ჩვეულებრივ, ემოციის ფორმაში გამოიხატება.“

სულ სხვა ბუნება აქვს ობიექტურ ღირებულებას. მოთხოვნილების საგანს ობიექტური ღირებულება ეძლევა ანა ინდივიდის რომელიმე სუბიექტურ მდგომარეობასთან მიმართებაში, არამედ გარკვეული კანონზომიერების ამსახველ იდეასთან მიმართებაში. ამიტომ იგი იშვიათად ცვალებადობს. მისი გამოხატულების ფორმა — მსჯელობაც, მოკლებულია ემოციური განცდილობის დამახასიათებელ სუბიექტურობას“, იხ. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974 წ., გვ. 206.



ეთიკური დამოკიდებულება დანაშაულისადმი დიფერენცირებული გვაქვს სამ ტიპად: პოზიტიურ, დაცვით და ნეგატიურ დამოკიდებულებად, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

მოცემული საკითხის შესწავლას საბჭოთა კრიმინოლოგიაში არ ჰქონდა დათმობილი დამოუკიდებელი ადგილი. ამიტომ, მის განხილვას ჩვენ სხვა კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური გამოკვლევების შედეგებს ვუკავშირებთ. ამასთან ერთად, ავტორი ემყარება დამნაშავეებზე პირად დაკვირვებებს და მოცემულ პრობლემატიკასთან კავშირში მყოფი ლიტერატურული სახეების ანალიზს.

პოზიტიური დამოკიდებულება დანაშაულისადმი. პოზიტიურს ჩვენ ვუწოდებთ ისეთ დამოკიდებულებას, როდესაც დამნაშავე ჩადენილ დანაშაულს და თავის თავს, როგორც დანაშაულის ჩამდენ სუბიექტს, დადებითად აფასებს. პოზიტიური დამოკიდებულება განსაზღვრულია დამნაშავისათვის ობიექტური მორალური ღირებულებების არარსებობით.

პოზიტიური დამოკიდებულება ორ განსხვავებულ ტიპად იყოფა იმის-დამიხედვით, თუ რა ღირებულებების განხორციელებას წარმოადგენს დამნაშავისათვის დანაშაული სუბიექტურისა თუ ობიექტურის. პირველ შემთხვევაში (გამომდინარე თვით სუბიექტური ღირებულებების არსიდან), რაც უფრო სწრაფი და სრულია აქტუალური მოთხოვნების იმპულსის დაკმაყოფილება, მით უფრო დადებითაა დანაშაულისადმი დამოკიდებულება. ამ იმპულსის დაკმაყოფილების შემდეგ დანაშაული დამნაშავისათვის კარგავს ღირებულებას და უკვე ჩადენილ ანტიოციალურ აქტთან დამოკიდებულება მთლიანად განისაზღვრება დამოკიდებულების გამოვლინების დროს არსებული აქტუალური მოთხოვნების იმპულსით. დანაშაულთან სუბიექტის დამოკიდებულება იმისდა მიხედვით განისაზღვრება, მორალურია თუ ამორალური მოცემული აქტუალური მოთხოვნისა.<sup>3</sup> ამგვარ დამოკიდებულებას ემოციური ხასიათი აქვს. ის სუბიექტური ღირებულებების ისეთი თვისებებით ხასიათდება, როგორცაა ცვალებადობა, აქტუალური მოთხოვნების იმპულსის დაკმაყოფილების შემდეგ მოქმედების შეწყვეტა, ღირებულების დაკარგვა და ა. შ. ამგვარ პოზიტიურ დამოკიდებულებას ჩვენ ვუწოდებთ სუბიექტურად პოზიტიურ დამოკიდებულებას (პოზიტიური დამოკიდებულება სუბიექტური ღირებულების გამომხატველია და ისევე როგორც დანაშაული იმპულსურია).<sup>4</sup>

დანაშაულთან პოზიტიური დამოკიდებულების მეორე ტიპს ობიექტურად პოზიტიური დამოკიდებულება წარმოადგენს. ობიექტურად პოზიტიურია დამოკიდებულება, თუ დამნაშავისათვის ჩადენილი დანაშაული ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს გააზრებული

<sup>3</sup> მორალური მოთხოვნებებია — საზოგადოებრივი აღიარების, თანასწორობის, ჰუმანურობის, სიკეთის, თანამშრომლობის, დადებითი ემოციური კონტაქტის და სხვა, რომლებიც აქტუალურ მდგომარეობაში წარმოადგენენ სუბიექტურ-მორალურ ღირებულებებს და მათი გაცნობიერებისა და მნიშვნელობის დადგენის შემდეგ საფუძვლად ედებიან მორალურ ნორმებს, ობიექტურ მორალურ ღირებულებებს.

<sup>4</sup> მოქმედების ან დამოკიდებულების იმპულსურობა არ ნიშნავს მათ გაუცნობიერებულობას. იმპულსური მოქმედება შეიძლება იყოს ცნობიერი, მაგრამ მასში ცნობიერდება მოთხოვნების საგნის სუბიექტური ღირებულება და მისი მიღწევის გზები, და არა მოთხოვნების საგნის ობიექტური ღირებულება — როგორც ეს ნებელობით ქცევაშია.



აქვს დანაშაულის მნიშვნელობა მის მოთხოვნილებათა იდეების (ობიექტური ღირებულებების) სისტემაში და აღძრავს მოქმედებას ნებისმიერად, ნებისყოფის ფენომენის საშუალებით. ამ შემთხვევაში დამნაშავის დამოკიდებულება დანაშაულთან დადებითია გამომდინარე ფორმულიდან:

$$\text{დამოკიდებულება} = \frac{\text{დანაშაული}}{\text{ამორალური ობიექტური ღირებულებები}}$$

მორალური ღირებულებები (სუბიექტური იქნება ეს, თუ ობიექტური) შეგნებულად უარყოფილია, როგორც პიროვნებისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი. თუ ზოგჯერ ობიექტურად პოზიტიური დამოკიდებულებების მქონე დამნაშავენი ავლენენ მორალურ მოთხოვნილებების ზემოქმედებას მათზე, ამ უკანასკნელთ არა მხოლოდ იმპულსური, არამედ არაცნობიერი ხასიათი აქვთ, რაც დამნაშავის პიროვნების ცნობიერებაში გაბატონებული ამორალურ ღირებულებების მიმართ მათი წინააღმდეგობის შედეგია. ამ არაცნობიერი იმპულსის შედეგს წარმოადგენს დამნაშავეთა თვითგამართლების ცდები. ამ პროცესში მონაწილეობენ ფსიქიკის დაცვითი მექანიზმები, მაგრამ მათ ახლა ჩვენ დეტალურად არ შევხებით, რადგან დაცვითი დამოკიდებულების განხილვისას დაცვით მექანიზმებს განსაკუთრებული ყურადღება ექნება დათმობილი.

პოზიტიური დამოკიდებულება განსაზღვრულია დამნაშავის ანტისაზოგადოებრივი პოზიციით. დამნაშავე არ თვლის თავისთვის ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ამკრძალავი ღირებულების ნამდვილობას და საკუთარ ქცევას აფუძნებს ვიწრო-ინდივიდუალისტურ მსოფლმხედველობაზე, რომლის მიხედვითაც დანაშაულის ჩადენა ბუნებრივი და მისაღები საქციელია.

ანტისაზოგადოებრივ პოზიციას, თავის მხრივ, განსაზღვრავს სხვადასხვა სოციალური და პიროვნული ფაქტორების კომპლექსი: ოჯახში, სკოლაში, სოციალურ გარემოში სოციალიზაციის დეფექტები, რომლებმაც განაპირობეს დამნაშავის პიროვნებაში სოციალურად დადებითი ღირებულებების უქონლობა, ჭარბი აღვზნებადობა და თავშეკავების სისუსტე, გონებრივი განუვითარებლობა, ემოციური სიჩლუნგე, და ა. შ.

პოზიტიური დამოკიდებულებების მქონე დამნაშავეთათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი ინტერესების უპატივცემულობა, ვიწრო ეგოიზმი, სხეულებრივი მოთხოვნილებების პრიმატი სულიერი მოთხოვნილებების წინაშე, სისასტიკე, პატივმოყვარეობა და სხვ. ისინი ეთიკურ ღირებულებებს და საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედების ფორმებს ცინიკურად აფასებენ. თავის მხრივ, სოციალურად დადებითი ღირებულებების უქონლობა განაპირობებს ამ დამნაშავეთა მიერ მოცემული ღირებულებების დაუფასებლობას გარშემო მყოფ პიროვნებებში. პოზიტიური დამოკიდებულებების დამნაშავეთათვის დანაშაული, როგორც წესი, მსოფლმხედველობითი ხასიათისაა.<sup>5</sup>

ჩვენი აზრით, დამნაშავენი დანაშაულისადმი პოზიტიური დამოკიდებულებით წარმოადგენენ დამნაშავეთა დამოუკიდებელ ჯგუფს მომეტებული საზო-

<sup>5</sup> სუბიექტურად პოზიტიურ დამოკიდებულებას ძირითადად ვხვდებით არასრულწლოვან დამნაშავეებში და ასევე ისეთ სრულწლოვან დამნაშავეებში, რომელთაც ინტელექტისა და ნებისყოფის განუვითარებლობის გამო ობიექტურ ღირებულებათა სისტემა არა აქვთ გამომუშავებული და თავიანთ მოქმედებას, ისევე როგორც დამოკიდებულებას, აქტუალური მოთხოვნილებების იმპულსებს უქვემდებარებენ. ობიექტურად პოზიტიური დამოკიდებულება უმთავრესად ახასიათებს რეციდივისტებს და მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს, ე. ი. იმათ, ვისაც გამოკვეთილი ანტისაზოგადოებრიობა ახასიათებს.



გადღებრივი საწინააღმდეგობის გამო. ეს განაპირობებს მათი დასჯისა და გამოსწორების თავისებურებებს, რაზეც ქვემოთ შევჩერდებით.

დანაშაულისადმი დაცვითი დამოკიდებულება. დაცვითი ეწოდება ისეთ დამოკიდებულებას, როდესაც ჩადენილი დანაშაული ეწინააღმდეგება სუბიექტის მორალურ ღირებულებებს, მაგრამ ინდივიდი ვერ ამჩნევს ამ წინააღმდეგობას. დაცვითი დამოკიდებულება განსაზღვრულია არაცნობიერი მისწრაფებით — მოიხსნას, არ იქნეს შემჩნეული ეს წინააღმდეგობა.

აღნიშნული წინააღმდეგობა იმის შედეგია, რომ დამნაშავეში არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: I—შეესაბამებოდეს სოციალიზაციის პროცესში შეთვისებულ მორალურ ნორმებს, მოქმედების შეფასების საზოგადოებრივ კრიტერიუმებს, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს დადებით თვითშეფასებას, II—მისდიოს თავის ვიწრო ინდივიდუალისტურ, დანაშაულებრივ მისწრაფებებს.

დანაშაული ამ შემთხვევაში ისეთი სოციალური აქტია, როდესაც მეორე ტენდენცია იმარჯვებს პირველზე. მაგრამ, იმის გამო, რომ პირველი ტენდენცია არ იქნა რეალიზებული, დამნაშავე ექცევა შინაგანი და გარეგანი სოციალური კონტროლის უარყოფითი სანქციების მუქარის ქვეშ. სერიოზულ მუქარას ექვემდებარება ისეთი პიროვნულად მნიშვნელოვანი ღირებულებანი, როგორცაა მაღალი თვითშეფასება და თვითპატივისცემა. „მაღალი თვითპატივისცემა არ ნიშნავს, რომ პიროვნება თავისთავს ყველაზე მაღლა აყენებს და საკუთარი თავი მიაჩნია სრულყოფის ზღვარად, მაგრამ ნიშნავს, რომ ადამიანი პატივს სცემს თავისთავს, არ თვლის თავისთავს ცუდად და სხვებზე დაბლა, დადებით დამოკიდებულებაშია საკუთარ თავთან, როგორც პიროვნებასთან. ამის საწინააღმდეგოდ, დაბალი თვითშეფასება განაპირობებს საკუთარი პიროვნების უარყოფით შეფასებას, ზიზღს და უკმაყოფილებას.“<sup>6</sup>

დანაშაულის ჩადენა უნდა იწვევდეს პიროვნების თვითპატივისცემისა და თვითშეფასების დაქვეითებას, რადგან ადამიანი თავისთავს აფასებს იმ ეთიკური კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც მან სოციალიზაციის პროცესში შეითვისა.

მაგრამ დანაშაულთან დაცვითი დამოკიდებულებისათვის დამახასიათებელია ის, რომ დამნაშავეს მხრივ საკუთარი დანაშაულის შეფასება არ შეესაბამება სოციალიზმის პროცესში შეთვისებულ ეთიკურ ღირებულებებს. დამნაშავენი დაცვითი დამოკიდებულებით არ კიცხავენ საკუთარ პიროვნებას და საზოგადოებრივი შეფასების საწინააღმდეგოდ დადებით თვითშეფასებას ინარჩუნებენ.

ბუნებრივია, ისმის საკითხი: როგორ ახერხებს დამნაშავე დადებითი დამოკიდებულება შეინარჩუნოს ჩადენილი დანაშაულისადმი, საკუთარი თავისადმი და არ შეამჩნიოს დაპირისპირებულობა ობიექტურ, საზოგადოებრივ შეფასებასთან? ეს შეიძლება აიხსნას ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების მოქმედებით.

დაცვითი მექანიზმები პირველად ზ. ფროიდმა გამოიკვლია.<sup>7</sup> მისი მოძღვრების მიხედვით ადამიანის ფსიქიკაში მუდმივი და გადაუჭრელი კონფლიქტი არსებობს არაცნობიერ ვნებებსა და მორალურ ცენზურას შორის. რომ აცილებული იქნეს ამ წინააღმდეგობით გამოწვეული დაძაბულობა, რომელმაც შე-

<sup>6</sup> И. С. Кон. Социология личности, 1967, стр. 69.

<sup>7</sup> об. З. Фрейд. Лекции по введению в психоанализ, 1910, СПб; З. Фрейд. Психологические этюды, 1912, М.



იძლება ადამიანი ფსიქიკური წონასწორობის დარღვევამდე მიიყვანოს, ფსიქიკამ გამოიმუშავა დაცვის მექანიზმები, რომლის მეშვეობით ადამიანის ცნობიერებაში „არასასურველი ინფორმაცია“, გამომდინარე არაცნობიერი ვნებებიდან, არ დაიშვება. ზ. ფროიდი ფსიქის დაცვის მექანიზმებს თავის არაცნობიერის თეორიას უკავშირებდა, „მაგრამ, — როგორც აღნიშნავს ი. კონი, — მოცემული მოძღვრება შეიძლება განხილული იქნეს მისი მოტივაციის ზოგადი თეორიის გარეთაც. განდევნის, პროექციის, რაციონალიზაციის ობიექტად შეიძლება იყოს არა მხოლოდ სქესობრივი ინსტიქტის მსგავსი ფსიქო-ბიოლოგიური იმპულსები, არამედ სხვა სოციალურ-კულტურული მისწრაფებები და ნიშნები, რომლებიც პიროვნების თვითშეფასებას ეწინააღმდეგებიან.“<sup>8</sup>

ფსიქიკის დაცვითი მექანიზმები საბჭოთა ფსქოლოგიაში სპეციალურად არ უკვლევიათ, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი აღიარებს ფსქოლოგიურ საფუძველს (ადამიანის ფსიქიკაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების არსებობას), რომელთანაც დაკავშირებულია მათი ფუნქციონირება. ასე მაგალითად, ფ. ბასინი წერს: „არსებობს მრავალი საფუძველი იმის მტკიცებისათვის, რომ განსაზღვრულ შემთხვევებში უმაღლესი ნერვული მოქმედების არაცნობიერი პროცესები გამოდიან, როგორც ცნობიერების ანტაგონისტები, ცნობიერების მოქმედების აქტივობის დამაბრკოლებელი, მოქმედების ხელისშემშლელი და თავის მხრივ ამ მოქმედებით დარღვეული.“<sup>9</sup>

დაცვითი მექანიზმების ცალკეული ფორმების განხილვამდე ჩვენ შევჩერდებით ზოგიერთ სპეციფიკურ თვისებებზე, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელია მათთვის.

დაცვითი მექანიზმების მოქმედების ობიექტს მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს დანაშაულისა და დამნაშავის ობიექტური, საზოგადოებრივი შეფასებიდან. ეს ინფორმაცია ეწინააღმდეგება დამნაშავის მორალურ ღირებულებებს, მაღალ თვითშეფასებასა და თვითპატივისცემას.

დაცვითი მექანიზმების ზემოქმედებით მოცემული ინფორმაცია არ დაიშვება დამნაშავის ცნობიერებაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დაცვითი მექანიზმების ზემოქმედება არაცნობიერია, იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს პიროვნების თვითრეაბილიტაციის არაცნობიერი ტენდენციის გამოვლინებას; უფრო მეტიც, თუ კი ამ არაცნობიერი ტენდენციის წყარო და პროცესი გაცნობიერდება, მაშინ ის დაკარგავს მოქმედების მთელ ეფექტს. ეს არის დაცვითი მექანიზმების როგორც თავისებური თვითმოტყუების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი.

დაცვითი მექანიზმები ფსქოლოგიური ფორმაა, რომლის მეშვეობით არის მხოლოდ შესაძლებელი დაცვითი დამოკიდებულება დანაშაულისადმი. მართალია, დაცვითი დამოკიდებულება შეუძლებელია წარმოდგენილი იქნეს დაცვითი მექანიზმების გარეშე, მაგრამ ეს უკანასკნელნი გამოიყენებიან დანაშაულთან პოზიტიური დამოკიდებულების დროსაც, გარკვეული სპეციფიკური ნიშნებით, რასაც ჩვენ შემდგომში შევხებით.

დაცვითი დამოკიდებულება არსებობს დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის პროცესში და ჩადენის შემდეგ, მაგრამ დაცვითი მექანიზმის ცალკეული ფორმები, განპირობებული დანაშაულისა და დამნაშავე პიროვნების სპეციფიკით,

<sup>8</sup> И. С. Кон. Социология личности, 1967, стр. 62.

<sup>9</sup> Ф. В. Бассин. Сознание и бессознательное, М., 1965, стр. 78.



შეიძლება ფუნქციონირებდეს დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა ეტაპზე.

ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების ფორმები მრავალრიცხოვანია; ამიტომ ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ყველაზე უფრო გავრცელებულსა და მნიშვნელოვანზე, როგორცაა — განდევნა, რაციონალიზაცია, პროექცია, საწინააღმდეგო ტენდენციის წარმოშობა, ცინიზმი.<sup>10</sup>

„გ ა ნ დ ე ვ ნ ა ს“ ჩვენ ვუწოდებთ დამნაშავის ცნობიერებაში იმ ინფორმაციის დაუშვებლობას, უკუგდებას, რომელიც ეწინააღმდეგება მის მისწრაფებას ხელაგდეს თავისთავს მორალური ღირებულებების დონეზე, იქონიოს დადებითი დამოკიდებულება საკუთარ თავთან, როგორც პიროვნებასთან, რომელიც არ იმსახურებს ზიზღსა და გაკიცხვას. ამგვარი ინფორმაციის ზემოქმედება ზემოთ მითითებული მისწრაფების არაცნობიერი წინააღმდეგობით იხსობა და უკუივდება.

განდევნას შეიძლება დაექვემდებაროს დანაშაულის შემადგენლობის სხვადასხვა ელემენტი, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის ეს შესაძლებელი და მნიშვნელოვანი. თუ განდევნის გამოყენება გაძნელებულია და არსებობს საშიშროება დამნაშავის ცნობიერებაში არასასურველი ინფორმაციის შეჭრისა, მაშინ დასახმარებლად მოდიან ფსიქიკის დაცვის მექანიზმების სხვა ფორმები ასეთ შემთხვევაში განდევნის ფუნქციონირების სფერო შეზღუდულია და ის დაცვითი მექანიზმების სხვა ფორმებთან არის სინთეზირებული.<sup>11</sup>

დაცვითი მექანიზმების გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს „რაციონალიზაცია“. რაციონალიზაციაში ჩვენ ვგულისხმობთ დანაშაულის ისეთ განსჯით ახსნას, როდესაც დამნაშავე ობიექტურის დასაფარავად ანვითარებს დანაშაულის მცდარ შეფასებას. რაციონალიზაცია შეიძლება დიფერენცირებული იქნეს: დანაშაულის ობიექტის მიმართ ის გამოიხატება დანაშაულით მიყენებული საზოგადოებრივი ზიანის არარსებობის ან მცირე მნიშვნელობის მტკიცებაში, სუბიექტის მიმართ ისეთი პიროვნული თვისებების წარმოდგენით, რომელიც გამორიცხავს სოციალურ პასუხისმგებლობას, სუბიექტური მხარის მიმართ ისეთ გარემოებებზე მითითებაში, რომელიც ზღუდავს, ან ხსნის მოქმედების ბრალეულობას ნების არათავისუფლების გამო.<sup>12</sup>

დამნაშავენი ზოგჯერ იყენებენ დაცვითი მექანიზმის ისეთ ფორმას, როგორცაა „საწინააღმდეგო ტენდენციის წარმოშობა“, რომლის მეშვეობითაც დამ-

<sup>10</sup> დაცვითი მექანიზმების ცალკეული ფორმების განსაზღვრება მოცემულია ფსიქო-ანალიტიკურ ლიტერატურაში — ფროიდის, ხორნის, სალივენის და სხვათა გამოკვლევებში. დაცვითი მექანიზმების ცალკეული ფორმების ჩვენი განსაზღვრების სპეციფიკა გამოწვეულია ფსიქოლოგიური ნიადაგის იმ თავისებურებით, რაც მორალური ღირებულებებისა და დანაშაულებრივი მისწრაფებების წინააღმდეგობის დროს არსებობს.

<sup>11</sup> კ. იგოშევი თავის ნაშრომში «Психология преступных проявлений среди молодежи», Москва, 1971, стр. 64, წერს: «наибольший удельный вес в структуре мотивов, выявленных со слов преступников в возрасте 18 — 25 лет, занимают мотивы, которые молодой человек затрудняется определить»  
ავტორი მოცემულ მოვლენას ახალგაზრდობის დამნაშავეობაში წინასწარგანუზრახავი, იმპულსური მოქმედების დიდი წილით ხსნის. ჩვენი აზრით, მოცემული მოვლენა შეიძლება აიხსნას „განდევნით“, როგორც დამნაშავეობის ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების გამოვლინებით.

<sup>12</sup> რაციონალიზაციის ზემოდ მითითებული მიმართულებების ტიპური წარმომადგენლებია დამნაშავეობის შემდეგი გამოთქმები: „დანაშაულს არ მოუტანია არავითარი ზიანი“, „მე არ შემეძლო არ ჩამეღინა დანაშაული, რამდენადაც ის ჩემგან დამოუკიდებელი ისეთი მიზეზებით იყო განპირობებული, როგორცაა სოციალური გარემოს უარყოფითი ზემოქმედება, ცუდი აღზრდა, ნების არათავისუფლება ფსიქიკური წონასწორობის დარღვევის გამო“ და ა. შ.



ნაშავე არა მარტო ვერ ამჩნევს მისი ქმედობის დანაშაულებრივ ხასიათს, არა-  
მედ მასში ეთიკურ აზრსა და გამართლებას ხედავს. მიმდინარეობს ნამდვილი  
მოტივის შეცვლა ეთიკური მოტივაციით, რომლის კონკრეტული შინაარსი და-  
მოკიდებულია როგორც დანაშაულის ხასიათზე, ასევე დამნაშავე პიროვნების  
თავისებურებებზე.<sup>13</sup>

ფსიქიკური დაცვის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს  
„პროექცია“<sup>14</sup>, რომლის დროსაც დამნაშავეს თავისი დანაშაულებრივი ტენდენ-  
ციები გარშემომყოფებზე გადააქვს, და რამდენადაც მათ საყოველთაობას  
წარმოიდგენს, გამორიცხავს თავისი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სა-  
ფუძველს.

„ცინიზმი“<sup>15</sup> — თავდაცვითი მექანიზმის ისეთი ფორმაა, როდესაც დამნა-  
შავე თავისი დანაშაულებრივი მისწრაფების დაკმაყოფილებისათვის აუფასუ-  
რებს მათ საწინააღმდეგო მორალურ ღირებულებებს და ვერ ამჩნევს ამ გაუ-  
ფასურებათა არაობიექტურობას, მიკერძოებულობას.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ფსიქიკის დაცვის მექანიზმები განაპირობე-  
ბენ დანაშაულთან დაცვით დამოკიდებულებას. დაცვითი მექანიზმების მოქმე-  
დების შეწყვეტის შემთხვევაში, დამნაშავე გაცნობიერებს თავისი მოქმედე-  
ბის ნამდვილ სოციალურ არსს და მის დაპირისპირებულობას სოციალიზაცი-  
ის პროცესში შეთვისებულ მორალურ ღირებულებებთან. თუ კი ეს პროცესი  
დანაშაულის ჩადენამდე მოხდებოდა, მაშინ დანაშაულის განხორციელება შე-  
უძლებელი გახდებოდა. დანაშაულებრივი მოქმედებისაკენ მიმართულ იმ-  
პულსს წინ აღუდგებოდა მორალური ღირებულება და პიროვნება შესძლებდა  
ნებისყოფის დაძაბვით მოცემული იმპულსის აღკვეთას. ზემოთ ნათქვამიდან  
გამომდინარე, დაცვითი დამოკიდებულება ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების  
მეშვეობით, არის დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორი.

ჩვენ, როდესაც განვიხილავდით დანაშაულთან პოზიტიურ დამოკიდებუ-  
ლებას, მივუთითეთ, რომ ზოგიერთი დამნაშავენი ამგვარი დამოკიდებულებით  
მორალური თვითგამართლებისათვის იყენებენ დაცვითი მექანიზმების ფორ-  
მებს. ისმის საკითხი, რა თავისებურებებით ხასიათდებიან დაცვითი მექანიზმე-  
ბი პოზიტიური დამოკიდებულების დროს? შედარებისათვის მოვიყვანოთ მა-  
გალითი დაცვითი მექანიზმის ისეთი ფორმის გამოვლინებისა, როგორცაა სა-  
წინააღმდეგო ტენდენციის წარმოშობა (დანაშაულის ეთიკური დასაბუთება).  
დამნაშავე ვ. თავის მოქმედებას, რაც გამოიხატებოდა თაღლითობით ფულის

<sup>13</sup> საწინააღმდეგო ტენდენციის წარმოშობა — დანაშაულის ეთიკური გამართლება, ხში-  
რად გვხვდება შემდეგი სახით: „დაზარალებული უარყოფითი პიროვნებაა და მისთვის ზიანის  
მიყენება სამართლიანობის დაცვის გამოხატულებაა“, „დანაშაული, საბოლოო ანგარიშით, სა-  
ზოგადოების ინტერესებს ემსახურება“ და ა. შ.

<sup>14</sup> პროექციის გამოვლინების ტიპური ფორმაა: „საზოგადოება მთლიანად დანაშაულებ-  
რივია და პირველ რიგში მართლმსაჯულების მსახურნი არიან ყველაზე დიდი დამნაშავენი“,  
„დანაშაულს ჩადის ყველა, ვისაც დასჯის არ ეშინია“ და ა. შ.

<sup>15</sup> ცინიზმის დროს დამნაშავე მორალურ ღირებულებას აუფასურებს: „საზოგადოება უმ-  
თავრესად ანგარებაზე და ძალადობაზე არის აგებული, ხოლო სიკეთე ნიღაბია უმეცართა მო-  
სატყუებლად“.

უნდა განვსხვავოთ ცინიზმის როგორც თავდაცვის ფორმა დაცვითი დამოკიდებულების  
დროს, ცინიზმისაგან, როგორც მორალური ღირებულების უქონლობის გამოხატულება, პოზი-  
ტიური დამოკიდებულებისა.





შეძენაში, თვლის ეთიკურად გამართლებულად, რადგან მისი აზრით, დაზარალებულს მიეცა საშუალება ეგნებინა იგი და ამაში კი ის უდიდეს ბედნიერებას ჰპოვებდა. მისი გამონათქვამით, არსებობს ხალხი, რომლებსთვისაც უდიდეს ბედნიერებას წარმოადგენს გაკიცხოს სხვა ამორალობაში და თავისი თავი გამოიყვანოს დიდსულოვან, მაგრამ უსამართლოდ დაჩაგრულ ადამიანად. მეორე შემთხვევა: დანაშაუვ კ-მ მისაკუთრა სხვისი წილი საერთო ქონებიდან, იმის მტკიცებით, რომ დაზარალებული, როგორც ცუდი პიროვნება, საჭიროებდა დასჯას უღირსი საქციელისათვის, რათა შემდგომში გამოსწორებულიყო.

ორივე შემთხვევაში დანაშაულის ნამდვილი მოტივი შეცვლილია ეთიკური მოტივებით. ცხადად გვაქვს მოცემული დაცვის მექანიზმი, რომლის სიტყვიერი ფორმის ანალიზი არ იძლევა მათ შორის არსებითი განსხვავების დადგენის შესაძლებლობას. მაგრამ განსხვავება მათ შორის მაინც არსებობს და ეს განსხვავება გამოწვეულია დაცვითი მექანიზმის აღმძვრელი საფუძვლის სპეციფიკურობით. დაცვითი დამოკიდებულების დროს დანაშაულის არაცნობიერი მისწრაფებაა არ დაინახოს ეთიკური ღირებულებების დარღვევა, დაიცვას მაღალი მორალური თვითშეფასება, როგორც მისი პიროვნების აუცილებელი ატრიბუტი (რომელიც მის საერთო ღირებულებათა სისტემაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დანაშაულებრივი იმპულსის დაკმაყოფილება). დანაშაულის ეთიკური მოტივირება, გამართლება, მოყვანილ მაგალითში დანაშაუვ კ-ს სჭირდება იმისათვის, რომ არ შეამჩნიოს მის მიერ ჩადენილი ანტისაზოგადოებრივი ქმედობის წინააღმდეგობა მის ცნობიერებაში არსებულ ეთიკურ ღირებულებებთან და ამის საფუძველზე შეინარჩუნოს მაღალი ეთიკური თვითშეფასება.

რაც შეეხება დანაშაუვ ვ-ს, მას ღირებულებათა სისტემაში ეთიკური ღირებულება, როგორც ქცევის განმსაზღვრელი დეტერმინანტი, არა აქვს შემუშავებული, მაგრამ მასში არსებობს ეთიკური მოთხოვნილება. დანაშაულის ჩადენის პროცესში ასოციალურმა მოთხოვნილებამ თუ ღირებულებამ გადაძლია ეთიკური მოთხოვნილება, მაგრამ იმდენად, რამდენადაც შეიქმნა დაძაბულობა ეთიკური მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობისა. მან ეს დაცვითი მექანიზმით მოხსნა — დაარწმუნა თავისი თავი, რომ მოქმედებას ეთიკური გამართლება აქვს. ამ შემთხვევაში დაცვითი მექანიზმის მოქმედებას აღძრავს მორალური მოთხოვნილებების იმპულსი და, როგორც ეს ახასიათებს საერთოდ მოთხოვნილების იმპულსით აღძრულ ქცევას, თუ დამოკიდებულებას (ჩვენ შემთხვევაში დაცვითი მექანიზმით გაშუალებულს), ის გრძნობად-კონკრეტული ხასიათისაა. მისი ადგილი არ არის გააზრებული ობიექტურ სისტემათა ღირებულებაში. მას ახასიათებს სიტუაციურობა, მომენტალურ განწყობილებებისადმი დაქვემდებარება, ემოციურობა და უსისტემობა. დაცვითი მექანიზმი წყვეტს ფუნქციონირებას მისი გამომწვევი იმპულსის მოქმედების შეწყვეტისას. ერთი სიტყვით, დაცვითი მექანიზმები დანაშაულთან პოზიტიური დამოკიდებულების დროს იმპულსური ხასიათისაა.

დაცვითი დამოკიდებულებისას დაცვითი მექანიზმების ფუნქციონირებას იწვევს არა მოთხოვნილების იმპულსი, არამედ იდეა მორალურ მოთხოვნილებაზე, ეთიკური ღირებულება, რომლის დაცვაც პიროვნების მაღალი მორალური თვითშეფასების შენარჩუნებას განაპირობებს. დაცვითი მექანიზმი ამ შემთხვევაში თავისი შინაარსით გრძნობად-კონკრეტული ხასიათისა კი არ არ-



ის, როგორც პოზიტიური დამოკიდებულების დროს, არამედ მას ახასიათებს მსჯელობით — შეფასებითი ფორმა, ხანგრძლივობა, სიმკვიდრე, სისტემატურობა, მკაცრად განსაზღვრული ხასიათი. სრულიად განსხვავებულია შედეგი, რომელიც უნდა დადგეს დაცვითი მექანიზმების მოქმედების მოხსნის შემთხვევაში პოზიტიურ დამოკიდებულებაში. ამ შემთხვევაში თვითგამართლების მცდარობის შეგნება განაპირობებს დამნაშავეს განთავისუფლებას იმ სოციალური მოთხოვნილებების იმპულსებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგება მის ანტისაზოგადოებრივ ღირებულებებს. დაცვითი დამოკიდებულების განმასხვავებელ ნიშანს პოზიტიური დამოკიდებულებისაგან წარმოადგენს ისიც, რომ ამ უკანასკნელის დროს დანაშაულს შეიძლება ჰქონდეს, როგორც იმპულსური ისე ნებელობითი ხასიათი, ხოლო დაცვითი დამოკიდებულების დროს დანაშაული მხოლოდ იმპულსური ხასიათისა შეიძლება იყოს.<sup>16</sup>

დაცვითი დამოკიდებულების დამნაშავეებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ფსიქოლოგიური ნიშნები, რომლებიც ამ დამნაშავეს პიროვნების ზემოთ განხილული წინააღმდეგობრიობიდან გამომდინარეობს და რომლის გადაწყვეტაც ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების საშუალებით ხდება (რაც გამოიხატება შემეცნებითი პროცესის არაცნობიერ შეზღუდვაში). ამ ნიშნებს შორის უნდა აღინიშნოს: არათანმიმდევრობა, არაბუნებრიობა, წინააღმდეგობრივობა მსჯელობებსა და მოქმედებებში, განსაკუთრებული შეფიქრიანებულობა საკუთარ ბედზე, გარშემომყოფთა აზრზე, ეთიკური ღირებულებების ცალმხრივი და ბუნდოვანი აღქმა, აფექტურ სფეროში უარყოფითი ემოციების სიჭარბე, შიშის, უბედურების განცდა, მოვლენათა განვითარების განსაზღვრის მცდარობა, საკუთარი პიროვნების, თავისი სურვილებისა და მიზნების სუსტი, არასრულყოფილი გაცნობიერება, ეჭვიანობა, უნდობლობა.

დანაშაულისდმი დაცვითი დამოკიდებულება განაპირობებს დამნაშავესა და დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის სპეციფიკურობას. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება დაცვითი დამოკიდებულების დროს ობიექტურად საზოგადოებრივ საშიშროებასთან არის მიმართული, სუბიექტი ამ მიმართულებას არ აცნობიერებს. დანაშაული ჩადენილი დაცვითი დამოკიდებულებით ამით ჰგავს გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ განსხვავდება მისგან იმით, რომ თუ გაუფრთხილებელი ბრალის დროს, უმრავლეს შემთხვევაში დამნაშავე არ აცნობიერებს დანაშაულებრივი <sup>შედეგის</sup> ~~შედეგის~~ დადგომის შესაძლებლობის ფაქტურ მხარეს და აქედან გამომდინარე მის სოციალურ შინაარსსაც, დამნაშავე დაცვითი დამოკიდებულების დროს, როგორც წესი სრულყოფილად აცნობიერებს დანაშაულის გარეგან, ფაქტურ მხარეს, მაგრამ არ აცნობიერებს მის ნამდვილ სოციალურ არსს, მის ანტისაზოგადოებრივობას. ამიტომ დაცვითი დამოკიდებულება წარმოგვიდგება, როგორც ღირებულებითი გაუფრთხილებლობა.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებიდან გამომდინარე ჩვენ ვასკვნით, რომ დამნაშავე და დანაშაული დაცვითი დამოკიდებულებისას, პოზიტიური დამოკიდებულებისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას.

<sup>16</sup> იმპულსური ქცევის ცნებაში ჩვენ ვგულისხმობთ ამ ცნების ფართო განმარტებას, რომელიც მოგვცა შ. ჩხარტიშვილმა.

იხ. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974 წ. გვ. 202.



ნეგატიური დამოკიდებულება დანაშაულისადმი. ნეგატიურია დამოკიდებულება დანაშაულისადმი, როდესაც დანაშაული ეწინააღმდეგება დამნაშავეს მიერ შეთვისებულ მორალურ ღირებულებებს, დამნაშავე უარყოფითად აფასებს ჩადენილ დანაშაულს და თავის თავად დანაშაულთან დაკავშირებით. ნეგატიური დამოკიდებულება, სხვა დამოკიდებულებებისაგან განსხვავებით, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ და იმდენად, რამდენადაც ის ეწინააღმდეგება დანაშაულის ჩადენას, წარმოადგენს დამნაშავეს გამოსწორების უეჭველ ნიშანს.

ნეგატიური დამოკიდებულების ფორმირება დაცვითი თუ პოზიტიური დამოკიდებულების მოხსნით ხდება შესაძლებელი. პოზიტიურ დამოკიდებულებიდან ნეგატიურ დამოკიდებულებამდე მისვლის გზა ვაცილებით რთული და ძნელია, ვიდრე დაცვითი დამოკიდებულებიდან.

პოზიტიური დამოკიდებულება, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, ორ ტიპად იყოფა: სუბიექტურად პოზიტიურ და ობიექტურად პოზიტიურ დამოკიდებულებად.

სუბიექტურად პოზიტიური დამოკიდებულება დამოკიდებულების გამოვლინების დროს არსებული აქტუალური მოთხოვნისგან, სუბიექტური ღირებულებით, განისაზღვრება. დამნაშავეს არ გააჩნია არც მორალური და არც ამორალური ობიექტური ღირებულებები. მოცემული ტიპის დამნაშავეებში ნეგატიური დამოკიდებულების ფორმირება უნდა ითვალისწინებდეს დამნაშავეს პიროვნებაში შემდეგ ცვლილებებს: 1. სოციალურად დადებითი მოთხოვნისგან აღზრდა და განვითარება, ასოციალური მოთხოვნისგან შესუსტება და მოსპობა. 2. ინტელექტის განვითარება, მორალურად დადებითი ობიექტური ღირებულებების (მორალური მოთხოვნისგან იდეების) გაცნობიერება და შემუშავება. 3. ნებისყოფის აღზრდა, რათა სუბიექტმა შესძლოს შეთვისებული მორალურად დადებითი ღირებულებების დაცვა დანაშაულბრძოლის ქცევის აღმძვრელი იმპულსისაგან.

რაც შეეხება დამნაშავეებს დანაშაულისადმი ობიექტურად პოზიტიური დამოკიდებულებით, მათში ინტელექტისა და ნებისყოფის საკმარისი განვითარების გამო ამ უკანასკნელთა ცვლილება არ არის აუცილებელი. მთავარი და გადამწყვეტია მორალური მოთხოვნისგან აღზრდა-განვითარება და ამორალური მოთხოვნისგან შესუსტება-მოსპობა, რის შემდეგაც დამნაშავე, მასში ინტელექტუალური და ნებისყოფითი შესაძლებლობების საფუძველზე, განახორციელებს ობიექტურად მორალურ ღირებულებების გაცნობიერებას, შეთვისებასა და დაცვას.

დანაშაულთან ობიექტურად პოზიტიური დამოკიდებულებიდან ნეგატიურ დამოკიდებულებაზე გადასვლის სიძნელეს წარმოადგენს ის, რომ დამნაშავე აქტიურ, ნებელით წინააღმდეგობას უწევს ამ გადასვლას. მასში გამომუშავებული მორალურად უარყოფითი ობიექტური ღირებულებები ნებისყოფის საშუალებით წინააღმდეგობას უწევენ მორალური მოთხოვნისგან განვითარებასა და აქტუალიზაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტურად პოზიტიური დამოკიდებულების მქონე დამნაშავენი ზოგჯერ, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, უარყოფითად აფასებენ დანაშაულს. ამგვარი უარყოფითი შეფასებები არ უნდა გავაიგივოთ ნეგატიურ დამოკიდებულებასთან, რომელშიც დანაშაულის უარყოფითი შეფა-



სება ობიექტური მორალური ღირებულებების პოზიციიდან ხდება. სუბიექტურად პოზიტიური დამოკიდებულების მქონე დამნაშავეების უარყოფითი შეფასებები შეიძლება გამოწვეული იქნეს მხოლოდ მორალური მოთხოვნების აქტუალური იმპულსით და არა ობიექტური მორალური ღირებულებით. მათ (ამ შეფასებებს) დამნაშავეებისთვის მხოლოდ სუბიექტური, სიტუაციური ღირებულება გააჩნია. ამგვარ უარყოფით დამოკიდებულებას დანაშაულთან ჩვენ ფსევდო-ნეგატიურ დამოკიდებულებას ვუწოდებთ და ისინი არ გამოდგებიან დამნაშავეის გამოსწორების ფაქტორად.

ნეგატიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბება დაცვითი დამოკიდებულების მოხსნის გზით, პირველ რიგში, გულისხმობს დაცვითი მექანიზმის მოქმედების მოხსნას, რაც შესაძლებელია დამნაშავეებისათვის დაცვითი მექანიზმების ფორმირების წყაროს, მისი ფუნქციის განმარტებით. დამნაშავემ უნდა გააცნობიეროს თავის მიერ გამოყენებული დაცვითი მექანიზმის მოქმედების მავნებლობა, მისი, როგორც თვითმოტყუების, სოციალური საშიშროება და დასასრულს უნდა გამოიმუშაოს ნეგატიური, უარყოფითი დამოკიდებულება დანაშაულთან. ასევე, გარდა ზემოთ მითითებული ინტელექტუალური პროცესისა, საჭიროა დაცვითი დამოკიდებულების მქონე დამნაშავეებში ნებისყოფის განმტკიცება და განვითარება, რათა დამნაშავემ შეძლოს აღკვეთოს ისეთი აქტუალური მოთხოვნების იმპულსები, რომლებიც დანაშაულისაკენ უბიძგებენ და რომლებიც მის მორალურ ღირებულებებს ეწინააღმდეგებიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაცვითი დამოკიდებულების მოხსნა მორალური თვითმოტყუების გაბათილება, შესაძლებელია და საჭიროა არა მხოლოდ კონკრეტულ დამნაშავესთან ინდივიდუალურ აღმზრდელობით მუშაობაში, არამედ უფრო ფართო ასპარეზზე—იდეოლოგიური ზემოქმედებით, საჭიროა გამოაშკარავება და გაბათილება მოსახლეობის ცალკეულ შენებში დამკვიდრებული დანაშაულის გამამართლებელი გამოთქმებისა და შეხედულებებისა. (ისეთების, მაგალითად, როგორიცაა „მარტო ხელფასზე ცხოვრება არ შეიძლება“, „ვინც არ იპარავს, ის მშიშარაა ან სულელია“, „ქრთამი კლიენტის მაღლიერების გამოხმატველია“ და სხვ.).

სტატიის შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ჩადენილ დანაშაულთან დამნაშავეის დამოკიდებულების სოციალურ-ფსიქოლოგიური არსი და მნიშვნელობა. საკითხის სირთულისა და მოცულობის გამო წინა მდებარე სტატია არ აცხადებს ამ პრობლემის ამომწურავად გაშუქების პრეტენზიას. ზოგიერთი მოსაზრება ავტორს წარმოდგენილი აქვს, როგორც შეძლებისამებრ დასაბუთებული ჰიპოთეზა. ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება მომავალში ჩვენი აზრით, უპასუხებს იურიდიულ პრაქტიკის აქტუალურ მოთხოვნებს.



# მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის შემოღება დასავლეთ საქართველოში

ი. ლოვაჰოვი

მოსახლეობის მოძრაობის რეგისტრაცია აშუამალ წარმოებს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. აღირიცხება ადამიანის დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება. რევოლუციამდე ჩვენში ნათლობაც აღირიცხებოდა.

მოსახლეობის აღრიცხვა პირველად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შემოიღეს: საფრანგეთში და ინგლისში — XVI საუკუნეში, რომში — გაცილებით უფრო ადრე.

რუსეთში პეტრე პირველმა, მრავალი პროგრესული ღონისძიების განხორციელებასთან ერთად, 1722 წელს პირველად შემოიღო მოსახლეობის მოძრაობის აღრიცხვა: დაბადების, ნათლობის, ქორწინების და გარდაცვალებისა. და ეს საქმე სამღვდლოების ხელში გადავიდა. სხვა გზით ამ ღონისძიების გატარება მაშინ შეუძლებელიც იყო. ვეებერთელა რუსეთში ბევრ სოფელში წერა-კითხვის მცოდნენი სრულიად არ მოიპოვებოდნენ, თითო-ორიღა წერა-კითხვის მცოდნენი, უმთავრესად მღვდლები იყვნენ. სოფლის მოხელეებმა კი წერა-კითხვა არ იცოდნენ. რასაკვირველია, პეტრეს ეს კანონი უცბად არ გატარებულა, მაგრამ მას საფუძველი მაინც ჩაეყარა.

საქართველოში, ქართველი მეფეების ხანაში, არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ საქართველოში, მოსახლეობის მოძრაობის აღრიცხვა არ წარმოებდა.

იმერეთში ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა რუსეთთან მის შეერთებამდე, და შემდეგაც, 1828 წლამდე. მანამდე არც სამოქალაქო და არც საეკლესიო ორგანოები არ აწარმოებდნენ მოსახლეობის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციას. ქრისტიანული სარწმუნოების წესით, ახლად დაბადებულის მონათვლა, ქალღაჟის დაქორწინება და გარდაცვალების დასაფლავება შეადგენდა საეკლესიო ხელისუფლების, მღვდლების ფუნქციას. ეს აქტები ტარდებოდა სათანადო რიტუალის — გარკვეული სიტყვიერი და ხელმოქმედებითი წესების შესრულებით, და მათი შესრულებისას ჩვენი მაშინდელი მღვდლები სრულიად არ სტოვდნენ არავითარ კვალს, არავითარ ჩანაწერს. ცნობები მოსახლეობის დაბადებათა, ქორწინებათა და გარდაცვალებათა

შესახებ იმერეთის სამეფოში მხოლოდ შემთხვევით თუ მოხვდებოდა საბუთებში, და უმთავრესად ვრცელდებოდა მსხვილი ფეოდალების, უმაღლესი საერო და საეკლესიო პირების მიმართ.

1810 წელს რუსეთს შეუერთდა იმერეთი, როგორც ერთ-ერთი პროვინცია. იმერეთში გაუქმდა მეფობა და დამყარდა რუსული მმართველობა. პირველი რუსული ხელისუფლება იმერეთში იყო სამხედრო ხელისუფლება. ამ დროს მიმდინარებდა რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომი, რომლის დამთავრებისთანავე ჩამოყალიბდა რუსული სამოქალაქო მმართველობა, რასაც მოყვა რუსული საეკლესიო მართვამეგობის დაწესება.

1811 წელს გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა), ის დაქვემდებარა რუსეთის მმართველ სინოდს.

1814 წელს საქართველოს მასშტაბით დაარსდა „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“. ეს უცნაური სახელწოდება (თითქოს იმერეთი არ იყო საქართველოს ნაწილი) გამოხატავდა ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთ ფაქტს. ამავე წელს დაარსდა საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობა.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა — უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება საქართველოში — კოლეგიური ორგანო იყო და მის თავმჯდომარედ ეგზარქოსი ითვლებოდა.

საქართველოს პირველ ეგზარქოსად დაინიშნა მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი, რომელიც ეკლესიას განაგებდა 1816-1817 წლებში. მის დროს რუსეთის მთავრობამ განიზრახა განესობრივდებინა რეფორმები საქართველოს ეკლესიაში. ეგზარქოსის მიერ მოთხოვნილი ცნობები არ წარადგინეს მღვდლებმა და რეფორმის გატარება ჩაიშალა.

1817 წელს ეგზარქოს ვარლამის მაგიერ დაინიშნა ფეოფილაქტე რუსანოვი, პირველი რუსი ეგზარქოსი საქართველოში. ის გარდაიცვალა 1821 წელს. მან გაატარა საეკლესიო რეფორმა — აღწერა საეკლესიო ქონებისა, დაადგინა ეკლესიის რიცხვი, მღვდლები გადაიყვანა და სხვა. 1819-1820 წლებში იმერეთში, შემდეგ —





გურიასა და სამეგრელოში დაიწყო ცნობილი აჯანყება.

რუსული საეკლესიო მართვა-გამგეობა თანდათან ფეხს იკიდებდა იმერეთში. ჭერი მიდგა მოსახლეობის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციაზე. (საეკლესიო რეფორმის სხვა მხარეებს ჩვენ აქ არ შევხებით, რადგან ისინი საქმოდ ცნობილია). ჩატარდა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა: მღვდლების ინსტრუქტაჟი, თუ როგორ უნდა შეეცხოთ ბლანკები, მღვდლებში მომარაგება სააღრიცხვო მასალებით. ეს ღონისძიება მეტად მნიშვნელოვანიც იყო და მაშინდელი დროისათვის რთულიც.

1826 წელს პირველად იმერეთში (აღმოსავლეთ საქართველოში რამოდენიმე წლით ადრე) შემოღებულ იქნა მეტრიკული წიგნების სავალდებულო შევსება მღვდლების მიერ: აღრიცხვა მოსახლეობის დაბადებისა, ნათლობისა, ქორწინებისა და გარდაცვალებისა. ეს იყო საქართველოს ეგზარქოსის იონას დროს. (თბილისის ცენტრალური ისტორიული არქივი; ფონდი № 489, სპარქ. № 1986).

მაგრამ მღვდლები არ იყვნენ სათანადოდ მომზადებული ამ საქმისთვის, რაც აიხსნება მათი მეტად დაბალი საერთო განათლებით. საეკლესიო ხელისუფლება ხედავდა მღვდლების უცილობას და ამიტომ უბრუნდა ჩანაწერებში მათს უნებ შეცდომებს. მღვდლები ზოგჯერ, მოქალაქის აღრიცხვისას, არ წერდნენ გვარს, ან სახელს, ზოგჯერ ქორწინებისა და გარდაცვალების ჩანაწერებს, წლოვანებასაც გამოტოვებდნენ ხოლმე. ბევრი ჩანაწერი ისეთია, რომ გარჩევა ძნელდება, ზოგჯერ შეუძლებელიც არის. პირველ წლებში მღვდლები დაბადებულის აღრიცხვისას არ მოიხსენიებდნენ დაბადებულთა დედებს, არ აღნიშნავდნენ წოდებას, თუმცა მოვალენი იყვნენ აღნიშნათ ეს.

მღვდლებს პირველ ხანებში არც ესმოდათ რეგისტრაციის მნიშვნელობა, მათი პრაქტიკული გამოყენება. რეგისტრაციის შემოღების პირველ წლებში ჩანაწერები პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა. დაბადების აღრიცხვის მოწმობა საჭირო იქნებოდა პიროვნების წლოვანების გარკვევისას მისი დაქორწინების დროს, ან სასწავლებელში შესვლისას. სასწავლებლებში შემსვლენი კი, სკოლების მცირე რიცხვის გამო, გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ნაკლებად აწუხებდნენ მღვდლებს წლოვანების მოწმობისათვის. სკოლების განხლის გამო მღვდლებს უფრო ხშირად სთხოვდნენ წლოვანების მოწმობას დაბადების ჩანაწერის სისწორეზე. უფრო მეტი პასუხისმგებლობა მღვდლებს საქართველოში საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღებამ დააკისრა (1886 წელს). ისინი

ვალდებული იყვნენ ყოველწლიურად წარედგინათ მაზრის უფროსისათვის ჯარში გასაწვევ პირთა სია. ეს მოთხოვნა დიდ სიჭუსტეს მღვდლების მიერ წარმოებულ აღრიცხვიანობაში.

მეტრიკული წიგნების შემოღებისას ჩაწერას მათში ყველგან მღვდლები არ აწარმოებდნენ. წერა-კითხვის უცოდინარი აგრეთვე მცირემცოდნე მღვდლები წიგნებში ჩაწერისათვის იყენებდნენ მათთან ბლაღოჩინ მღვდლის მიერ მიმარებულ მცოდნე პირებსაც.

მაშინდელი მღვდლების (1826-1829 წლებში) სწავლა-განათლების ხაზით ჩვენ განხილული გვაქვს ცალკე შრომაში „ზოგი რამ სწავლა განათლების საქმის საერთო მდგომარეობაზე იმერეთში XIX საუკუნეში, ყოფილ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მასალების მიხედვით“ (ხონის რაიონის მღვდლებში 59 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყვნენ).

მეტრიკული წიგნების ჩანაწერებში ორნაირი ხელი აღინიშნება: პირისა, რომელსაც წერა-კითხვა შეუსწავლია შინაურულათ, და პირისა, რომელსაც უსწავლია კლასიკურ სასწავლებელში. ზოგიერთი ნაწერი, ქარსული საუკუნის ოცდაათიან-ორმოციან წლებში, ჯერ კიდევ ჩვენს დიდებულ იაკობ გოგებაშვილამდე, ისეთია, რომ წაგავს ჩვენი დროის საუკეთესო კალიგრაფიულ ნაწერს, რაც სიამოვნებას იწვევს მკითხველში.

მეტრიკულ წიგნებს ქართულ ენაზე ავსებდნენ. რუსეთის ხელისუფლებამ მღვდლების სუსტი მომზადების გამო, ვერ შეძლეს აღრიცხვა ეწარმოებინათ რუსულ ენაზე. როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენს მღვდლებს არამც თუ რუსულად, ქართულადაც ეძნელებოდათ აღრიცხვა.

1908 წლისათვის სინოდალურმა კანტორამ მღვდლებს დაუზღვანა აღრიცხვის რუსული ბლანკები და დაავალა 1908 წლიდან მეტრიკული წიგნები რუსულად შეეცნოთ.

1908, 1904 და 1905 წლებში ხონის რაიონის ეკლესიების მეტრიკულ წიგნებში ჩანაწერები რუსულად არის შედგენილი. ჩანაწერები სავსეა შეცდომებით.

1906 წელს წიგნები კვავდნენ ქართულ ენაზე იესება, მაგრამ 1907 წელს ისევ რუსული წარმოება შემოიღეს. ეს ხელისუფლების უკანასკნელი ცდა იყო განემტკიცებინა რუსული ენა საეკლესიო აღრიცხვაში.

1908 წელს აღრიცხვა საბოლოოდ ქართულ ენაზე გადავიდა. რუსულ ხელისუფლებას არ დასცალდა გაუტარებინა რუსიფიკაცია საეკლესიო აღრიცხვაში. (აქ მოთხრობილი ცნობები ეყრდნობა ყოფილი ხონის რაიონის ეკლესიების მასალებს).



საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა გააუქმა რევოლუციამ 1917 წელს. ამავე დროიდან ეკლესია ჩამოცილებულ იქნა სახელმწიფოსაგან და სავალდებულო არ იყო მოსახლეობის მოძრაობის რეგისტრაცია მღვდლებს მოეხდინათ, თუმცა მოქალაქეს შეეძლო მიემართა მღვდლისათვის თავის სურვილის მიხედვით. სახელმწიფომ დააწესა რეგისტრაციის სამოქალაქო წესი. მაგრამ ამავე დროს საქართველოში მაშინვე არ ჩამოყალიბებულა ისეთი აპარატი, რომელიც სავსებით შეცვლიდა სინოდალური კანტორის და მღვდლების ამ ფუნქციას. რევოლუციას არ ეცადა ამისათვის და არც მოსახლეობა იყო სამისოდ სკეპთად მომზადებული.

სამოქალაქო ორგანოების აღრიცხვიანობასთან ერთად, მღვდლები ინერციით მაინც განაგრძობდნენ რევოლუციის შემდეგ მოსახლეობის მოძრაობის აღრიცხვას. ისინი თავისთვის აწარმოებდნენ მეტრიკულ წიგნებს, მაგრამ ორგანო, სადაც მათ სააღრიცხვო მასალა უნდა წარედგინათ, სინოდალური კანტორა ან მისი მაგიერი სხვა საეკლესიო ორგანო — უკვე არ არსებობდა.

ამიტომ, 1917-1920 წლების სააღრიცხვო მასალები თავის დროზე, სოფლებიდან და ქალაქებიდან არხად გადაგზავნილა. ამით აიხსნება, რომ აღცილებზე, სოფლად, აშუამად „მმაჩის“ ორგანოებში შეიძლება იყოს 1917-1920 წლებში მღვდლების მიერ შედგენილი მეტრიკული წიგნები, ზოგჯერ ორ ცალად, და ამ წლების მასალები არ იყოს მმაჩის რესპუბლიკურ არქივში.

1917 წლიდან მოსახლეობა ნაკლებად მიმართავს მღვდლებს. ამ წლების მასალები მცირეა. შემდეგში, სასამართლოს დადგენილებით, მოგვიანებით, წარმოებულია 1917-1920 წლებში დაბეჭდილთა წლოვანების აღდგენა, რომელთა მასალა ინახება მმაჩის სათანადო ორგანოებში.

მღვდლების ჩანაწერები კიდევ გვხვდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წელს — 1921 წელს, შემდეგ კი უკვე აღარ გვხვდება.

1921 წლიდან მოსახლეობის მოძრაობის აღრიცხვიანობას განაგებენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები.



# ისევ „ქართული სამართლის ჭკვლაობის“ გამოცემის გამო

თ. ენუქიძე

„საბჭოთა სამართლის“ მიმდინარე წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი რეცენზია — „ქართული სამართლის ძეგლების“ გამოცემის გამო. აკად. ი. დოლიძემ თავის პასუხში, რომელიც ამავე ყურნალის მეორე ნომერშია დაბეჭდილი, მთლიანად მიიღო ჩვენი კონკრეტული შენიშვნები და ბრძანა, რომ: „რეცენზიაში აღნიშნული ტექსტოლოგიური შეცდომები და არასწორი წაკითხვები... სადავოდ არ მიგვაჩინია... „ქართული სამართლის ძეგლების“ სათანადო ტომების სამუშაო ეგზემპლარებში გაცილებით მეტი შეცდომები გვაქვს აღნიშნული, ვიდრე დაინტერესებულმა რეცენზენტმა შენიშნა! ამ გასწორებებს ჩვენ თავის დროზე სერიის ერთ-ერთ ტომს დავურთავთ“<sup>2</sup>.

ციტირებული ადგილი და საერთოდ პასუხის ტონი გვიჩვენებს, რომ ი. დოლიძე ცდილობს მკითხველს ისე წარმოუდგინოს საქმე, თითქოს რეცენზიაში მითითებული შეცდომები სერიოზული და მათემატიკური კი არ არის, არამედ კორექტურული ხასიათისა და არავითარ გავლენას არ ახდენს ტექსტების გამოცემის ხარისხსა და დარსებაზე.

ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის.

ი. დოლიძისეულ ბუბლიკაციებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაშვებულია არა კორექტურული, არამედ მეტად მძიმე, უხეში შეცდომები. მკითხველი ერთხელ კიდევ რომ დარწმუნდეს ამაში, გავაცნობთ რამდენიმე ახალ ნიმუშს ისეთი შეცდომისა, რომელიც არამც და არამც არ მიეკუთვნება კორექტურული ლაფსუსების რიგს. დავიწყოთ შეცდომებით, რაც ი. დოლი-

ძეს ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის პუბლიკაციაში მოხდა.

1. კანონმდებელი სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში, იმ ადგილას, სადაც ჩამოთვლილი აქვს სამართლის წიგნთა კრებულში შესული ძეგლები, წერს: „...რომელიც გენეზოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით სჯიდეთ და სამართალსა მართალსა იქმოდეთ“<sup>3</sup>. ამ წაკითხვას გვაძლევს ვახტანგ VI ავტორიზებული ნუსხა S 3688. აკად. ი. დოლიძე ტექსტის ამ ადგილს ასე ბეჭდავს: „...რომელიც გენეზოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით სჯიდეთ და სამართალსა იქმოდეთ“<sup>4</sup>. ამ წაკითხვას იძლევა Q 575 და მისი პირი, ჩვენს მიერ C ლიტერით აღნიშნული H-1659 ხელნაწერი.

აკად. ი. დოლიძემ დაუსაბუთებლად: უფულ-გებულყო სიტყვა „მართალსა“. აქ მართლ სამართლის ქმნაზე როდია საუბარი, არამედ მართალი სამართლის ქმნაზე, სამართლიან სამართლის ქმნაზე. რატომ უკარგავს აკად. ი. დოლიძე ამ დიდებულ ძეგლს იურიდიული თვალსაზრისით ღრმამინაარსიან და მოხდენილ გამოთქმას „მართალ სამართალს“, რომელიც ნახსენებია ჯერ კიდევ XII საუკუნის უკვდავ ძეგლში, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“:

„ქმნა მართლისა სამართლისა...“ ან კიდევ „ცან, სამართალი მართალი“<sup>5</sup>.

2. ვახტანგ VI სამართლის წიგნის მე-4 მუხლის ერთ-ერთ ნაწილში საუბარია იმაზე, თუ როგორი იასაული უნდა გაიგზავნოს საქმის გა-

1 რეცენზიაში აკად. ი. დოლიძის მიერ დაშვებული იმ შეცდომების მთლიანად აღნუსხვა, რომელიც ჩვენ შევამჩნიეთ, ვერ მოხერხდა მათი სიმრავლის გამო. ამიტომ იყო, რომ რეცენზიაში ვწერდით: „შეცდომები... გაცილებით მეტია, ვიდრე აქ არის მოტანილი, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას“ (იხ. „საბჭოთა სამართალი“, № 1, გვ. 84).

2 სხვათა შორის, შეცდომები იმდენია, რომ შესაძლოა გასწორებებს სპეციალური ტომიც დასჭირდეს.

3 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამოცემა, 1955, გვ. 46.

4 ქსძ, ტ. I, გვ. 478.

5 ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკად. ა. შანიძის ხელმძღვანელობით, ნისივე წინასიტყვაობით და გამოკლევით. 1956 წ.



მოსაძიებლად აქ ნათქვამია, რომ მოსამართლეს უნდა ჰყავდეს „სხვა, ჭკუისმყოფელი, უჭრთამო, მართლის მტკემელი, ს ი მ ა რ თ ლ ე ზ ე ც ნობილი იასაული“. ეს ადგილი სწორედ ასე იკითხება S-3883 ხელნაწერში (აკად. ი. დოლიძის გამოცემაში A ნუსხა). ი. დოლიძემ ამ ტექსტში „სიმართლეზე ცნობილი იასაული“ შეცვალა Q 575 ხელნაწერის წაკითხვით: „სამართალზე ცნობილი იასაული“<sup>6</sup>. აქ სიტყვა „სამართალზე“ უადგილოა. კანონმდებელი სწორედ „სიმართლეზე“ ცნობილ იასაულს გულისხმობს. ჩვენს გამოცემაში D ხელნაწერის (Q 164) წაკითხვა, რომელიც სქოლიოში გვაქვს ჩატანილი, უფრო უსიტყვოდ განმარტავს ამ ადგილს: „სიმართლეზე ცნობილი კაცი“<sup>7</sup>. ეს განმარტება ამაგრებს S 3883 ხელნაწერის წაკითხვის მართებულობას.

3. ვახტანგის სამართლის 239-ე მუხლით დედაკაცის ფიცი არ შეიძლება. მის მაგივრად მისმა ძალიან ახლობელმა კაცმა უნდა დაიფიცოს. ტექსტში ეს ადგილი ასე იკითხება: „უნდა მოსამართლემ მოუძებნოს, რაც რამ საყვარელი ყვანდეს, ძმა თუ შვილი ან სიძე, ის შეაღვოს“<sup>8</sup>.

ტექსტის დასადგენად გამოყენებულ ხელნაწერებში ყველგან ასეთი წაკითხვაა. აკად. ი. დოლიძე პუბლიკაციაში უშენიშვნოდ ტოვებს ამ წაკითხვას ჩვენ უფრო მართებულად ჩავთვალეთ, ხელნაწერთა წაკითხვა სქოლიოში ჩაგვეტანა და ტექსტი ასე გავვემართა: „რაც რამ საყვარელი ყვანდეს, ძმა თუ შვილი ან სიძე, ის შეაღვოს“<sup>9</sup>.

4. ვახტანგის სამართლის 247-ე მუხლის ერთი ნაწილი ასე იკითხება: „ვინც სხვის კაცი-საგან მოჭრილი, დაშაღებულნი, რაც რაფერი ხე წაიღოს“<sup>10</sup>. სიტყვა „წაიღოს“ ტექსტში ჩვენი შეტანილია (ნუსხათა წაკითხვა „წაიღოს“ ჩატანილი გვაქვს სქოლიოში). აკად. ი. დოლიძის პუბლიკაცია ამ წაკითხვას უშენიშვნოდ იმეორებს. ე. ი. არ აღნიშნავს ხელნაწერებში ამ სიტყვის სხვაგვარ წაკითხვას<sup>11</sup>.

შემდეგი საკითხი, რომელსაც ვინდა შევეხეთ, არის ვახტანგის სამართლის წიგნში შესული მუხლების დასათაურება. მუხლების დიდ რაოდენობას ეს დასათაურება თვითონ აკად. ი. დოლიძემ შეუდგინა, თავისი შედგენილი სათაური კვადრატულ ფრჩხილებში ჩასვა და

მუხლის ტექსტს წინ წარუმიღვარა. ზოლო ზოგჯერ მუხლის სათაურად იმავე მუხლიდან ტექსტის ნაწილი გამოყო და ის აქცია სათაურად<sup>12</sup>. ეს ჩვენ მართებულად არ გვეჩვენება, უფრო მეტიც: ასეთი ოპერაციები დაუშვებელია<sup>13</sup>. ტექსტში ასეთი ჩარევა მუხლის შინაარსსაც ბუნდოვანს ხდის და ტექნიკურადაც მოუხერხებელია. ეს რომ ასეა, ამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

1. ვახტანგის სამართლის მე-9 მუხლის ტექსტი ყველა ხელნაწერში ასე იწყება: „9. შანთი ასრე არის: რკინა რამ გააქუროს“...

აკად. ი. დოლიძის მიერ დადგენილ ტექსტშია:

„შანთი ასრე არის  
9. რკინა რამ გააქუროს, რომ გაწითლდეს...“ (დატულია ი. დოლიძისეული პუნქტუაცია).

2. ვახტანგის სამართლის მე-10 მუხლი ყველა ნუსხაში იკითხება:

„10. ფიცი ასრე არის: ერთის კარის შეწამებაზე, უმთხრობლოდ რომ შესწამოს...“

აკად. ი. დოლიძის მიერ დადგენილ ტექსტშია:

„ფიცი ასრე არის  
10. ერთის კარის შეწამებაზე, უმთხრობლოდ რომ შესწამოს...“

3. ვახტანგის სამართლის მე-13 მუხლი ასე იკითხება: „13. მოწმით სამართლის ქნა ასრე არის, რომე: მოწმე დიად სწამთ და იციან“...

აკად. ი. დოლიძის გამართულ ტექსტშია: „მოწმით სამართლის ქნა ასრე არის, რომე:

13. მოწმე დიად სწამთ და იციან უფრო ბერძენთა...“

ასევე, გაუმართლებლად მიგვაჩნია ტექსტის პირველი რედაქციის (204 მუხ.) შემდეგ დამატებულ ნაწილს გაუქმედეს სათაური „[ბოლოსიტყვაობა]“. ეს ტერმინი — ბოლოსიტყვაობა ჩვენ თავის დროზე მხოლოდ გამოკვლევის ტექსტში ვიხმარეთ, ისიც — პირობითად. XVIII საუკუნის დასაწყისის ძეგლის ტექსტში ამ თანამედროვე ტერმინის შეტანა, როგორც ეს აკად. ი. დოლიძემ გააკეთა, ანაქრონიზია.

მართებულად არ მიგვაჩნია კანონმდებლის ხელიდან გამოსული სამართლის წიგნის ტექსტში ხელაღებით ხელოვნურად შექმნილი სათა-

6 ქსდ, ტ. I, გვ. 481.  
7 იქვე, გვ. 542.  
8 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გვ. 113.  
9 იქვე, გვ. 114.  
10 ქსდ, გვ. 544.  
11 იქვე, გვ. 664.  
12 ამ საკითხზე აქ, ამაზე ვრცლად შეჩერება არ ხერხდება.



ურების შეტანა. თუ ეს აუცილებელი იყო, უმჯობესი იქნებოდა მუხლების დასათურება გავგეტანა სამართლის წიგნთა კრებულზე დართული საქმელების კიდებზე არსებული მინაწერებიდან, რომელთა ნაწილი მდივან სოლოძონ მალაღამეს, ხოლო ნაწილი (ვარაუდებით) ვახტანგ VI ეკუთვნის.

აკად. ი. დოლიძემ უმართებულოდ მიიჩნია ჩვენი შემდეგი შენიშვნები: „არ არის სწორი Q 575 ხელნაწერის დოლიძისეული დათარიღება. არ არის მართალი აკად. ი. დოლიძე, როცა ამბობს, სამართლის ტექსტის დადგენისათვის Q 575 ხელნაწერზე უკეთესი ნუსხა არ გავგაჩინაო. აკად. ი. დოლიძე ვერ გაერკვა ჩვენს შრომაში დადგენილ ვახტანგ VI სამართლის წიგნის რედაქციებში და ხელნაწერთა ტიპებში, ისინი ერთიმეორეში აურია. ი. დოლიძე არსად არ განმარტავს, თუ რატომ წყდება Q 575 ხელნაწერის ტექსტი ვახტანგ VI სამართლის წიგნის 263 მუხლზე. ან რატომ არის A ნუსხის (S:3688) ტექსტში 7, 74, 76 მუხლები უფრო ვრცელი, ვიდრე Q 575-ში. ამ მუხლებთან მიწერილი შენიშვნები: „B-ში არ არის“, არ გახლავთ საქმარისი მათ ასახსნელად, მით უმეტეს, ი. დოლიძე აღნიშნავს: „S 3688 ხელნაწერი Q 575 ხელნაწერის დედანი არისო“. ამ შენიშვნის პასუხი ი. დოლიძემ წარმოადგინა თავისი წერილის პირველ ქვეთავში: „სამართლის წიგნთა კრებულის ორი უძველესი ნუსხის შესახებ“. ი. დოლიძის მსჯელობა უსაფუძვლოა და ჩვენი შენიშვნების პასუხი არ არის, ხოლო აქ გამოთქმული ზოგიერთი დებულებით კი ი. დოლიძემ ცხადყო, რომ მას მცდარი წარმოდგენა აქვს ტექსტების გამოცემაზე. იგი წერს, ისტორიულ-ფილოლოგიურ და იურიდიულ კომენტარების გაკეთება მიზნად არ მქონიაო. ჩემი „მიზანი იყო ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ძეგლების ტექსტების დადგენა და რიგიანი გამოცემა, რაც შეეხება ტექსტოლოგიურ კომენტარებს, იგი მომავლის საქმეა“, რომ „გამოცემული ტექსტები კრიტიკულად დადგენილი არ არის“. ეს დებულებები ტექსტებზე მომუშავე ყველა მკვლევართათვის მიუღებელია და ამგვარად გამოცემული ძეგლების ტექსტები, ბუნებრივია, სამართლის დიან შენიშვნებზე და იმსახურებს.

ამ ქვეთავს აკად. ი. დოლიძე ასე ამთავრებს: „ჩვენი მოსაზრების დასაბუთება იმის შესახებ,

რომ Q 575 ხელნაწერი 1710-1711 წლებით უნდა დათარიღდეს, მიუხედავად ვრცელი ექსპურსისა, რეცენზენტმა ოდნავადაც ვერ შეარყია“ („საბჭოთა სამართალი“, № 2, გვ. 61). არავითარი ვრცელი ექსპურსი ამ საკითხის დადგენას არ ესაჭიროება და არცა გვაქვს. ჩვენს მიერ რეცენზიაში მოტანილი მასალების გამოვრებით მკითხველს აღარ შევაწუხებთ, ოდნოდ იმ მასალებს კიდევ ერთს დავუმატებთ.

აკად. ი. დოლიძის მტკიცებით, Q 575 ხელნაწერი, რომელშიც ვახტანგის სამართლის ტექსტი 263 მუხლით თავდება, 1710-1711 წელს არის გადაწერილი<sup>13</sup>. მაშინ როგორღა ავხსნათ მისივე გამოთქმული აზრი იმავე შრომის 668 გვ. „ამ მეორე ნაწილის შევსება (საუბარია 205-270 მუხლებზე თ. ე.) სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ხდებოდა ვახტანგის მეფობის (ხაზი ჩვენია თ. ე.) პერიოდში (მუხლი 205-263) და ნაწილობრივ შემდეგაც (264-270)“<sup>14</sup>. აქედან ჩანს, რომ აკად. ი. დოლიძეს 205-270 მუხლები მიიჩნია ვახტანგის მეფობისა და ნაწილობრივ მის შემდგომ პერიოდში დამატებულიად. შევასწავებთ აკად. ი. დოლიძეს, რომ ვახტანგი გამეფდა 1716 წელს, მაგრამ სპარსეთში დატოვეს, ხოლო ქართლი ჯანიშინად დანიშნულ მის ძეს — ბაქარს გადასცეს. ვახტანგი მხოლოდ 1719 წელს ბრუნდება საქართველოში<sup>15</sup>.

ამრიგად, აკად. ი. დოლიძის შრომიდან მოტანილი ციტირებული ადგილიდან მტკიცდება, რომ მას ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 205-263 და 264-270 მუხლები კრებულში ვახტანგის გამეფების, ანუ 1716 წლის შემდეგ შეტანილად მიიჩნია. ამდენად, 1710-1711 წელს გადაწერილ სამართლის წიგნის კრებულში 1716 წლის შემდეგ შეტანილი მუხლები (205-270) ვერაფრით ვერ მოხვედებოდა.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის ჩვენი ვარაუდის სამართლიანობა ნათელია. შრომაში ერთ საკითხზე ავტორის ორი სხვადასხვა აზრის მტკიცება ავტორის აჩქარებულობაზე მიუთითებს.

სწორია აკად. ი. დოლიძის აზრი იმის შესახებ, რომ S 3688 (აკად. ი. დოლიძის გამოცემაში A ნუსხა), ვახტანგის ავტორიზებული ხელნაწერი, არის დედანი Q 575<sup>16</sup>. ამ აზრის შემდეგ მნიშვნელობა Q 575-ისა (როცა რედაქცი-

<sup>13</sup> ქსდ, ტ. I, გვ. 565.

<sup>14</sup> აქ, აკად. ი. დოლიძე რედაქციების მაგივრად ხმარობს ნაწილებს. უნებურად გვაგონდება ჩვენს მიერ დადგენილი რედაქციები: I 1—204 მუხლი, II 205—263 და III 264—270.

<sup>15</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 1973, გვ. 407—408.

<sup>16</sup> ქსდ, ტ. I, გვ. 571.





ებზე და საძიებლებზე არ ვმსჯელობთ) განი-  
საზღვრება იმით, რომ პირველ რიგში მან შე-  
მოგვიანა დედნის S 3683 ხელნაწერის (ფიზი-  
კური დაზიანებულობის გამო) დაკარგული მუხ-  
ლების ტექსტი (225—237 და 259-261). იგივე  
მუხლები აბსოლუტური მსგავსებით შემოგვი-  
ნახა H 1659 ხელნაწერმა, იგი არის პირი  
Q 575 ხელნაწერისა, რომელიც ჩვენ გამო-  
ცემაში C — ლიტერით გამოვყენეთ. მოტა-  
ნილი აზრის ჭეშმარიტებას ადასტურებს ორივე  
გამოცემის სხენებული მუხლების (225-237 და  
259-261) შედარება. ვიმეორებთ, ამით არ ვამ-  
ცირებთ Q 575 ხელნაწერის ფასს და მნიშვნე-  
ლობას, მაგრამ დასახელებული მუხლების აღ-  
დგენისათვის მათ ერთიდაიგივე წაკითხვა მოგ-  
ვცეს.

ყოველივე ამის გამო არ არის მართალი აკად.  
ი. დოლიძე, როცა დაუსაბუთებლად, ზოგა-  
დად აცხადებს: „Q 575 ხელნაწერი რომ ტექს-  
ტის დადგენისათვის უკეთესი ნუსხაა, ეს ცხადად  
დადასტურდა, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნ-  
თა ჩვენს მიერ გამოცემული ტექსტებით. ამას  
დიდი სპეციალისტი არ სჭირდება. ეს უბრალო  
მკითხველის თვალთადაც ადვილად შესამჩნევია“<sup>17</sup>.  
ეს ასე არ არის, მაგრამ ვთქვათ, რომ აკად.  
ი. დოლიძის ეს უკანასკნელი აზრიც სწორია,  
მაშინ რატომ აცხადებს სამართლის ძეგ-  
ლების I ტ. 571 გვერდზე: S 3683 ხელნა-  
წერი Q 575 დედანია“<sup>18</sup>. ამ აზრთა წინააღმ-  
დეგობას ხომ უნდა მოვლა? განა მისაღებია,  
როცა ერთ შრომაში ავტორის ერთმანეთის სა-  
წინააღმდეგო აზრები გვხვდება?

პასუხის ამავე ქვეთავში აკად. ი. დოლიძე  
ბრალს გვდებს, რომ ჩვენ ვიჩე-  
მებთ (?) და საკუთარ დამსახურებად მიგვაჩ-  
ნია Q 575 ხელნაწერის გამოვლინება.  
მსგავსი რამ არსად გვაქვს ნათქვამი. ჩვენს რე-  
ცენზიაში აღვნიშნეთ, რომ „სამეცნიერო ლიტე-  
რატურაში ამ ხელნაწერის შესახებ პირველ  
ცნობას ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში  
ვხვდებით“<sup>19</sup> სქოლიოში ვასახელებთ ხელნაწერ-  
თა აღწერილობის Q კოლექციის II ტომს ავ-  
ტორებით, გამოცემის თარიღით და გვერდის

მითითებით<sup>20</sup>. ვფიქრობთ, ყველაფერი რიგზეა,  
სად ჩანს მითვისება ან მიტაცება?

საქმე ის არის, რომ აქ აღმოსაჩენი და გა-  
მოსავლენი არაფერია. ხელნაწერთა აღმწერელ-  
მა, რომელსაც ამ ტომში შეხვდა აღსაწერად  
501-650 ნომრები, Q 575 ხელნაწერთან დაკავ-  
შირებით გაასწორა საინვენტარო კატალოგში  
არაკვალიფიციური პირის მიერ დაშვებული  
შეცდომა („ვახტანგის სამართლის წიგნთა კრე-  
ბული“ გატარებული იყო, როგორც „სჭულის  
კანონი“)<sup>21</sup>. სამწუხაროდ აკად. ი. დოლი-  
ძე აქაც სცდებოდა. ეს აღმწერელი აწ-  
განხევებული ნ. კასრაძეა და არა დიდი  
ქუთათელია. ასეთი სადავო საკითხების  
წერის დროს ყურმოკრული ფაქტებით არ  
უნდა წარვდგეთ მოკამათისა და საზოგადოების  
წინაშე. საქმარისი იყო აკად. ი. დოლიძის ჩე-  
ხედა ჩვენს მიერ სქოლიოში დასახელებულ ნაშ-  
რომში, რომ ასეთი კუროლოზი არ დაემართო-  
და და ასეთ ვრცელ კამათსაც არ გავვიმართავდა.

აკად. ი. დოლიძის პასუხის მეორე ქვეთავი—  
„ჩვენს გამოცემებში შესული ზოგიერთი ძეგ-  
ლის შესახებ“ — ეს არ არის ჩვენი შენიშვნის  
პასუხი და ვფიქრობთ, რომ ჩვენი შენიშვნით<sup>22</sup>  
სადად მოაზროვნე ადამიანთა  
აზრს გამოვსატავთ. აქ მოტანილი აკად.  
ი. დოლიძის ზოგად მსჯელობას არ ვთვლით  
პასუხად. ამიტომ მისი კვლავ პეიქრობის საგ-  
ნად გადაქცევაც უმართებულად გვეჩ-  
ვენება.

გაუგებარია, აკად. ი. დოლიძის განცხადება,  
რომ მის „რეცენზენტს მ. თარხნიშვილის ხე-  
ნებული გამოცემა თვალთადაც არ უნახავს“.  
მ. თარხნიშვილის 1954 წ. გამოცემა ემყარება  
სლოვის ხელნაწერს, რომელიც XIX საუკუნე-  
შია გადაწერილი ქართული ენისა და მწერლო-  
ბის უცოდინარი პირის მიერ, და ბუნებრივია,  
შიგ მრავალი შეცდომაა არის. ეს აღნიშნულია  
აკად. ა. შანიძის გამოცემაში.

ჩვენ რომ ბაკურიანისძის ტექსტზე ფილო-  
ლოგიური მუშაობა დაგვიკირვებოდა (მ. თარხ-  
ნიშვილისა და აკად. ა. შანიძის გამოცემათა  
შესადარებლად), მაშინ, რა თქმა უნდა მ. თარხ-  
ნიშვილის ტექსტსაც გამოვოყენებდით. სხვა

17 „საბჭოთა სამართალი“, 1975, № 2, გვ. 61.  
18 ვაგიხსენით Q 575 ხელნაწერმა როგორ შესცვალა თავისი დედნის S 3683-ის მართე-  
ბული წაკითხვები: „(მოსამართლეს) ძნელი ტვირთი დაუც აღსაკიდებლად ბეჭთა თვისთათ-  
ვის“ შეცვალა „ბრჭეთა თვისთათვის“ (მუხლი 3). „სიმართლეზე ცნობილი იასაული“  
სამართალზე ცნობილი იასაულით (მუხ. 4). „მართალი სამართალი“, „სამარ-  
თალი“ (წინასიტყვ.).  
19 „საბჭოთა სამართალი“, 1975, № 1, გვ. 76.  
20 იქვე, გვ. 77.  
21 ამიტომაც არ მოხვდა ჩვენს კვლევაში ეს ნუსხა.  
22 „საბჭოთა სამართალი“, № 1, გვ. 83—84.



შემთხვევაში მეც და სხვა მკითხველიც, ვისაც ბაკურიანისძის ტექსტი დასჭირდება, ბუნებრივია, გამოიყენებს აკად. ა. შანიძის გამოცემას, რადგან იგი ემყარება XIII საუკუნის ხელნაწერს, სადაც ტექსტი შერყენილი არ არის (გამოცემის ხარისხიც ეჭვს არ იწვევს). ასევე, ალბათ, არასოდეს არ ვისარგებლებთ მუშაობის დროს „გაჰანის ქვანთა ვანგების“, „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“-სა, და სხვა იმ ძეგლების ტექსტებით, რომელიც აკად. ი. დოლიძის მიერ არის გადმოშტეფილი. შევეცდებით საქიროების დროს ავტორების გამოცემებით ვისარგებლოთ.

პასუხის შესამე ქვეთავს „რეცენზენტის უსაღუძვლო პრეტენზიების შესახებ“ აკად. ი. დოლიძე იწყებს ჩვენი იმ შენიშვნით, რომ ზედმეტია კრებულის სახელწოდების შესახებ მსჯელობა. რადგან აკად. ი. დოლიძე შენიშვნაში მოტანილ მსჯელობას აუაღბებს, ამიტომ იძულებული ვართ მოვიტანოთ ჩვენი შენიშვნა. ჩვენ ვწერთ: „ამ საკითხის ცალკე თავად გამოყოფა ზედმეტია. ავტორი მოჩვენებით ძიებას ეწევა. სახელწოდება „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული“ უკვე 1953 წელს იყო ნახმარი. ხოლო აკად. ი. დოლიძის ამ შრომის გამოვლამდე კრებულის ეს სახელწოდება სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა და არავის აზრად არ მოსვლია საამისოდ სპეციალური კვლევა ჩატარებინა“. სქოლიოში კი დასახელებული გვაქვს სხვისი თუ ჩვენი ის შრომები (გამოცემის ქრონოლოგიის დაცვით), რომლებშიც ეს სახელწოდება აკად. ი. დოლიძის შრომის გამოვლამდე სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალური კვლევის გარეშე იყო მიღებული.

ჩვენი შენიშვნის ციტირებული ადგილი, ფიქრობთ, არ იძლევა იმის უფლებას, რომ აკად. ი. დოლიძეს ეს დასკვნა გაეკეთებინა: „რეცენზენტი გვისაყვედურებს, რომ ასეთი კვლევა-ძიების ჩატარება საქირო არ იყო, რადგან კრებულის ეს სახელწოდება სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენი ნაშრომის შედეგად დამკვიდრდაო“ („საბჭ. სამართ.“ № 2, გვ. 66).

ჩვენ კვლავ საზგასმით აღვნიშნავთ, რომ არ იყო საქირო ამ საკითხის სპეციალური კვლევა და მისი ცალკე თავად გამოყოფა, მაგრამ რადგან აკად. ი. დოლიძემ ეს დასჭირდა ჩათვალა, ფიქრობთ, საკითხთან დაკავშირებული ისტორია „მოკრძალებული მსჯელობით“ მართო „გამოჩენილი მეცნიერის მოსაზრებას“<sup>23</sup> არ უნდა შეხებოდა. მას თავის კვლევაში უნდა დაესახელებოდა.

ბინა ის შრომები, რომლებშიც ამ კვლევის გარეშე ნახმარია ძეგლის ის სახელწოდება, რომელიც სპეციალური კვლევით აკად. ი. დოლიძემ მიიღო.

აკად. ი. დოლიძის განცხადება, რომ ეს კვლევა აუცილებელი იყო, რადგან: „დღესაც ბევრ სტატიასა და გამოკვლევაში ამ კრებულს „ვახტანგის კანონებალ“ ან „ვახტანგის კოდიკოლ“ იხსენიებენ“-ო, მის სასარგებლოდ არაფერს დალადებს. ეტყობა ასეთ მკვლევარებს ვერც აკად. ი. დოლიძის „გამოკვლევა“ უშველით.

აკად. ი. დოლიძეს მის მიერ შესრულებული გამოკვლევის — სამართლის წიგნის შესავლის შესახებ შევნიშნეთ<sup>24</sup>, რომ იგი ისეთ რამეს ხდის საკვლევად, რომელიც მისი წიგნის გამოსვლამდე გარკვეული და მიღებული იყო. და აგრეთვე, კვლევაში საკითხის შესწავლის ისტორია სისრულით არ არის წარმოდგენილი.

აკად. ი. დოლიძე თავისი პასუხის პირველ ნაწილში იმეორებს იმას, რაც გამოკვლევაში აქვს მოტანილი, ხოლო მეორე ნაწილში აღნიშნავს: „ახლა (ხაზი ჩვენია თ. ე.) ისიც უნდა ითქვას, რომ თ. ენუქიძეს მცდარი მოსაზრება აქვს კრებულის შესავლის ავტორის ვინაობის შესახებ. მისი აზრით, კრებულის შესავლის ავტორი მდივანმწიგნობარი გივი თუმანიშვილია... ნუთუ შეიძლება ამაზე სერიოზული მსჯელობა, რომ მდივანმწიგნობარი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის შესავლის ავტორად გამოვაცხადოთ (?)!...“ და ა. შ.

განვიხილოთ, რამდენად სწორია აკად. ი. დოლიძის მიერ საკითხის ასე დაყენება და რამდენად იცნობს იგი ამ საკითხზე არსებულ ლიტერატურას.

ჩვენს შრომაში ამ საკითხზე ცალკე თავი გვაქვს შეტანილი, სადაც მოგვყავს საკითხის შესახებ მეცნიერთა გამოთქმული მრავალი აზრი და მსჯელობა. ამიტომ აქ მოკლედ ვიტყვი: „სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლის წიგნთა კრებულის ამ „შესავალს“, პირველ რიგში შევსო დე. ბაქრაძე, რომელიც მის შესახებ შემდგომად წერს: „ეს წინასიტყვაობა ჩვენ ვახტანგის შემდგომ გაკეთებულ ჩანამატად მიგვაჩნია შემდეგი მიზეზების გამო: პირველი იმიტომ, რომ ავტორი წინასიტყვაობისა ლაპარაკობს ვახტანგზე მესამე პირით და თანაც ვახტანგი არ ილაპარაკებდა თავის თავზე ისეთი მაღალფარდოვანი სტილით, როგორც ამას ვხედავთ წინასიტყვაობაში...“<sup>25</sup> ეს აზრი სამართლიანად მიიჩნეის აკად. ივ. ჭავჭავაძის, პროფ.

<sup>23</sup> მაშინ აქ მოხალისე გამოცემელიც მოხვდებოდა.

<sup>24</sup> იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 1, გვ. 79.

<sup>25</sup> ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, გვ. 10—15, 30—32.



აღ. ვაჩიშვილმა. შესავლის შესახებ საინტერესო ვარაუდები აქვს გამოთქმული ს. გორგაძეს. იგი აღნიშნავს, რომ „შესავალი“ შეტანილია „ვახტანგ VI-ის თანამედროვის მიერ არა უგვიანეს 1789 წლისა“<sup>26</sup>. ამდენად, ჩვენს წინა მკვლევართაგან არავის არ გაუხდია სადავოდ, რომ სამართლის წიგნთა კრებულის შესავალი სხვისი დაწერილია და არა ვახტანგისა. მის შემდგენელად ჩვენ გვიჩინებთ თუმანიშვილი ჩავთვალეთ და ვფიქრობთ, საკმაოდ დასაბუთებულადაც<sup>27</sup>. ამის საწინააღმდეგო აზრი თავის დროზე არ გამოუთქვამთ ჩვენს ოფიციალურ ოპონენტებს — პროფესორებს კ. გრიგოლიას და ივ. სურგულაძეს, არაოფიციალურ ოპონენტებს ი. დოლიძეს და ჯ. ბაქრაძეს.

აქვე გვინდა მკითხველს გავაცნოთ აკად. ნ ბერძენიშვილის აზრი, რომელიც ეხება ჩვენი შრომის ამ ნაწილს: „მომხსენებელი უთუოდ სამართლიანად აღნიშნავს მდივან გვი თუმანიშვილის დეაქლს... მართლაც, შეუძლებელია მდივანის აქტიური ჩარევის გარეშე მომხდარიყო ეს საქმე, შითუმეტეს, რომ სამართლის წიგნი მდივანს ებარა. მომხსენებელი კარგად ახსუთებს, რომ S 3683 ხელნაწერი ვახტანგის ხელითაა ნახორები და მოაქვს ამის დამამტკიცებელი არგუმენტები ქუთაისის მუზეუმის № 201 ხელნაწერიდან. კარგად არკვევს გადამწერის, გარსევანიშვილის საკითხს. ავტორის ცდა, დამტკიცოს, რომ S 3683 ხელნაწერი ვახტანგ VI სამართლის უძველესი ნუსხაა, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, თუ იგი გამოიყენებდა შედარებით მეთოდს ე. ი. შეისწავლიდა ყველა ნუსხას და დაადგინდა მათ შორის არსებულ რედაქციულ სხვაობებს. ეს ხელს შეუწყობს სამართლის წიგნების დაჯგუფებას“<sup>28</sup>.

ეხლა კვლავ დავუბრუნდეთ საკითხს. შეიძლება აკად. ი. დოლიძეს მაშინ (როცა იგი ჩვენი დისერტაციის არაოფიციალური ოპონენტი იყო ან კიდევ მაშინ, როცა გამოქვეყნდა ქართული სამართლის ძეგლის I ტომი, რომელშიც ეს საკითხი კვლევის ცალკე თავად შევიდა) იგი და-

საბუთებულად ეჩვენებოდა და ამიტომ არაფერი თქვა, და ჩვენი რეცენზიის დაბეჭდვის შემდეგ გაუჩნდა ეს აზრი. მზადა ვართ მოვუსმინოთ მას, თუ ჩვენი მოსაზრების საწინააღმდეგოდ რაიმე დასაბუთებულ წინადადებას წამოაყენებს.

გვინდა მოვაგონოთ აკად. ი. დოლიძეს, რომ „შესავალი“, როგორც ეს დ. ბაქრაძემ აღნიშნა. დაწერილია მესამე პირით და ვახტანგს აქებს ისეთი მაღალფარდოვანი სტილით, რომ შეუძლებელია და არც არავის მოსვლია აზრად მისი ვახტანგის დაწერილად გამოცხადება.

დასანანია, რომ აკად. ი. დოლიძეს არა აქვს ნათელი წარმოდგენა სამეფო მდივანის განათლებაზე და უფლება-მოვალეობაზე. ამ წერილში არ არის აღვლილი ამის ვრცლად განმარტებისათვის.

ჩვენი შენიშვნა იმის შესახებ, რომ მოსეს სამართლის ქართული ვერსიის ტექსტის დადგენისას მან არ გამოიყენა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ის ნუსხა, რომელიც ამ ტექსტზე ვახტანგისა და მისი საკოლფიკაციო კომისიის დაბოროტორიული მუშაობის ნათელ სურათს იძლევა, აკად. ი. დოლიძემ (რომელსაც ტექსტის დადგენისა და ჭეროვნად გამოცემის პრეტენზიები აქვს) ფაქტიურად უუურადღებოდ დატოვა და სინანულიც კი არ გამოთქვა ამ საქირო ხელნაწერის გამოუყენებლობის გამო. იგი სხვა მხრივ მრავალსიტყვიანობს და მოჩვენებითი მსჯელობით პასუხის შთაბეჭდილებას ქმნის. რეცენზიის პასუხში მას მოჰყავს მთელი ის მსჯელობა<sup>29</sup>, რომლის გამოც ჩვენი შენიშვნა მიიღო. ხოლო მეორე საკითხის შესახებ ჩვენს აზრს („მოსეს სამართალში „გამოსლვათს“ და „მეორე სჭულთას“ საერთო მუხლებიც არის გამოყენებული“<sup>30</sup>) „ლიტონ“ განცხადებას უწოდებს. იგი აქაც ჩქარობს. ჩვენი წერილი ამ საკითხზე მალე დაიბეჭდება.

ჩვენს შენიშვნას, რომ III ტომში შესული 34 საბუთი ი. დოლიძის მიერ დათარიღებულია „იმ კათალიკოსთა ზეობის წლებით, რომელთა მეცნიერულად დადგენილი თარიღები მხოლოდ ბ. ლომინაძის შრომებში შეეძლო ენახა, მაგრამ არცერთი საბუთის დათარიღებისა იგი არ იხ-

<sup>26</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 13-15, 30-31.

<sup>28</sup> ამონაწერი გაეთქვამა აკად. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების 1951 წლის 21 ივნისის სხდომის № 7 ოქმიდან. სხდომას თავმჯდომარეობდა განყოფილების მაშინდელი გამგე, იმ დროს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი კ. გრიგოლია, ხოლო მდივანობდა იმ დროს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ე. მეტრეველი.

<sup>29</sup> ქსდ, I, გვ. 572.

<sup>30</sup> იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 1, 1975, გვ. 80.



სენიებს ავტორს<sup>31</sup>, პატივცემული ოპონენტი შემდეგნაირად პასუხობს: „ვსარგებლობდით (ხაზი ჩვენია თ. ე.) საეკლესიო კალენდარის სრული ნუსხით, რომელიც თავის დროზე აკად. კ. კეკელიძემ შეადგინა, ბ. ლომინაძის ნუსხით... და კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგის საკუთარი ნუსხით“<sup>32</sup> „ვსარგებლობდით“ იმის დამადასტურებელია, რომ ი. დოლიძემ მიიღო ჩვენი შენიშვნა. აქ მთავარი ის არის, რომ რადგან სარგებლობდა ბ. ლომინაძის ნუსხით, უნდა მიეთითებინა კიდეც ეს. ამას მოითხოვს ელემენტარული ეთიკა. განვავრძობ ამ ციტატის გარჩევას. სამეცნიერო ლიტერატურაში არსად საეკლესიო კალენდარში ჩართული კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგის დამდგენად აკად. კ. კეკელიძე არ არის დასახელებული. ამავე დროს ეს რიგი ერთვის საეკლესიო კალენდარის 1946 წლის შემდგომ გამოცემულ ცალკეს. საეკლესიო კალენდარის ყველა, დღემდე გამოცემულ ცალკეს, კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგის დასაწყისთან ერთვის შენიშვნა: „სია არაა დაზუსტებული, ამიტომ საბუთიერ შესწორებას გამოქვეყნდება მადლობით მიიღებს“. ეს შენიშვნა მოწმობს, რომ საეკლესიო კალენდარზე დართულ ქრონოლოგიურ რიგს სისრულისა და დასაბუთებულობის პრეტენზია არა აქვს. ასეთი შენიშვნადართული შრომის გამოყენება სამეცნიერო კვლევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კათალიკოსთა ზეობის წლების მეცნიერულად დასაბუთებული თარიღები აგერ, ჩვენს გვერდით მომუშავე მკვლევარს აქვს გამოქვეყნებული, რბილად რომ ითქვას — უზერ-ხულია.

აკად. ი. დოლიძე აღნიშნავს: „ვსარგებლობდით“ და იქვე ორიოდ წინადადების შემდეგ წერს: „არსაჭიროებს იმის აღნიშვნას, თუ ვინ, სად და როდის დააწესა ეს ქრონოლოგია (ხაზი ჩვენია. თ. ე.). მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში (იკულისხმება სხვა მეცნიერების პუბლიკაციები თ. ე.) ჩვენ ვერ შევხვდით ასეთ დამოწმებას“<sup>33</sup>.

აკად. ი. დოლიძე რომ აქაც სწორი არ არის, საზარისა მოვიტანოთ „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომში 137 ნომრით გამოქვეყნებული დოკუმენტი Ad 1836. ეს საბუთი გამოკვლევით ადრე დაბეჭდილი ჰქონდა დ. მეგრელაძეს<sup>34</sup>, რომელსაც საბუთის თარიღად აღებული აქვს დომენტი კათალიკოსის ზეობის

წლები 1660-1676 წწ. და იქვე უთითებს ბ. ლომინაძის ნაშრომს. მრავალი მეცნიერი უთითებს თავიანთ შრომებში ბ. ლომინაძის ამ ნაშრომს. ჩვენს ისტორიოგრაფიაში ეს წესი დაკანონებულია, ამიტომ აკად. ი. დოლიძის კამათი იმაზე, რომ: „საჭიროდ არ სთვლიდა ამ მითითებას“ — ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

იმის ნათელსაყოფად, რომ ი. დოლიძე მხოლოდ ბ. ლომინაძის შრომით სარგებლობდა, მოვიტანოთ ჩვენს მიერ შედგენილ ცხრილს, რომელშიც ერთმანეთის პარალელურადაა ნაჩვენები კათალიკოსთა ზეობის თარიღები საეკლესიო კალენდარის მიხედვით და ბ. ლომინაძის მიერ დადგენილი კათალიკოსთა ზეობის თარიღები, რომლებიც უცვლელად აქვს გამოყენებული აკად. ი. დოლიძეს.\*

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია, საეკლესიო კალენდრით ი. დოლიძეს არ უსარგებლია და სავსებით სამართლიანად დაყრდნობია ბ. ლომინაძის შედგენილ ნუსხას. თანაც, ვიმეორებთ, რომ ერთი სიტყვითაც არ უავს მოხსენიებული ის მეცნიერი, რომელმაც ასეთი დიდი სამსახური გაუწია.

აქ მოტანილი ცხრილიდან სპეციალურად შევჩერდებით № 170-ისა და 174 საბუთების დოლიძისეულ დათარიღებაზე. № 170 საბუთი მას დათარიღებული აქვს ნიკოლოზ კათალიკოსის ზეობის წლებით 1678-1696 წწ. სამეცნიერო ლიტერატურაში ნიკოლოზის კათალიკოსობის ზეობა ორ პერიოდად არის წარმოდგენილი (იხ. აქვე, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნუსხა 170 საბუთთან).

- საეკლესიო კალენდრით: I პერიოდი 1676-1687,
- II პერიოდი 1691-1696.
- ბ. ლომინაძის მიხედვით I პერიოდი 1678-1688,
- II პერიოდი 1691-1696.

აკად. ი. დოლიძემ № 170 საბუთის დათარიღებისას მექანიკურად შეაერთა ნიკოლოზის კათალიკოსობის ბ. ლომინაძის დათარიღებიდან I პერიოდის დასასრული (1678 წ.) და II პერიოდის დასასრული (1696 წ.) და შიილი ნიკოლოზ კათალიკოსის ზეობის წლებად 1678-1696 წწ. ამ შეცდომით მან მომდევნო კათალიკოსს — იოანე დიასამიძეს კათალიკოსობის I პერიოდის ზეობის წლები (1688-1691 წწ.) დაუკარგა. ზუსტად ასევე, წლების მექანიკური შეერთებით დათარიღდა № 174 საბუთი და

<sup>32</sup> „საბჭოთა სამართალი“, 1975, № 2, გვ. 64.  
<sup>31</sup> იქვე, გვ. 83.  
<sup>33</sup> იქვე, გვ. 64.  
<sup>34</sup> აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII—B, 1953, გვ. 211.  
 \* ცხრილი იხ. 72 გვერდზე.





ქსძ. III, საბუთების რიგითი №	კ ა თ ი ლ ი კ ო ს ი	კათალიკოსთა ზეობის წლები საეკლესიო კალენდრის მიხედვით	კათალიკოსთა ზეობის წლები ბ. ლომინაძის შრომის მიხედვით	აკად. ი. დოლიძის მიერ საბუთის დათარიღება კათალიკოსთა ზეობით
27	თეოდორე კათალიკოსი	1430—1435	1427—1435/38	1427—1435
102	ზაქარია კათალიკოსი (გორჯაძე)	1613—1630	1623—1630	1623—1630
109	მალაქია გურიელი	1605—1639	1616—1639	1616—1639
122	ქრისტეფორე კათალიკოსი	1643—1660	16 8—1660	1638—1660
124	ზაქარია კათალიკოსი (ჭვარიანი)	1657—1659	1657—1660	1657—1660
125	"	1657—1659	1657—1660	1657—1660
126	"	1657—1659	1657—1660	1657—1660
127	"	1657—1659	1657—1660	1657—1660
137	დომენტი კათალიკოსი (ქაიხოსროს ძე მუსხრანბატონი)	1660—1675	1660—1676	1660—1676
163	დავით კათალიკოსი (ნემსაძე)	1667—1682, 1682—1697	1673 1-96	1673—1696
164	"	"	1673—1696	1673—1696
165	"	"	1673—1696	1673—1696
167	"	"	1673—1696	1673—1696
170	ნიკოლოზ კათალიკოსი (ამილახვრის შვილი) <sup>35</sup>	1676—1687, 1691—1696	1678—1688, 1691—1696	1678—1696
174	იოანე კათალიკოსი (დიასამიძე)	1687—1691, 1696—1700	1688—1691, 1696—1700	1688—1700
252	დომენტი კათალიკოსი (ლევან ბატონიშვილის ძე)	1704—1729, 1735—1742	1705—1741	1705—1741
253	"	"	1705—1741	1705—1741
261	გრიგოლ კათალიკოსი (ლორთქიფანიძე)	1706—1742	1696—1742	1696—1742
262	"	1706—1742	1696—1742	1696—1742
263	"	1706—1742	1696—1742	1696—1742
264	"	1706—1742	1696—1742	1696—1742
265	"	1706—1742	1696—1742	1696—1742
271	ნიკოლოზ კათალიკოსი (ხერხეულიძე)	1742—1744	1741—1744	1741—1744
287	მესარიონ კათალიკოსი (რაჭის ერისთავის შოშიტას ძე)	1755—1766	1742—1769	1742—1769
314	"	1755—1766	1742—1769	1742—1769
337	"	1755—1766	1742—1769	1742—1769
340	"	1755—1766	1742—1769	1742—1769
341	"	1755—1766	1742—1769	1742—1769
342	"	1755—1766	1742—1769	1742—1769
343	"	1755—1766	1742—1769	1742—1769

იოანე დიასამიძის კათალიკოსობის ზეობად შეცდომით 1688-1700 წლები მიიღო.

ოთხი საბუთი (და არა სამი, როგორც აკად. ი. დოლიძე აღნიშნავს თ. ე.) №№ 254-257 მას დათარიღებული აქვს „კათალიკოს დომენტის ექსორიობიდან დაბრუნების შემდეგ“<sup>36</sup>.

იხვევ, როგორც კათალიკოსთა ზეობის, დომენტი კათალიკოსის ექსორიობიდან დაბრუნების წლებიც მას აღებული აქვს ბ. ლომინაძის ნაშრომიდან<sup>37</sup>.

ქსძ-ის III ტომის № 287 საბუთის დათარიღებასთან დაკავშირებით აკად. ი. დოლიძეს მოაქვს ამ საბუთის არქეოგრაფიული აღწერილობიდან ციტირება, სადაც აღნიშნულია, რომ საბუთის ათარიღებს „მესარიონის ზეობის პირველსა და ალექსანდრე მეფის უკანასკნელ წელს შორის“ 1742-1752 წლებით. საბუთის ტექსტთან კი მითითებული აქვს 1742-1769 წლები. მას აქვს ბ. ლომინაძის შრომა აქვს გამოყენებული.

იქვე, № 102 საბუთის აღწერილობაში ნათქ-

<sup>35</sup> საეკლესიო კალენდარში: ნიკოლოზ VII დიასამიძე.

<sup>36</sup> ქსძ, III, გვ. 1186-87.

<sup>37</sup> ბ. ლომინაძე. მასალები საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტ. ნაევეთი № 29, 1951.



ვამია, რომ: „საბუთი უთარიღოა“. საბუთის ტექსტთან კი მითითებული აქვს (1623-1630 წწ), ზაქარია ჯორჯაძის კათალიკოსობის ზეობის სწორედ ის თარიღი, რომელიც დასაბუთებულად მხოლოდ ბ. ლომინაძის შრომაშია მოცემული.

ქართული სამართლის ძეგლების III ტომში უთარიღო საბუთი № 122 აკად. ი. დოლიძეს დათარიღებულად აქვს ქრისტეფორე კათალიკოსის (1638-1660) და ელისე თბილელის (1628-1659) ზეობის წლების მიხედვით, ხოლო № 151-ნიკოლოზ ალავერდელისა (1635-1694) და იოსებ თბილელის (1661-1688) ზეობის წლებით. ქრისტეფორე კათალიკოსის ზეობის წლები, როგორც ზემოთ დავინახეთ, აღებულია ბ. ლომინაძის შრომიდან. რაც შეეხება ელისე და იოსებ თბილელების და ნიკოლოზ ალავერდელის ზეობის მის მიერ აღნიშნულ წლებს, მასზე არავითარი მინიშნება არ არის. საინტერესოა, საიდან მოიტანა გამომცემელმა ეს თარიღები?

სამეცნიერო ლიტერატურაში ზემოთ დასახელებულ ეპისკოპოსთა ზეობის იგივე წლები მეცნიერულად, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობითა და ჩვენებით დასაბუთებული აქვს აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს გ. ჯანდიერს<sup>38</sup>.

გ. ჯანდიერი ამ საკითხზე საინსტიტუტო გეგმით მუშაობდა. ამაზე მიუთითებს ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის წიგნის წინასიტყვაობა, რომელშიც ნათქვამია: „1962 წლიდან საქართველოს ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენაზე მუშაობს გ. ჯანდიერი“<sup>39</sup>. (ფიქრობთ, ეს ნაშრომი აკად. ი. დოლიძისათვის ცნობილია).

აკად. ი. დოლიძე ბრალად გვდებს, თითქმის ჩვენ „მივისაკუთრეთ“ ექ. თაყაიშვილის ის აზრი, რომ S 3683 ხელნაწერი უძველესია და იგი ვახტანგის ხელშია გავლილი.\* ამის დასაბუთებისათვის ამოგულეჯილი აქვს ციტატის ნაწყვეტი ჩვენი შრომიდან. ვიღრე ამ ბრალდებას გავაბათილებდეთ, მკითხველებს უნდა შევახსენოთ, რომ ჩვენი გამოკვლევის დაწერამდე ვახტანგის სამართლის ასამდე ხელნაწერი შევაჯერეთ და შევადარეთ ერთმანეთს. ამის შედეგად

გამოკვლევის პირველი ქვეთავი და საერთოდ, წიგნის დასაწყისი დასათაურდა: „ვახტანგის სამართლის წიგნის უძველესი ხელნაწერი და მკვლევართა აზრი მის შესახებ“. აქ ჩვენ ვწერთ: ვახტანგის სამართლის წიგნი „ხელნაწერების სახით მრავლად არის მოღწეული ჩვენამდე. ვახტანგის სამართლის ეს ხელნაწერი ნუსხები რედაქციულად ნშირად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ნუსხების ამ სიმრავლესთან დაკავშირებით დიდი ხანია დაიწვა ვახტანგის სამართლის უძველესი და ყველაზე სანდო, ან ვახტანგის ხელში გავლილი ხელნაწერის მოძებნისა და შედამწვევით შესწავლის საკითხი. ასეთ სანდო ხელნაწერად ჩვენ მივიჩინეთ... S 3683 ხელნაწერი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელნაწერი უთარიღოა, სამეცნიერო ლიტერატურაში, ის დიდი ხანია ცნობილია, როგორც ერთი უძველესი ნუსხათაგანი.

პირველი მკვლევარი, რომელიც ამ ხელნაწერზე შეჩერდა, არის აკად. ექვთიმე თაყაიშვილი. მის შესახებ იგი წერს: „...გადაწერი და დრო გადაწერისა არაა ნაჩვენები, მაგრამ უეჭველია ხელნაწერი XVIII საუკუნის პირველი მეოთხედისა...“ ჩვენი კანონების კრებული შესაძლოა ვახტანგის ხელში ნაყოფი იყოს. ზოგიერთი მუხლი აქ დაბოლოებული არ არის და მისთვის საგანგებოდ დატოვებულია ადგილი (მაგ. მუხლი 185 და 195), ხოლო ზოგიერთი მუხლის დაბოლოება მიწერილია ივითონ ვახტანგის ხელით (მაგ.: 207, 262, 263 და 270), ვახტანგის მინაწერები გვხვდება საძიებლის ზოგიერთ სხვა ადგილებშიც“. ეს აზრი გაიზიარა პროფ. მელიქსეთ-ბეგმა“ (მოგვეყვას მისი აზრი სრულად), და განვადრძობთ: „ზემოთ დასახელებულ მკვლევრებს ამ ხელნაწერის შესახებ საინტერესო ვარაუდები აქვთ მოთქმული, მაგრამ ეს მოსაზრებანი არასაკმაო საბუთიანობის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში არ იყო გაზიარებული, კერძოდ აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ...“ (აქვე ვრცლად მოგვეყვას აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრი ამის თაობაზე); შემდეგ ვადავლივართ უკვე გამოუქვეყნებელი და ხელნაწერის სახით შემორჩენილ ლიტერატურაზე და მოგვეყვას ამ საკითხზე ს. გორგაძის აზრი (საკმაოდ ვრცლად). ყოველივე ამის შემდეგ,

<sup>38</sup> გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის, „მრავალთავი“ ფილოლოგიური ისტორიული ძიებანი I, 1971, გვ. 335-338. ეს სტატია მისი საკვალიფიკაციოდ გამიზნული შრომის ერთი ნაწილია.

<sup>39</sup> მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის. I წიგნი, 1964, გვ. 7.

\* ლოგიკის კანონია, რომ დავის საგანი არ უნდა შეიცვალოს. ამ შემთხვევაში ქსძ-ის განხილვა და არა ჩემი შრომების, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით გავარკვიოთ აკად. ი. დოლიძე მის მიერ დასმულ საკითხებში.



ჩვენი კვლევის ქვეთავს ასე ვამთავრებთ: „ჩვენ შევისწავლეთ ვახტანგის სამართლის წიგნის როგორც ეს ხელნაწერი, ისე სხვა ნუსხებიც, რის შედეგადაც იმ დასკვნამდე მივედით, რომ პროფ. ექ. თაყაიშვილის ვარაუდი ამ ხელნაწერის სიძველისა და მისი ვახტანგის ხელში ნამყოფობის შესახებ ჭეშმარიტებასთან ახლო-ბაა“<sup>40</sup>.

ფიქრობთ, ეს ციტატები ამტკიცებს, რომ აკად. ი. დოლიძის ბრალდება ჩვენს მიმართ უსამართლოა. აქ ისმის ერთი კოლეჯი — აკად. ი. დოლიძეს თანამედროვე შრომების წაკითხვა და გაგებაც ხომ არ უჭირს? და კიდევ, ასე ფიქრობდა აკად. ი. დოლიძე მაშინაც (1948-1952 წწ.), როცა თავის შრომას (ძველი ქართული სამართალი) წერდა? თუ ასე იყო, მაშინ რატომღა აღნიშნავდა: „თ. ენუქიძემ საფუძველი ანადგანინა ვახტანგის კანონთა კრებულის S 3683 ხელნაწერი და დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე ნათელყო, რომ აღნიშნული ნუსხა ვახტანგის დროინდელია და სამართლის მთელი რიგი მუხლები და აგრეთვე მინაწერები თვით ვახტანგის ხელით არის ჩაწერილი“<sup>41</sup> (ხაზი ყველგან ჩვენია თ. ე.).

აკად. ი. დოლიძეს იმის ნიშნად, რომ ჩვენ ვერ ვერკვევთ იურიდიულ ტექსტებში და სწორად ვერ ვასათურებთ დოკუმენტს, მოჰყავს ჩვენს მიერ 1982 წელს გამოქვეყნებული ქაიხოსრო ჯავახიშვილისა და დიდ მოურავ გიორგი სააკაძის შორის დავის გარდაწვეტილების წიგნი.

საერთოდ, ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში საბუთის სახელწოდება ანუ რაობა მოცემულია საბუთის დასაწყის ნაწილში. ასე მაგ. „ესე წყალობის წიგნი მოგვეცით“, „ესე სითარხნის წიგნი“, „ესე ნასყიდობის წიგნი“, „ესე ბრძანება“ და სხვა და სხვა.

მიღებულია, რომ ტექსტში მოცემული ეს სახელწოდება არ უნდა დაიკარგოს და სათაურად სწორედ იგი უნდა იყოს გატანილი.

როცა ხსენებული საბუთის სახელწოდებად გაგვეჩინა „გადაწვეტილების წიგნი“, ვემყარებოლით შემდეგს:

1. საბუთის ტექსტის დასაწყის ნაწილს, სადაც იკითხება: „დავსხედით ბრჭე(ნი) და მოსამართლენი, ღმრთისა შიშსა ქუეშე — დივანბეგი პატ-


რონი ბეჟან... კარის მდივანი თუმანისშვილი ნასრი, ბატონის მოურავისა და ჯავახიშვილი ქაიხოსროსა საქმის გარდასაწყუეტილად“<sup>42</sup>.

2. აკად. ივ. ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს აზრი, რომ „სასამართლოს განაჩენის შემცველ საბუთს „გარდაწყუეტილობის წიგნი“ ჰქვამევია...“ იქვე ნათქვამია: „სასამართლოს გადაწყვეტილებას „განაჩენი“ ეწოდებოდა“<sup>43</sup>.

მ. ჭართული სამართლის ისტორიის მკვლევარს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ივ. სურგულაძეს გამოკვლევის იმ თავში, სადაც ვახტანგის აქვს წყაროები, 36 ქვეთავად გატანილი აქვს „სასამართლოს გადაწყვეტილება დიდი მოურავისა და ჯავახიშვილის დავის გამო (1620 წ.)“<sup>44</sup>.

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ჩვენ ყოველით, რომ არავითარი შეცდომა არა გვაქვს დაშვებული.

აკად. ი. დოლიძის შემდეგი ბრალდებაა, რომ ჩვენ სწორად ვერ წავაკითხეთ ავთანდილ მდივანბეგის ბეჭდის ლეგენდა, რის გამოც სტატიაში მცდარი მსჯელობა გვაქვს. აკად. ი. დოლიძე აქაც ცდება. მის მიერ მითითებულ საბუთზე (Hd 9686) დასმული ავთანდილ მდივანბეგის ბეჭდის ლეგენდა ზუსტად ისე იკითხება, როგორც ჩვენს სტატიაში გვაქვს მოტანილი: „მ(ო)ნა ღ(მ)რთისა ყმა გ(იორ)გისა მდივან(ბე)გი ავთ(ან)დილ“. ამის დასადასტურებლად აქვე ვაკვეყნებთ ამ ბეჭდის ფოტოპირს.



მკითხველი აღვიღად დარწმუნდება, რომ აკად. ი. დოლიძის ვრცელი კამათი ამ საკითხზე უსაფუძვლოა.

<sup>40</sup> ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. თ. ენუქიძის გამოცემა, 1955, გვ. 4—5.  
<sup>41</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1954, გვ. 75.  
<sup>42</sup> ხ. ი. Hd 6259.  
<sup>43</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, 1926, გვ. 43-44.  
<sup>44</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 79.



აკად. ი. დოლიძე გვაბრალდებს, რომ მის „გამოცემაში“ ზოგან დაშვებულ კორექტურულ შეცდომას უპრიტიკოდ ვიმეორებთ. ამის ნიმუშად მას თავის პასუხში მოაქვს ჩვენს მიერ ნახმარი ბიბლიის „გამოსვლათა“ წიგნი.

აკად. ი. დოლიძე აქაც აჩქარდა, მას არ ახსოვს, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში ყველგან ნახმარია „გამოსვლათა“ (ასე აქვს აკად. ი. დოლიძესაც ქს I ტომში).




ჩვენს რეცენზიაში ბიბლიის წიგნის ამ სახელწოდებას ყველგან ვხმარობთ ციტატებში და, რასაკვირველია, ბრჭყალებით<sup>45</sup>. ამიტომ ჩვენ უფლება არ გვქონდა შეგვეცვალა არც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ტექსტიდან და არც აკად. ი. დოლიძის გამოცემიდან მოტანილი ციტატა.

ჩვენ იქვე მოგვაქვს სიტყვის ძველი გამოთქმაც („გამოსვლათა“). ეს ასეა ნახმარი ქრ. შარაშიძის შრომაში, საიდანაც ციტირებულია ეს ტექსტი.

რაც შეეხება ჩვენს მიერ საძიებელში გატანილ სიტყვას — „ერთი ბარი“-ს მაშინ მისი მნიშვნელობა არ გვეხმოდა. სწორედ იმიტომ, რომ ტერმინი არ დაკარგულიყო, საძიებელში იგი გავიტანეთ კონტექსტით ბრჭყალებში. ასეთი რამ ტექსტების გამოცემისას ხდება. როცა აკად. ი. დოლიძე ამ „წარმოულ გენელ გაუგებრობას“ ხსნის, კარგი იქნებოდა დაგვიანებით მაინც<sup>46</sup> დაესახელებინა ის ავტორი და შრომა, საიდანაც ამ სიტყვის განმარტება მოიტანა.<sup>47</sup> ეს ნაშრომი მაშინაც უნდა დაესახელებინა, როცა ქართული სამართლის ძეგლებს I ტ. გამოსცა (1963 წ.).

სწორი არ არის აკად. ი. დოლიძის პასუხი ჩვენ შენიშვნაზე, რომელიც „მცნებაჲ სასჯულოა“-ს შეეხება. არცერთი შენიშვნა ჩვენ არ მიგვიცია ისეთი ადგილის წაკითხვებიდან, სადაც ტექსტი ოღნავ დაზიანებულია. ასევე სწორი არ არის ი. დოლიძე, როცა აცხადებს, თითქოს „მუხლებად დაყოფის არავითარი ნიშანი ტექსტში არ არის“. იძულებული ვართ ი. დოლიძეს ეს ფოტოთი დავუმტკიცოთ.

კვლავ ვიმეორებთ: „მცნებაჲ სასჯულოა“-ს ტექსტი ნუსხურად არის დაწერილი. იმ ადგილებში, სადაც შემდეგნეწი მუხლებს თუ აბჯანებს გულისხმობს, იგი ხმარობს მთავრულ (მრგლოვან) ასოებს, ან სამ წერტილს. აქ მოტანილი ფოტო ი. დოლიძის მიერ გამოცემული „მცნებაჲ სასჯულოა“-ს ტექსტის № 32, 33, 34 მუხლების დასაწყისია (იხ. ფოტოები), რომლებიც ნათლად ასახავენ ჩვენი აზრის სიმართლეს. ამის შემდეგ გასაგებია, თუ რა შრომა აქვს ჩატარებული ი. დოლიძეს ტექსტის „დამუხვლასთან“ დაკავშირებით.



ფოტო 2, 3, 4

\* \* \*

ესლა კი, კვლავ შევიჩადეთ „ქართული სამართლის ძეგლების“ II-V ტომებში შესულ მასალათა ბუბლიკაციებზე. აკად. ი. დოლიძე ნათლად და გარკვევით არ ხსნის, თუ რომელ დოკუმენტებს თვლის სამართლის ძეგლად. ყველა საბუთს იურიდიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ განა ყველა საბუთი, მათ შორის იურიდიულიც, სამართლის ძეგლია? II ტომის თავფურცელზე ვკითხულობთ „საერო საქანონმდებლო ძეგლები“, ხოლო III ტომის თავფურცელზე „საეკ-

<sup>45</sup> „საბჭოთა სამართალი“, 1975, № 1, გვ. 79—80.  
<sup>46</sup> „დაგვიანებით მაინც“, რადგან მ. ბერძნიშვილის შრომა ქს-ზე აღრე გამოვიდა.  
<sup>47</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი I, II, III წიგნების. ლექსიკონი და საძიებლები, შედგინა მამისა ბერძნიშვილმა, 1957 წ.





დესიო საკანონმდებლო ძეგლები“. საკანონმდებლო ძეგლი კანონი არის: „საკანონმდებლო ხელისუფლებას მიერ დადგენილი საყოველთაოდ სავალდებულო ნორმა (წესი), რომელიც ეხება სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს“<sup>48</sup>.

ფეოდალურ სახელმწიფოში საერო-საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის მეფეს, ხოლო საეკლესიო, სასულიერო საკანონმდებლობა — კათალიკოსს.

განა ამ ტიპის მასალებია შესული II-III ტომებში? სადაური საკანონმდებლო ძეგლია „ძეგლი ერისთავთა“, ან „ნახყიდობა დაწერილი ფავნელისა შიომღვიმისადმი“, ან „თეიმურაზ მეფის მიერ ნეკრესელისათვის ბისონის წყალობის წიგნი“, ან „ერთგულების პირობის წიგნი მამია გურიელისა სოლომონ პირველისადმი“, ან „თხოვნა გიორგი მეფისა იმპერატორ პავლე I-სადმი ქართლ-კახეთის მეფედ მისი დამტკიცების შესახებ“, ან კიდევ „მუხლნი სათხოვარნი სოლომონ II-ისა აღექსანდრე I-სადმი იმერეთის სამეფოზე მისი უფლებების დამტკიცების შესახებ“, ან „ვედრების წიგნი-

ბი“, „ალაბის წიგნი ნიკოლოზ მაღალაძისა“, „იმედის წიგნები“, „ფიცის წიგნები“, ან „ბრძანება ანტონ II-სა დავით მაგლობლიშვილისადმი ფაცერის ჩადგმის შესახებ“, ან „უღაობის წიგნი დოსითეოს ქუთათელისა პაატელა მესხისადმი“, ან კიდევ ნუსხა „უოვლად სამღვდელთა მღვდელთ-მთავარნი ქართლისა და კახეთისანი“ და სხვა ასეთი ასეულობით შეტანილი საბუთები.

აკად. ი. დოლიძისათვის „საკანონმდებლო ძეგლები“ ფარდაა, რომლის იქით იცემა ქართული ისტორიული დოკუმენტების ყველა სახე, რაობა. იგი ჩქარობს, საოცრად ჩქარობს... ამით აიხსნება, რომ ერთგან ტექსტთა ვერ ამოიკითხა, მეორე ადგილას შინაარსის გაგებაში უხეში შეცდომა მოუვიდა, იქ პუბლიკაციები არ მიუთითა, აქ სხვების შრომები გამოიყენა და არ აღნიშნა; ზოგან საძიებლები არ გააკეთა, ხოლო სადაც დაურთო, შეცდომებით. მაგალითისათვის ერთხელ კიდევ მოვიტანთ საბუთების ტექსტების ამოკითხვისა და შინაარსის არასწორი გაგების რამდენიმე ნიმუშს:

საბუთშია:

„საყდრისა სასამხაზურო-სამამულოდ სარჩოში გაგუეჩინა“.

„ქ. ჩუენ, დავით მეფესა დაგ[უ]ინიშნავს“.

„ჩვენ.. დამინიშნავს“ ტექსტის ვერაფერი „კეროვანი“ გამართვა.

„სოფელი ორომაშენი მისთუის სამამულოდ და საყდრისა სასამხაზუროდ უბოძებია“.

ს. კაკაბაძისა და ი. დოლიძის გამოცემებშია:<sup>49</sup>

„საყდრისა სასამხაზურო[დ] სამამულოდ და სარჩოში გაგუეჩინა“.

„საყდრისა სასამხაზურო სამამულოდ და სარჩოში გაგუეჩინა“ (ს. კაკაბაძის წაკითხვა).

„ქ. ჩვენ, დავით მეფესა, დამინიშნავს“.

„სოფელი ორომაშენი მისთუის სამამულოდ და საყდრისა სასამხაზუროდ უბოძებია“.

საბუთშია:

„აწყურისა საყდრისა შვილთა დემნაისა დეკანოზისა ჯელითა დაგუინიშნავს...“

აკაც ს. კაკაბაძის შეცდომის განმეორება. სრულიად გარკვეული ხელით ნაწერ საბუთში ნახმარი ტერმინი „ძისწული“ აკად. ი. დოლიძის მიერ შეცვლილია „ძისწული“-თ.<sup>51</sup>

აკად. ი. დოლიძისაგან მეცნიერება ელის იუ-

ს. კაკაბაძის და ი. დოლიძის წაკითხვა:

„აწყურისა საყდრისა შვილთა დემნაისა და ნიკოლოზისა ჯელითა დაგუინიშნავს...“<sup>50</sup>

რიდიული ტერმინების სწორ წაკითხვას, კონტექსტში მათ დადგენასა და გაგებას. მაგრამ ამ საზით დაშვებული მისი შეცდომა — გეოგრაფიული სახელის „ფურტილს და ფიცეს“ გადაკეთება იურიდიული ტერმინად, რომელიც შემ-

48 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, 1955 წ. პროფ. არნ. ჩიქობავას და უფრ. მეცნ. თანამშრ. მ. ჭაბაშვილის რედაქციით,

49 საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 3-5; ქსდ, ტ. III, № 12.

50 საისტორიო მოამბე I, 1945, გვ. 5-6; ქსდ, III, № 19.

51 „იქვე, № 63



დგე საპატიო ადგილს იჭერს ტერმინთა საძიებელში („დადიცება“), აკად. ი. დოლიძის გამოთქმა რომ ვინმართ, „წარმოუდგენელი გაუგებრობა“.

ახვევ, საბუთში შემწირველი აცხადებს, რომ ვინც შესცვალოს მათი შეწირულება „მას ზედამცა აძევს პატივი“ (სასჯელი), აკად. ი. დოლიძე კი იმეორებს ამ საბუთის წინა გამოცემების (ორჯერ არის გამოცემული) თ. ჟორდანიასეულ წაითხვას:

„მან გად-მცა-იდვას პატივი“. ჩვენ ამ ორ საბუთზე საპეციალურად იმიტომ ვჩერდებით, რომ ამ იურიდიული ტერმინებისათვის აკად. ი. დოლიძეს მეტი ყურადღება უნდა მიექცია.

კვლავ ვიმეორებთ: რეცენზიებში აკად. ი. დოლიძის პუბლიკაციებში დაშვებული შეცდომების აღნუსხვა და გადმოცემა შეუძლებელია. ჩვენ აღარ ვავიშვებთ აკად. შანიძის წერილში განხილულ აკად. ი. დოლიძის შეცდომას.<sup>52</sup>

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ IV და V ტომებში შესულ მასალებზე, ამ მასალების ტექნიკურად გამართვის პრინციპებზე და სხვ.

IV და V ტომებში არქეოგრაფიული აღწერილობა ტომებს ბოლოს აღარ ერთვის, იგი ი. დოლიძეს საბუთის ტექსტის წინ გადმოაქვს. აღარ უთითებს გამოცემებს და წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „მითითებულია პუბლიკაციები მხოლოდ იმ საბუთებისა, რომელთა დედნები ან პირები დაკარგულად ითვლება“.<sup>53</sup> რატომ შეს-

ცვალა ქსდ-ის II და III ტომში მიღებული (და საერთოდ დადგენილი) წესი წინა გამოცემების დასახელების შესახებ? ეს მკითხველს შეიძლება უბრალო საკითხად მოეჩვენოს.

აკად. ი. დოლიძე მის მიერ „აღიარებულ პრინციპებს“ შემთხვევით როდი ცვლის. ამას წინასწარგამიზნულად აკეთებს, რათა დაფაროს ხსენებულ ტომებში შესულ ზოგიერთ მასალაზე (ე. თაყაიშვილის, თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძის მიერ ძველ ნაბეჭდ გამოცემებზე) ჩვენი მუშაობის კვალი.

ქვემოთ, სქოლიოში მოტანილ საბუთებს ე. თაყაიშვილის, თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძის პუბლიკაციებში შიფრი და დაცულობის ნომერი, ცხადაა, არ გააჩნია. ისინი აკად. ი. დოლიძემ გადმოაბეჭდვინა დასახელებული გამოცემებიდან, ჩვენ კი მათ დაფუძნებულ დედნები, ხოლო შემდეგ აკად. ი. დოლიძესთან ერთად შევადარეთ (ეს არ ეხება ნ. ბერძენიშვილისა და მ. ბერძენიშვილის გამოცემებს — იქ ნომრები აღნიშნულია).

საკითხავია, რით უნდა გაამართლოს ამდენი პუბლიკაციების მიუთითებლობა აკად. ი. დოლიძემ. აღრე გამოცემულ ტომებში ხომ უთითებდა წინა გამოცემლებს? რატომ შეცვალა ეს პრინციპი?

„ქართული სამართლის ძეგლების“ IV და V ტომებში შესული საბუთებიდან (არასრული ცნობით, მთლიანი შეკერება ვერ მოვასწარათ) 180 საბუთზე მეტი გამოქვეყნებულია,<sup>54</sup> მაგრამ

<sup>52</sup> ა. შანიძე, ოქროფორტილითა (მხატვრობაში ხმარებული ერთი შერყენილი ტერმინის გამართვისათვის), საბჭოთა ხელოვნება, 1970, № 8, გვ. 49—51.

<sup>53</sup> ქსდ, IV, გვ. VII, ქსდ, V, გვ. VI.

<sup>54</sup> ქართული სამართლის ძეგლების IV ტომში შესული საბუთები: 3, 31, 36, 39, 43, 98, 111, 195, 251, 263, 293, 331 და V ტ. შესული: 34, 46, 60, 145, 179, 207, 250 და 274 გამოქვეყნებული აქვს ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი“-ს I ტომში.

IV ტომში შესული 11, 15, 16, 19, 29, 42, 65, 69, 80, 96, 101, 191, 194 და 297 საბუთები გამოქვეყნებულია „საქართველოს სიძველენი“-ს II ტომში.

IV ტომში შესული: 241, 322, 324, 330, 371, 376, 390, 424, 458, 462, 502 და V ტომში შესული: 114, 189, 244, 314, 341 და 381 საბუთები „საქართველოს სიძველენი“-ს III ტომშია გამოქვეყნებული.

IV ტომში შესული: 161, 268, 338, 452, 507 და V ტომში შესული 203, საბუთები თ. ჟორდანიას აქვს გამოქვეყნებული.

IV ტომში შესული: 20, 37, 39, 82, 171, 253, 266 და V ტომში შესული 77, 113, 287 და 330 საბუთები ს. კაკაბაძეს აქვს გამოქვეყნებული თავის შრომებში („ისტორიული საბუთები“, IV და V).

IV ტომში შესული № 74, 76, 85, 86, 106, 149, 173, 210, 222, 255, 276, 281, 291, 282, 292, 300 გამოქვეყნებული აქვს აკად. ნ. ბერძენიშვილს: „დოკუმენტები საქართველოს სოციოლური ისტორიიდან“, I, 1940.

IV ტომში შესული: 148, 176, 333, 337, 356, 367, 372, 397, 412, 437, 478, 480, 481, 500, 513, 523, 532 და V ტომში შესული № 9, 69, 209, 295, 316 გამოქვეყნებულია იმავე ავტორის მიერ: „დოკუმენტები სოციოლური ისტორიიდან“, II, 1953.



არა აქვთ მითითება წინა გამოცემების შესახებ. აბა რაღა ფახი აქვს აკად. ი. დოლიძის განცხადებას: („საბჭოთა სამართალი“, № 2, გვ. 86), „რეცენზენტი ამოდ ცდილობს დაამტკიცოს, რომ პუბლიკაციის ჩვენ მიერ აღიარებულ პრინციპებს არ ვიცავთ. ჩვენს გამოცემაში არ არის არცერთი საბუთი, რომლის ფონდი ან პუბლიკაცია მითითებული არ გვქონდეს“-ო. როგორც იტყვიან „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“. ამგვარი მუშაობით გართულმა ვერც კი შეამჩნია, რომ ქართული სამართლის ძეგლების V ტომის წინასიტყვაობაში უპასუხისმგებლოდ განაცხადა: „მითითებულია იმ საბუთების პუბლიკაციები, რომელთა დედნები და პირები დაკარგულად ითვლება“, ამ დროს კი არცერთი ასეთი პუბლიკაცია ამ წინასიტყვაობის მქონე ტომში (V) არ გვხვდება.

ქსდ-ის V ტომში შესულ მასალებზე ერთადერთი დაკვირვება, რომელსაც აკად. ი. დოლიძე აღნიშნავს, არის: „ერეკლე მეორე, რომელსაც რამდენიმე ბეჭედი ჰქონდა, როგორც წესი, განჩინებებს ამტკიცებდა მხოლოდ ერთი ბეჭდით, რომლის ლეგენდა ასეთია:

„მე ფეხგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე“ (გვ. V).

ასეთივე დასკვნა მიღებული აქვს ნ. თარხნიშვილს, რომელსაც ეს საკითხი სპეციალურად დაუფრო სრულად აქვს შესწავლილი თავის წერილში: „მასალები ქართული სურათისტიკის ისტორიისათვის. 1. მეფე ერეკლე II ბეჭდები“.<sup>55</sup>

რომაელების გამოთქმისა არ იყოს, sapienti sat.

\* \* \*

ჩვენ ვწერდით: „აკად ი. დოლიძე არ შეეცადა ერთგვაროვანი ძეგლებიდან ტიპობრივი შეერჩია და ამით შემოფარგულყო“.<sup>56</sup>

ასეთი შენიშვნა მას ადრეც მისცეს. აი რას ვკითხულობთ დასკვნაში იმ კომისიისა, რომელსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების დავალებით შეუსწავლია „ქართული სამართლის ძეგლების“ V ტ. დაბეჭდვის საკითხი: „კომისიის აზრით, აკად. ი. დოლიძემ V ტომით უნდა დაასრულოს „ქართული სამართლის ძეგლების“ სერიის გამოცემა.

ამასთან, კომისიას შესაძლებლად მიანჩნია, რომ დასკვნითი V ტომის მოცულობა რამდენადმე შემცირდეს, ერთგვაროვანი ძეგლებიდან ტიპობრივების შერჩევას გზით“. ი. დოლიძემ ეს დასკვნაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა და V ტომის წინასიტყვაობა ასე დაასრულა: „წიგნის მოცულობის შემცირების გამო ამ ტომის ტერმინთა და საკუთარ სახელთა საძიებლები დაერთვის მეექვსე ტომს, რომელიც XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის სასამართლო განჩინებებს შეიცავს“.<sup>57</sup> ამით, მისი ვარაუდით, VI ტომის გამოცემაც დაიბევა.

როგორც ვხედავთ, აკად. ი. დოლიძე ხშირად ცდება (მაგ. Q 575 ხელნაწერის აღწერის ლ. ქუთათელაძისათვის მაკუთუნება, ავთანდილ მღვიანვეის ბეჭდის ლეგენდის მცდარი წაკითხვა, საბუთის „მცნებაა სასჯულოება“ ტექსტში მუხლებად დაყოფის ნიშნების უარყოფა და სხვ.). ასეთი რამ კიდევ შეიძლება ეპატოს მეცნიერს, ვინაიდან იგი შესაძლოა კეთილხინდისიერად ცდებოდეს, არ იცნობდეს მახალასა თუ ფაქტს. მაგრამ აშკარა სიცრუე კი მეცნიერისათვის (რა რანგისაც არ უნდა იყოს იგი) მიუთქვებელია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე შეეხება ურთიერთობას ისეთ ღიად მეცნიერთან და მოქალაქესთან, როგორიც იყო აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი. თავის პასუხის დასაწყისში აკად. ი. დოლიძე წერს: „ქართული სამართლის ძეგლების შესწავლა ჩვენ ჰერ კიდევ ომამდე, ასპირანტურაში სწავლის დროს დაიწყო, როცა საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობისას ხელმძღვანელობას გვიწვევდა აკად. ივ. ჯავახიშვილი“. ასეთი განცხადებით ი. დოლიძე ხშირად საჭაროდაც გამოდის ხოლმე. ვაცხადებთ, რომ აკად. ი. ჯავახიშვილი არ ყოფილა ი. დოლიძის ხელმძღვანელი, ალბათ, ი. ჯავახიშვილი არც კი იცნობდა მას. სხვა ამბავია, რომ ი. დოლიძეს, ისე როგორც ყველა ისტორიკოსს შეუძლია თავისი თავი ჩივავლოს აკად. ი. ჯავახიშვილის მოწაფედ. მაგრამ ყველამ

IV ტომში შესული № 30, 151, 168, 205, 231, 258, 314, 321, 323, 347, 350, 403 და 408 გამოქვეყნებულია ნ. ბერძენიშვილის და მ. ბერძენიშვილის მიერ: „დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, წ. I, 1962.

<sup>55</sup> საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო. სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, № 13—14, 1966, გვ. 17.

<sup>56</sup> „საბჭოთა სამართალი“, № 1, გვ. 81.

<sup>57</sup> ქსდ, V, გვ. VI.



იცის, რომ ხელმძღვანელობის გაწევა გულისხმობს სისტემატურ კონსულტაციებს, დისერტაციის ნაწილების წაკითხვას, გასწორებასა და სხვ.

როგორი იყო საქმის ვითარება სინამდვილეში? მოლაპარაკება, რომ აკად. ი. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობა გაეწია ი. დოლიძისათვის, მართლაც მიმდინარეობდა. აკად. ი. ჭავჭავაძის თვითონ ი. დოლიძემაც მიმართა ამ თხოვნით. მაგრამ საკითხის გადაწყვეტამდე დიდი მეცნიერი გარდაიცვალა.

ისტორიამ შემოგვინახა ი. დოლიძის წერილი აკად. ი. ჭავჭავაძისადმი, რომელიც დიდი მეცნიერის არქივში ინახება. აი ისიც:

„პატივ-ლო ივანე!

მე ვარ თქვენი ყოფილი სტუდენტი. ვისმენდი თქვენს ლექციებს „ქართული სამართლის ისტორიის“ შესახებ 1933-34 სამოწ(1) წლებში(1) სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე.

გასულ სამოსწავლო წელს მე დავამთავრე იურიდიულ მეცნიერებათა საკავშირო ინსტიტუტი მოსკოვში „საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის განხრით“.

ამ ვამად(1) ვმუშაობ დისერტაციაზე „ქართული ფეოდალური სამართალი ვახტანგ VI კანონების მიხედვით“.

ვინაიდან მოსკოვში სათანადო სპეციალისტის უყოლობის გამო, (1) არ შეეძლოთ (1) დახმარება გაეწიათ ჩემთვის დისერტაციის წერის პროცესში, ამიტომ ინსტიტუტმა (1) მომაგონინა თქვენთან (1) სპეციალური თხოვნით — გამოვიოთ შესაძლო დახმარება დისერტაციის წერის დროს (კონსულტაციების, რჩევა-დარიგებების და სხვადასხვა დახმარების სახით). თქვენი ძვირფასი დახმარების გასამრჩელოს ინსტიტუტი პირდაპირ გადმორიცხავს მოსკოვიდან თქვენს მი. სამართლ(1)

ინსტიტუტის დირექცია და სამართლის ისტორიის სექცია დიდი პატივისცემით და მორჩილებით გთხოვენ თუ შესაძლებლობა გაქვთ დასწეროთ შრომა „ქართული სამართლის ისტორიის შესახებ XVI-XVIII სს.“ დაბოლოს (1) ნება მომეცით (1) ვაგიცხადოთ, რომ მაქვს დიდი სურვილი, როგორც თქვენს მოწაფეს (1) ვიმუშაო მშობლიური სამართლის ისტორიის საკითხებზე თქვენი ხელმძღვანელობით.

მეღდა, რომ თქვენი კეთილი და მზრუნველი ხელი დამხმარებელი დასახული მიზნის მიღწევასა.

დიდი პატივისცემით  
თქვენი მოწაფე — ისიდორე დოლიძე  
21/IX-40 წ. 58

(ყველა ადვილად შეამჩნევს, რომ ამ ერთგვერდიან ბარათში ათზე მეტი უხეში გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომაა).

ამ წერილის მიღების ერთი თვის შემდეგ აკად. ი. ჭავჭავაძის გარდაცვალება.

ამის შემდეგ მკითხველმა თავად განსაჯოს, რა შეფასება უნდა მიეცეს ი. დოლიძის განცხადებას: „დისერტაციაზე მუშაობისას ხელმძღვანელობას გვიწევდა აკად. ი. ჭავჭავაძის“.

ჩვენი პირველი რეცენზია დიდი თავშეკავებით იყო ნაწერი<sup>58</sup>. ბევრ საკითხზე ჩვენ ვლუმდით. არც ეხლა გვინდოდა ახალი საკითხები წარმოგვეჩინა, მაგრამ აკად. ი. დოლიძე თავისი პასუხით იძულებულს გვხდის...

„ქართული სამართლის ძეგლების“ II ტ. ერთვის შეცდომათა გასწორება, რომელიც სრულიად განსხვავებულია (მთელი რიგი ახალი წაკითხვებია შიგ) სხვა ტომებზე დართულ შეცდომათა გასწორებებიდან.

სამწუხაროდ, აქაც ამ შეცდომათა გასწორებაშიც არის შეცდომა. კერძოდ, 46 გვ. ქვემოდან I სტრიქონით მითითებული ტექსტის ახალი წაკითხვა აკად. ი. დოლიძის მიერ მითითებულ ადგილას კი არ უნდა იყოს ჩასმული, არამედ 45 გვ. ქვემოდან 8 სტრიქონის შემდეგ. ამ ტექსტს — „ქ. დამინიშნავს. ქ. დაგუინიშნავს“ — გულისხმობს ნიკოლოზ კათალიკოსი, როცა თავის დამტკიცებაში სწერს: „პატრონთა საუფლოთა ქელითა დაუმტკიცებია“. აკად. ი. დოლიძე კი მას — მეფეთა დამტკიცებას — ყველა დამამტკიცებელთა ტექსტის ბოლოს ურთავს.

რეცენზიის პასუხში „გამოჩენილ ტექსტოლოგთა“ თ. უორდანიას და ე. თაყაიშვილის შეცდომათა ნიმუშებად ასახელებს „ქრონიკების“ II ტ. 170 გვ. და „საქართველოს სიძველენი“, II ტ. 20 გვ. მოტანილ ტექსტებს („საბჭ. სამართ.“ № 2, გვ. 66). ზუსტად იმავე შეცდომებით ეს ტექსტები დაბეჭდილია აკად. ი. დოლიძის გამოცემაში (იხ. II ტ. გვ. 78, 134) ისევე კითხვის ნიშნით, როგორც თ. უორდანიას აქვს მათი (და სხვა მთელი რიგი ადგილების) მართებული წაკითხვები აკად. ი. დოლიძის გატანილი აქვს შეცდომათა გასწორებაში. საკვირველია — ფორმების ჩამოხვედვიდან შეცდომების გასწორების დაბეჭდვის შუალედ დროში შეამჩნია აკად. ი. დოლიძემ ეს შეცდომები და მაშინ ამოიციხა? აკად. ი. დოლიძე ჩვენი რეცენზიის პასუხს

58 ბ. ი. აკად. ივ. ჭავჭავაძის არქივი, № 1712.

59 იხ. ყურნალი „საბჭოთა სამართალი“, № 1, 1975 წ.



ასე ამთავრებს: „სხვა საკითხებზე აღარ შევჩერდებით, მითუმეტეს, რომ რეცენზენტი უმზრახად არის ჩვენთან 1967 წლიდან, როცა ზემდგომ ორგანოებში ანალოგიური „ქებანი“ დაგვიწერა“.

აკად. ი. დოლიძესთან „უმზრახად“ მყოფ მრავალრიცხოვან პირთა შორის ჩემს ყოფნას მე სასახელოდ ვთვლი. ამასთანავე ი. დოლიძეს შევასხენებთ (ეტყობა „დაავიწყდა“), რომ რეცენზენტი მასთან „უმზრახად“ 1954 წლის სექტემბრიდან 1957 წლის მაისამდეც იყო, როცა მან ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ჩვენს მიერ დადგენილი ტექსტის თავისი სახელით გამოცემა განიზრახა. ეს ფაქტიც და 1967 წლიდან მასთან ჩვენი „უმზრახობის“ მიზეზი სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის ცნობილია და მისი ვრცლად გადმოცემა აქ შედმეტად მიგვაჩნია.

განმარტებას თხოულობს აკად. ი. დოლიძის მიერ დვარჭნილად და დემაგოგიურად თქმული „1967 წლიდან ზემდგომ ორგანოებში“ ჩვენ მიერ დაწერილი რაღაც „ქებათა“ შესახებ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არასოდეს არსად მასზე არაფერი დამიწერია.

აკად. ი. დოლიძე აქაც ცდება. იგი ალბათ გულისხმობს 1970 წელს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის სახელზე შეტანილ ჩემს მოხსენებით ბარათს, რომელშიც ვიუწყებოდი მის მიერ ჩემი შრომის მიტაცების ფაქტს. იმ მოხსენებითი ბარათის პასუხს დღესაც ველოდები. ბუნებრივად ისმება კითხვა: რა მიზანს ისახავს ი. დოლიძე, სრულიად ნათელ საკითხებს ასე რომ აბუნდოვებს?

აკად. ი. დოლიძე ამაყად აცხადებს: „პართულ წყაროთმცოდნეობაში ჩვენ არ მოგვეპოვება მეორე ასეთი ვრცელი (ხაზგასმა ჩვენია თ. ე.) პაბლიკაცია“. (აქ აღარ გავიმეორებთ მსგელობას საჭირო იყო თუ არა საკანონმდებლო ძეგლების პუბლიკაციის მოცულობის გასადიდებლად მასში ასობით ისტორიული დოკუმენტის შეტანა). „ჩვენი პუბლიკაცია მეტად საჭირო და სასარგებლო გამოცემაა, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში და დიდ დახმარებას უწევს საქართველოს ისტორიის ყველა დარგის მკვლევართ“ (ხაზგასმა ჩვენია თ. ე.).<sup>60</sup>

თვით მკითხველმა განსაჯოს, შეეფერება თუ არა მეცნიერსა და მკვლევარს ასეთი „თავდაბლური“ განცხადება საკუთარი ნაშრომის შესახებ.

აკად. ი. დოლიძის პუბლიკაციებში შეცდომები, ვიმეორებთ, იმდენია, რომ მათი ამომწურავად აღწერას ეერთ ან ორ რეცენზიაში შეუძლებელია.

ტექსტების გამოცემისას მკვლევარი უშუალოდ პირველწყაროთი (რასაკვირველია, როცა იგი არის) უნდა სარგებლობდეს და, რაც მთავარია, უშუალოდ თვითონ უნდა აკეთებდეს ამას. პასუხსაგებ თანამდებობებზე ყოფნის გამოც, აკად. ი. დოლიძეს ალბათ არ ჰქონდა ამის საშუალება. იქნებ ესეც არის შეცდომების ასეთი სიმრავლის მიზეზი?

<sup>60</sup> „საბჭოთა სამართალი“, 1975, № 2, გვ. 67.



## შინემოსკვადელი



ოცდაათი წელი გავიდა ომის დამთავრებიდან. ბევრს ჯერ კიდევ არ მოშუშებია ომის ჭრილობები. ოცდაათი წელია ჩვენი ხალხი პატივისცემით იგონებს შინმოუსკვლელთ თუ ომგადახდლებს, მათ, ვინც გამარჯვების დღე მოაახლოვა.

მტრის მიმართ შეურიგებელი სიძულვილით წავიდა სამამულო ომში იურისტი შალვა ალანია... წავიდა და აღარ დაბრუნებულა, გმირულად დაეცა მტერთან შეტაკების დროს.

შალვა ვლადიმერის ძე ალანია დაიბადა 1917 წელს ქ. სენაკში რკინიგზელის ოჯახში. საშუალო განათლება იქვე მიიღო. 1939 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იმავე წელს აირჩიეს ცხაკაიას რაიონის ნაქალაქევის უბნის სახალხო მოსამართლედ, 1941 წლის 16 აგვისტოს კი—

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

1942 წლის 10 მაისს სამშობლოს დამცველთა რიგში ჩადგა ლეინტენანტი შალვა ალანია — საარტილერიო ოცეულის მზვერავი. იბრძოდა კავკასიის დაცვისათვის ქ. მოზდოკთან. გამარჯვების ღრმარწმენით ანთებული, სახელდახელოდ, ბრძოლებს შორის ჩამოვარდნილი ხანმოკლე პაუზების დროს, გათოშილი ხელებით იწერებოდა ფრონტული წერილები: „...ყაზბეგის მთები კარგ ამინდში თბილისიდანაც ჩანს. თბილისელი ამ მთებს სიამაყით შეხედავს, როგორც ქართული ბუნების ლაზათსა და თუ მასში ოდნავ მაინც მხატვრული გრძობა ღვივის, მსწარავ პოეტურ აღმაფრენამდე აპყავს გარესახე საქარყინულივით აჩონჩხილი მთებისა. მე, თბილისელი, რომელიც ამ მთებს ვხედავ, არა თბილისიდან, არამედ ჩრდილოეთის მხრიდან — განვიცდი რომანტიკულ აღმაფრენას, მაგრამ არა როგორც მხატვარი ან პოეტი, არამედ, როგორც მეზრძოლი, რომელიც თავისი მამულის დასაცავად ომობს“...

შენაერთმა, რომელშიც შალვა ალანია შედიოდა, საქართველოს გავლით, ქერჩის მიმართულებით გადაინაცვლა. როდესაც მისი ნაწილი ქ. მოზდოკიდან გადაყავდათ ეშელონი ორი საათით ქ. ცხაკაიაში გაჩერდა. შალვა ალანიას საშუალება მიეცა თვალი შეეგლო მშობლიური ქალაქისათვის, შეხვედროდა ახლობლებს. შემდეგ კი ეშელონის ღია კარებიდან თვალწინ ჩაუქროლეს ნაცნობმა მიდამოებმა,, მშობლიურმა მთებმა.

შემდეგ კვლავ ბრძოლები... ქვემეხების გამაყრუებელ ხმაურში ჯარისკაცის ბარათები საქართველოსკენ იგზავნებოდა. თავის თავზე ძუნწად იწერებოდა, უფრო შინდარჩენილთ ამხნეგებდა: „...დედას უთხარი, ჩემზე არ იდარდოს, მე სადარდელი არა-



ფერი დამემართება. თუ ეს ომი ჩემს სიცოცხლეს გახარჯავს, დარწმუნებული იყავით, რომ მაშინაც კი სადარდელი ძალიან მცირე იქნება, რადგან სიცოცხლე, ვისიც არ უნდა იყოს იგი, ბოლოს მაინც სიკვდილით მთავრდება და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში უპირატესობას გმირის სიკვდილი ინარჩუნებს, მაღალი იდეისათვის დაღუპულია...“

შალვა ალანია გმირულად დაიღუპა 1943 წლის 23 იანვარს. ოჯახს სახსოვრად დარჩა მისი პოეტური სიტყვები:

„...მიგრამ, როდესაც ყურს დავუგდებ ჩემს გულის ფეთქვას და ამ მშობლიურ ქვეყანაზე დავალ მთა ბარად, ასე მგონია, თითქოს ჩუმად ბუნებას ეთქვას „შენ არ ჩაქრები — შენ იცოცხლებ მარადეთას, მარად...“

დოღო ნანობაშვილი.



# ეკონომიკა პრეზრუქტი

## ოცდაათი წელი სსრკის მიზნად



ერთი წლისა იყო თინათინ თურქია, როცა მამა გარდაეცვალა. განუცდია თბლობა, ხელმოკლეობა. და-ძმა დედამ გაზარდა. თვრამეტი წელი შეუსრულდა, როდესაც დიდი სამამულო ომი დაიწყო. ახალგაზრდულ სიხარულს საზღვარი დაედო. მიძიმე, საშინელი დრო დადგა. მისი თანატოლი ვაჟები ომში წავიდნენ... მათ მხრებით ზიდეს ომის მიძიმე ტვირთი. მომრავლდა ძაძებით მოსილ ადამიანთა რიცხვი. თინათინი მათ გულწრფელად თანაუგრძნობდა. შემდეგ... შემდეგ კი იყო ომის დამთავრების სიხარულიც.

— რამდენი დრო გასულა, შრომაში წამომეპარა წლები, — ამბობს თინათინი, — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების პირველი კურსის სტუ-

დენტი ვიყავი, 26 კომისრის მეხუთე უბნის სახალხო სასამართლოში რომ დავიწყე მუშაობა სსდომის მდივნად. ჩქარი წერათუ იციო, პირველად ეს მკითხა მოსამართლემ, შემდეგ წყნარად ამიხსნა, თუ რა უნდა მეკეთებინა. რაც მოსდის ხოლმე ყველა ახალბედს, მეც ის მომივიდა: საშინლად დავიბენი, მეგონა თავს ვერ გავართმედი საქმეს... მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა. დრო დიდია, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყველაფერი გუშინ იყო.

ისეთივე ხალისით ამზადებს საქმეებს სსდომაზე გასატანად თინათინი. ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი: საქმის მასალები უნდა გადასინჯოს, პატიმარი გამოიწვიოს ციხიდან, თავისუფლებაში მყოფი უწყების საშუალებით დაიბაროს. მან უნდა შეატყობინოს პროცესის ვადა მოწოდებებს, დამცველსა და პროკურორს, თუ საჭიროა საზოგადოებრივ ბრალმდებელსაც ან დამცველსაც. ხშირად საქმისათვის საჭიროა მთარგმნელის მოწვევაც. ზოგჯერ პროცესში ყრუ-მუნჯები მონაწილეობენ. მერე კი საქმე ჩაბარდება მოსამართლეს. შემდეგ — პროცესი... იწერება ოქმი — სასამართლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი.

თინათინი საუკეთესო დედა და მეუღლეა. ქმარი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში საგემო-სადისპერერო ბიუროს უფროსია. ორი ვაჟი ჰყავთ: უმცროსი — რამაზი — 124-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა; უფროსი — თამაზი



ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, შრომის ნაყოფის სიტკბო რომ იგემა. მეათე კლასში გადასასვლელი გამოცდები რომ ჩააბარა, სხვებთან ერთად ისიც წაიყვანეს ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. კარგი მუშაობისათვის მედლით — „შრომითი მამაცობისათვის“ — დააჯილდოვეს. მალე მამამ თამაზი თავისთან, ქარხანაში წაიყვანა სა-

მუშაოდ, სადაც დღესაც დიდი ხალისით შრომობს და თან ემზადება უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

თინათინ თურქიას ყოველი დღე შინაარსიანია. მან იცის, რომ ჩვენში შრომას აფასებენ. აფასებენ მის უანგარო შრომასაც.

დ. ბაგვალიძე.





# პრობლემათა და საზოგადოებრივი ცხოვრების

## სასარგებლო ნიშნი

საბინაო სამართლებრივი პრობლემების მოწესრიგებას მიეძღვნა ბევრი სერიოზული შრომა, მონოგრაფია, სტატია. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში უკანასკნელ დრომდე საბინაო კანონმდებლობის საკითხებზე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი გამოკვლევა არ არსებობდა. ეს ხარვეზი ერთგვარად შეივსო. ზედიზედ გამოქვეყნდა სხვადასხვა ავტორთა (შ. ჩიკვაშვილი, ს. ჯაფარიძე, ა. კობახიძე, ა. ხოჭოლავა, რ. შენგელია და სხვ.) საგულისხმო შრომები. ბოლო ხანს ქართულ იურიდიულ ლიტერატურას შეემატა პროფესორ ს. მ. ჯორბენაძის მეტად ორიგინალური ნაშრომი „საცხოვრებელი სახლი და მოქალაქეთა საბინაო უფლება-მოვალეობანი“, რომელიც „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა.

ნაშრომი შედგება 3 კარისა და თორმეტი თავისაგან. პირველ კარში, საცხოვრებელი სადგომი ადამიანის უმნიშვნელოვანესი პირობაა, ავტორი საინტერესოდ განიხილავს კაცობრიობის კულტურისათვის საცხოვრებელი სახლის მნიშვნელობას, საცხოვრებელი სახლის ისტორიული განვითარების საკითხებს, სახლის არქიტექტურული და ტექნიკური ელემენტების ცვალებადობას. ავტორს მოჰყავს მეორე საუკუნის უდიდესი არქიტექტორის ლე კორბიუზის შეხედულებები საცხოვრებელ სახლზე როგორც ადამიანის უპირველეს მატერიალურ სიკეთეზე.

საინტერესოა ავტორის მოსაზრება იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს პირობებში (ვანსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) სახლის საეზოვე მიწის ნაკვეთს, რომელიც თავისუფალი იყო ნარგავებისა და ნათესებისაგან, რაც ხელს უწყობდა ჰაერის მოძრაობას და ეზო ფაქტურად სახლის გავრცელებას წარმოადგენდა. ამ თავში მკითხველი ბევრ საინტერესოს შეიტყობს საცხოვრებელი სახლის ისტორიული განვითარების თაობაზე, უბრალო გამოქვაბულებიდან თანამედროვე ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ კომფორტაბელურ ბინებამდე. ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ არსებულ საბინაო სიძნელეებს, ამ სიძნელეთა დასაძლევ ღონისძიებებს, საცხოვრებელი სახლების კონფისკაციის, მუნიციპალაზაციის, სამართლებრივ შედეგებს. რევოლუციის შემდეგ, პირველ წლებში საბინაო

ფონდი, მისი უკიდურესი სიღარიბის გამო. სრულიად არ იძლეოდა საბინაო პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას და ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ მუნიციპალაზაციის შესახებ დეკრეტის ფარგლებიდან გასვლა და ქალაქების თითქმის უმეტესი საცხოვრებლების სახელმწიფოს ხელში გადასვლა, არა თუ არ ნიშნავდა საბინაო საკითხის საბოლოო გადაწყვეტას, არამედ გულისხმობდა პატარა არარენტაბელური სახლების მოვლის სახელმწიფოსათვის მძიმე ტვირთად დაკისრებას ავტორი განიხილავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საბინაო ურთიერთობის სოციალისტურად, გარდაქმნის საკითხებს. კარგად არის განმარტებული აღნაგობის უფლების ინსტიტუტის ცნება, საბინაო კოოპერატიული ამანაგობის სახეები.

ავტორი მრავალ საინტერესო და საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის დადგენილების ირგვლივ — „სოფლად მშენებლობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც გათვალისწინებულია 1974 წლის 1 იანვრიდან სოფლად ინდივიდუალური მშენებლობა სათანადო პროექტის საფუძველზე. ავტორი სოფლის მონაწილეობის სიმპილროვისა და ცხოვრების დონის ამაღლების გათვალისწინებით, სამართლიანად მიუთითებს სოფლის ობტიალური მოდელის შექმნის საჭიროებაზე, სადაც ზოგ სხვა გარემოებასთან ერთად გასათვალისწინებელია ხალხური არქიტექტურის მიღწევები.

მეორე კარში — „საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების ფორმები და სახეები“ — განხილულია სოციალისტური საკუთრების, სახელმწიფო საკუთრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების სამართლებრივი საკითხები.

ბევრი სადავო და პრაქტიკულად გადაუჭრელი საკითხი წარმოიშობა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობასთან დაკავშირებით. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება ყოველთვის არ იძლევა ამ საკითხების სრულყოფილ სამართლებრივ მოწესრიგებას. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ავტორის მიერ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სამართლებრივ მოწესრიგ





გებასთან დაკავშირებით გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება.

ავტორი განმარტავს კოოპერატივის, როგორც სამართლის სუბიექტის ცნებას, ხსნის კოოპერატივის საკუთრების რთულ იურიდიულ ბუნებას, კოოპერატივისა და კოოპერატივის წევრთა მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხებს.

ეხება რა კოოპერატივის წევრობისათვის დადგენილ ასაკს, რომელიც დაკავშირებულია პირის სრულ ქმედუნარიანობასთან, ავტორი მიუთითებს წესდებით გადაუწყვეტელ სიტუაციაზე, როცა კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრედ ოჯახის მხოლოდ არასრულწლოვანი წევრი რჩება. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ექსპლოატაციაში მიღებული, ასევე მშენებარ კოოპერატიული საცხოვრებელი სახლის მიმართ. ავტორი სამართლისანად აყენებს საკითხს, რათა გამოწაკლისის წესით ეს საკითხი კოოპერატივის სანიმუშო წესდების 32-ე და 33-ე პუნქტებში ასახულიყო (გვ. 89).

ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის რიგითობის დადგენის საკითხს (გვ. 92). რიგითობაში ავტორი გულისხმობს პირთა იმ წრის განსაზღვრას, რომლებიც მწვავედ საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას და ამიტომ კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლებით სარგებლობენ. ასეთები არიან მოქალაქენი, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე რაიონული საბჭოს აღმასკომებში საცხოვრებელი ფართობის მისაცემად, დიდი სამამულო ომის ინვალიდები და სხვები. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ რიგითობის ეს წესი არ ეწინააღმდეგება კოოპერატივის შესახებ არსებულ კანონმდებლობას, მაგრამ აქ, ჩემი აზრით, საჭირო იყო ავტორს განემარტა შეიძლება თუ არა კოოპერატივის წევრად მიღებულ იქნეს ის პირი, რომელიც საცხოვრებელი ფართობის მისაცემად აღრიცხვაზე არ არის რაიონული საბჭოს აღმასკომში, რამდენადაც ტერმინი „რიგითობა“ უმთავრესად ასოცირდება აღმასკომების პრაქტიკაში ამჟამად გაბატონებულ წესთან, რომლის მიხედვითაც, ყოველი კოოპერატივში შემსვლელი უნდა იყოს აღმასკომში ბინის მიღების აღრიცხვაზე და თუ კოოპერატივმა მიიღო ისეთი პირი, რომელიც აღრიცხვაზე არ იმყოფება აღმასკომში, არ ამტკიცებს ან გამორიცხავს კოოპერატივიდან.

აღმასკომში საცხოვრებელი ფართობის მისაცემად აღრიცხვას შეიძლება მხოლოდ სარეკომენდაციო მნიშვნელობა ჰქონდეს კოოპერატივის მოთხოვნათა შესაბამისად წევრების დამოძღვრებისათვის, მაგრამ საქართველოს სსრ-

ში მოქმედი არცერთი ნორმატიული აქტი, მათ შორის თბილისში მოქალაქეთა ბინების აღრიცხვაზე აყენის 1972 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული დებულება არ ითვალისწინებს, რომ კოოპერატივში არ შეიძლება მიღებული იქნეს ის პირი, ვინც აღრიცხვაზე არ არის, ან 7 წელი არ ცხოვრობს თბილისში და სხვ. თუ ასეთ პირს დაუპირისპირდა აღრიცხვაზე მყოფი პირი ან ის პირი, რომელიც გათვალისწინებულია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების მე-9 პუნქტში, კოოპერატივის საერთო კრებამ წესდების აღნიშნულ პუნქტში გათვალისწინებულ პირებს უნდა მიანიჭოს უპირატესი უფლება.

ავტორი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ კოოპერატივში ბინის მიღება არცერთ შემთხვევაში არ უნდა გახდეს დამატკოვლებელი მეპაიეთათვის, რომ შემდგომში მათ გაუმჯობესონ საბინაო პირობები (გვ. 98), თუ საამისო საფუძველი აქვთ. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია მათი სხვა საბინაო სამშენებლო კოოპერატივში შესვლა, ოღონდ — სხვა საბინაო კოოპერატიული ბინის მიღების შემდეგ აღნიშნული პირი უნდა გაირიცხოს კოოპერატივიდან წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე. ავტორის ეს მოსაზრება გამომდინარეობს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების 25-ე პუნქტის შინაარსიდან, რომელიც ითვალისწინებს ასეთი პირების კოოპერატივიდან გაირიცხვას მაგრამ, ჩემი აზრით, აქ სიტყვა „გარიცხვა“ არ უნდა იყოს თავის ადგილზე ნახმარი. ასეთი პირი სწორი იქნებოდა ჩაგვეთვალა კოოპერატივიდან გაყვანილად და არა „გარიცხულად“, მიუთმეტეს როდესაც წესდება უშვებს კოოპერატივიდან წევრის ნებაყოფლობით გასვლის შესაძლებლობას (26 პუნქტი).

ავტორი დაწვრილებით განიხილავს და გარკვეული სიცხადე შეაქვს კოოპერატივის წევრ მკუდლეთა და მათი ოჯახის წევრთა მეტად რთულ სამართლებრივ ურთიერთობის საკითხებში. სანიმუშო წესდების 29-ე მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის წევრი იმის გამო გაირიცხა, რომ მასთან ცხოვრება შეუძლებელია, საცხოვრებელი სადგომი რჩება მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთა სარგებლობაში იმ პირობით, რომ ერთი მათგანი შევა კოოპერატივში. სხვა შემთხვევაში კოოპერატივის წევრების გაირიცხვა იწვევს ოჯახის წევრების გამოსახლებასაც. ავტორი განიხილავს, თუ რამდენად სწორია ასეთი სწორხაზოვანი მიდგომა კოოპერატივის ოჯახის წევრებისადმი. ამ თვალსაზრისით, ჩემი აზრით, არ შეიძლება არ აღინიშნოს სანიმუშო წესდების 28 მუხლის „ზ“ პუნქტი, რომლის შინაარსის მიხედვითაც, კოოპერატივის წევრი, რომელიც



უორდეროდ ჩასახლება თუნდაც მისთვის გამოყოფილ ბინაში, არამც თუ გამოსახლება ბინიდან სასამართლოს წესით, არამედ გაირიცხება კოოპერატივიდან. აქ მრავალი სამართლებრივი საკითხი წამოიჭრება, კერძოდ, კოოპერატიულ ბინაზე უფლება არ წარმოიშობა ორდერის საფუძველზე. ამასთანავე თვითნებურად დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეები გამოსახლებებიან ადმინისტრაციული წესით, პროკურორის სანქციით. ეს წესი დადგენილია კანონმდებლობით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 331 მ.). ამდენად წესდებას არ შეეძლო თვითნებობის შემთხვევაში გასახლების სხვა წესი დაედგინა.

ცალკეულ შემთხვევებში თვით აღმასკომები არღვევენ ამ წესს და ორდერებს აძლევენ მოქალაქეებს, რომლებმაც კოოპერატიული ბინები თვითნებურად დაიკავეს ბინაში შესახლებიდან დღეი ღრის გასვლის შემდეგ. ევიქტობ, აღნიშნული ფორმა, რომელიც შეტანილია მარტო-ოდენ საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებაში სასამართლო და კომუნალური პრაქტიკის გათვალისწინებით, ავტორისაგან უფრო ვრცელ და კრიტიკულ განხილვას მოითხოვდა.

ავტორი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ კოოპერატივიდან მებაიეს ნებაყოფლობით გამოსვლა ეს არის კოოპერატივის წევრის მიერ მისი უფლების განკარგვა. კოოპერატივიდან ნებაყოფლობით გასულ წევრს უბრუნდება შეტანილი პაი ფულადი ფორმით, ხოლო გათავისუფლებული საცხოვრებელი ფართობი მიეცემა კოოპერატივის წევრად ახლად მიღებულ სხვა პირს. როცა საკითხი უშუალოდ მებაიეს ეხება, ან თანხმობა მიღწეული არამებაიე ოჯახის წევრებთან ამ დროს ჩვეულებრივად რაიმე დავასთან საქმე არა გვაქვს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ასე როდია იმ შემთხვევისათვის, როცა კოოპერატივის მებაიე ოჯახური დავის გამო ტოვებს არამებაიე ოჯახის წევრებს და სურს კოოპერატივიდან გასვლა პაის გატანით, რაც ბუნებრივია, დაკავშირებულია კოოპერაციული ბინის განთავისუფლებასთან, რითაც ოჯახის წევრთა ინტერესები ილახება. ისმება კითხვა: ასეთ შემთხვევაში გამონაკლისის სახით ხომ არ შეიზღუდოს კოოპერატივიდან ნებაყოფლობით გასვლის „განუსაზღვრელი“ უფლება კოოპერაციულ ბინაში მცხოვრები ოჯახის წევრების თანხმობის გამოთხოვით? კარგი იქნებოდა ამ საკითხზე ავტორს თავისი მოსაზრება გამოეთქვა.

სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუ როგორ უნდა ვადაწყდეს საკითხი საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივის კუთვნილი ბინის დანგრევის დროს.

ავტორი სათანადო ანალიზის საფუძველზე შესაძლებლად თვლის საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივების მიმართ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 325-ე მუხლის გამოყენებას (გვ. 116). მეორე თავში ავტორი საინტერესოდ მომოიხილავს საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებს: საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველები, საცხოვრებელი სახლი — პირადი საკუთრების უმნიშვნელოვანესი ობიექტი, საცხოვრებელი სახლის პირადი მესაკუთრის მოვალეობანი, საერთო საკუთრების საცხოვრებელი სახლები, საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლების შეწყვეტა და სხვ. ავტორი ბევრ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს, რაც ემყარება თეორიისა და პრაქტიკის მასალების ღრმა მეცნიერულ ანალიზს. მკითხველი ამ თავში მთავარი საინტერესო საკითხების პასუხს იპოვის. ავტორი, ეხება რა საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვას, სათანადო სიტყვად შეაქვს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის შეფარდების საკითხში, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი სახლის ან მისი ნაწილის ზღვრულ ოდენობას. ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების შემოღების შესახებ“ განსაზღვრავს, რომ 104-ე მუხლის წესები საცხოვრებელი სახლის (ან მისი ნაწილის) ზღვრული ოდენობის შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს მოქალაქის პირად საკუთრებაში, არ ვრცელდება იმ სახლებზე (ან მის ნაწილზე), რომლებიც აგებულია ან შექმნილია მოქალაქის მიერ 1958 წლის 1 აგვისტომდე. ავტორის მართებული შენიშვნით ამ ბრძანებულებისათვის უკუქცევითი ძალის მიცემა სერიოზულად შელახავდა საცხოვრებელ სახლზე იმ მოქალაქეთა პირადი საკუთრებას, რომლებსაც უკვე ჰქონდა იგი შექმნილი ან აშენებული (გვ. 132). ამ დებულებას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, იმის გამო, რომ საქართველოს სსრ სასამართლო და სანოტარო პრაქტიკა ბოლო წლებში აშკარად მცდარ პოზიციას აღვას, როდესაც უკუქცევით ძალას ანიჭებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104- მუხლით დადგენილ საცხოვრებელი ფართობის ზღვრულ ნორმებს.

სწორია ავტორის მოსაზრება, როდესაც იგი საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლებას უკავშირებს. მაგრამ, ვერ დავეთანხმებით ავტორის კატეგორიულ დასკვნას, რომ, თუ პირს არა



აქვს მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება. მაშინ მას არც ამ ნაკვეთზე აგებულ სახლის საკუთრების უფლება შეიძლება ჰქონდეს და პირიქით (გვ. 127). მიწის სარგებლობის უფლება ყოველთვის როდია დაკავშირებული საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლებასთან. შეიძლება პირი ითვლებოდეს საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ ისე, რომ არ ჰქონდეს მიწის სარგებლობის უფლება (მაგალითად, პირმა მიიღო საცხოვრებელი სახლი მემკვიდრეობით, ჩამოერთვა მიწის ნაკვეთი, რომელზეც საცხოვრებელი სახლი დგას, მიწათსარგებლობის წესების დარღვევისათვის და სხვა). ეხება რა სასოფლო ადგილას სახლის შექმნის საკითხებს, ავტორი აღნიშნავს: „საქმე ისაა, რომ ყველა პირს არ შეუძლია საცხოვრებელი სახლის შექმნა სასოფლო ადგილას. ასეთი უფლება მხოლოდ იმ პირებს აქვთ, ვინც მუდმივად მუშაობს და ცხოვრობს სოფლად“ (გვ. 133). ამ მოსაზრებას არ შეიძლება დავეთანხმოთ. სამოქალაქო კანონმდებლობა სოფლად ასეთ ადგილას არ ითვალისწინებს არამუდმივად მცხოვრებ და მომუშავე პირთათვის. სოფლად სახლის ყიდვის უფლება ყოველ მოქალაქეს აქვს, მაგრამ სასოფლო ადგილას საცხოვრებელი სახლის შექმნისათვის დაწესებულია განსაკუთრებული წესი, კერძოდ, „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ დებულების 41-ე მუხლში მითითებულია, რომ კოლმეურნეობისა ან საბჭოთა მეურნეობაზე მიმავრებულ მიწაზე არსებული შენობის გასხვიების ხელშეკრულების დამოწმების დროს წარდგენილ უნდა იქნეს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება ან საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელის თანხმობა იმის შესახებ, რომ შენობის შემქმნელ სარგებლობაში გადაეცეს მიწის ნაკვეთი“. ეს ნორმა ზოგადია და თანაბრად ვრცელდება ყველა პირზე, ვისაც სასოფლო ადგილას სახლის შექმნის სურვილი აქვს, მიუხედავად იმისა, ქალაქად ცხოვრობენ ისინი თუ სოფლად (იხ. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტება ვაზ. იზვესტია 1974 წ. 10) VIII № 186).

ავტორი განსაკუთრებულ სიღრმითა და ამომწურავად განიხილავს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლს, ორი საცხოვრებელი სახლის ერთი მესაკუთრის ხელში შეთავსების შესაძლებლობაზე და დამაჯერებლად ხსნის, რომ „სწრაფვა, ვთქვათ, მოხუცებულობის დროს პენსიონერების მიერ სოფლად საცხოვრებელ სახლში დაბრუნებისა, სრულიადაც არ არის ჩვენი საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო“ (გვ. 148). ავტორი ასაბუთებს საცხოვრებელი სახლის უნებართვოდ და კანონის დარღვევით მშენებელ პირ-

თა მიმართ ბრძოლის საჭიროების აუცილებლობას. მაგრამ ამავე დროს სწორად შენიშნავს, რომ „გადაჭრით უნდა უარყუთო მცდარი შეხედულება, რომ მოქალაქე, რომელმაც სახელმწიფოს მიერ მისთვის უფალო და უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცემული მიწაზე, სახელმწიფოსა და კოლმეურნეობის დახმარებით და თავისი კეთილსინდისიერი შრომით მიღებული შემოსავლით საცხოვრებელი სახლი ააგო, განვიხილოთ როგორც „კერძო მესაკუთრე“ (გვ. 152).

სწორი არ არის ზოგჯერ საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის გამოყენების საკითხში. საქმე შეეხება საერთო საკუთრების საცხოვრებელი სახლიდან წილის გამოყოფას, როცა საერთო საკუთრების მონაწილეს თავისი სურვილის წინააღმდეგ წილის ფულად კომპენსაციას აძლევენ. იმ მოტივით, რომ საცხოვრებელი სახლის თანაზომიერად გაყოფა შეუძლებელია. ავტორს სათანადო სიზნებად შეაქვს ამ საკითხში და სავსებით მარტულად დასაკენს, რომ პირს ფულადი კომპენსაცია მხოლოდ მაშინ უნდა მიეცეს, თუ იგი ამის თანახმაა, როცა კომპენსაციის მიღება იწვევს საერთო წილადი საკუთრების მოსპობას. მაგრამ კომპენსაციის გამოყენება დასაშვებია ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც საკუთრება არ ისპობა და პირი კომპენსაციას ღებულობს არათანაბარი ფართობის საზღაურად (გვ. 173).

ავტორი მიმოიხილავს რა ყოფილ მეუღლეთა საბინაო უფლებებს, სავსებით სწორად ემბრობა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ საჭიროა ნორმატიული წესით განისაზღვროს ყოფილ მეუღლეთა საბინაო უფლებები, ისე, რომ არ მოხდეს მათ მიმართ დამპირაველის უფლებების თაობაზე არსებული საბინაო სამართლებრივი ნორმების მექანიკური გამოყენება (გვ. 185). როდესაც იხილავს საკითხს პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის სამართლებრივი რეგისტრაციის შესახებ ავტორი მიუთითებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის ძალით შენობაზე საკუთრების უფლებების იურიდიული ფაქტის დადგენის შეუძლებლობას. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მუხლის მე-6 პუნქტის სათანადოდ არ არის ფორმულირებული. აღნიშნული პუნქტი იკითხება: „შენობაზე საკუთრების უფლების ფაქტის დადგენის შესახებ“, მაშინ როდესაც უნდა იკითხებოდეს: „შენობის საკუთრების უფლებით მფლობელობის ფაქტის დადგენის შესახებ“ (როგორც ეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის რუსულ ვარიანტში და რუსურ-სამოქალაქო სამართლის



საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლშია მოცემული). ქართული ტექსტის არასათანადო ფორმულირება აზუნდოვანებს და შინაარსობრივად ცვლის კანონს, რომელიც სინამდვილეში ითვალისწინებს შენობაზე საკუთრების უფლების იურიდიული ფაქტის დადგენას და მხედველობაში აქვს იურიდიული ფაქტის დადგენის შესაძლებლობა მხოლოდ ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც მესაკუთრეს საკუთრების რამდენიმე საბუთები დაეკარგა. სარეცენზო ნაპროისის გამოცემის შეზღუდვით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არეზოლუციის № 1 წლის 28 ივნისის № 748 ბრძანებულებით სარეცენზო კოდექსში დაშვებული შეცდომა ვაპოსწორებულია. ავტორი, ეხება რა საცხოვრებელი სახლების აღების სამართლებრივ საკითხებს, დასაბუთებულად აკრიტიკებს არსებულ წესს, რომელიც გამოიყენება ასაღები სახლის მესაკუთრის მიმართ, როდესაც მას ეძლევა ბინა ან სახლის კომპენსაცია. ავტორი იზიარებს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ აღდგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის დადგენილებამდე არსებული წესი, როდესაც სახლის მესაკუთრეს სახლის ღირებულებასთან ერთად ბინაც ეძლეოდა (გვ. 221). ეს შენიშვნა საყურადღებოა, რადგან სახლის დანგრევის შემთხვევაში ბინა მესაკუთრის მდგმურსაც ეძლევა და უნებართვო სახლის მფლობელსაც.

ავტორი მესამე კარში ვრცლად იხილავს საბჭოთა საბინაო სამართლის საკითხებს, სახელმწიფო-საბინაო ფონდის თავისებურებას და ბინით სარგებლობის ყველა მნიშვნელოვან სამართლებრივ ასპექტს. საკითხები განხილულია ნორმატიული მასალის, სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებათა საფუძველზე. ავტორს სიცხადე შეაქვს თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით რაულ საკითხებში. ავტორი, განიხილავს რა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის (იგი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებს 57-ე მუხლს ეყრდნობა) გამოყენების საკითხს, რომელიც ითვალისწინებს განთავისუფლების შემთხვევაში არაიზოლირებულ მომიჯნავე ოთახის ან ოთახის მომიჯნავე დაცხოვრებას დაქირავებულისათვის გადაცემას, მართებულად უერთდება სამოქალაქო სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1964 წლის 25 მარტის დადგენილებით, როდესაც გათვალისწინა მომიჯნავე ოთახის იზოლირებულად ვადაკეთების ტექნიკური შესაძლებლობა— გაცდა თავის კომპეტენციას და შექმნა ახალი

ნორმა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს (გვ. 307). ავტორი იხილავს რა ბინების გაცვლის სამართლებრივ საკითხებს თვლის, რომ დადგენილ ვალაში თუნდაც ერთი მხარის მიერ გასაცვლელი ორდერის მიუღებლობა გაცვლას ძალადაკარგულად აქცევს (გვ. 341).

ავტორი, ეს დებულება ყველა სიტუაციის მიმართ ზრუნდა იქნას გამოყენებული. თუ ვაცვლის შედეგად ერთ-ერთი მხარე გაცვლილ ბინაში ორდერით შესახლდა, გაცვლაში მონაწილე რომელიმე მხარის მიერ ორდერის მიუღებლობას თავისთავად არ შეუძლია გაცვლა ძალადაკარგულად აქციოს, ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია გაცვლა ცნოს კანონიერად. ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლოს არ ექვემდებარება ღია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 320-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე. ი. მაშინ, როცა საცხოვრებელი ფართობის გაცვლა სურთოდ აკრძალულია (გვ. 343). ავტორის ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 320-ე მუხლი არ ეხება სასამართლო ქვემდებარეობის საკითხს. იგი მხოლოდ ჩამოთვლის იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში ბინების გაცვლა არ შეიძლება და ეს სათანადო ორგანოებს საფუძველს აძლევს უარი განაცხადონ ბინების გაცვლის თანხმობაზე, მაგრამ ეს უარი ამავე კოდექსის 319-ე მუხლის შესაბამისად შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. გარდა იმ შემთხვევისა, როცა საცხოვრებელი ფართობი მოქალაქის პირადი საკუთრების სახლში იცვლება. ავტორი სათანადოდ ასაბუთებს და შესაძლებლად სთვლის ბინების იძულებითი წესით გაცვლას მაშინაც კი, როდესაც ერთად ცხოვრების შეუძლებლობა შექმნილია მობინადრის არაბრალეული მოქმედებით, არამედ მორალურ-საყოფაცხოვრებო პირობებით (მაგ. ყოფილი ცოლქმრის ცხოვრება ერთ ბინაში), თუმცა ეს საკითხი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით.

ავტორი, იხილავს რა საცხოვრებელ სახლზე უფლების დაკარგვას, მიუთითებს, რომ კოპერატივის წევრობა არ არის ვალიდო განსაზღვრებული. ამიტომ საბინაო-სამშენებლო კოპერატიულ ბინაში ხანგრძლივად არყოფნა წევრს თავისთავად არ ართმევს უფლებას ბინაზე. ეს დებულება გამომდინარეობს თვით საბინაო-სამშენებლო კოპერატივისა და კოპერატივის წევრობის ბუნებიდან. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ხარეცენზო ნაშრომის გამოცემის შემდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 ივნისის № 358 დადგენილებით დამატება იქნა შეტანილი საბინაო-სამშენებლო კოპერატივის წესდებაში და გათვალისწინებულ იქნა კოპერ-



რატვის წერის გარიცხვა მის სხვაგან მუდმივად საცხოვრებლად გადასვლის შემთხვევაში, რაც ჩემი აზრით, არცთუ სავსებით შეესაბამება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სამართლებრივ ბუნებას.

ავტორი საინტერესოდ განიხილავს საცხოვრებელი ბინიდან დამქირავებლის გამოსახლების საკითხებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მას აქვს პირადი საკუთრების სახლი, რომელშიც შეიძლება ცხოვრება. ამასთან დაკავშირებით ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს ამ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილების მე-15 პუნქტს, რომელსაც აკლია სათანადო სიზუსტე. (გვ. 409).

ერთ სარეცენზიო წერილში შეუძლებელია ნაშრომში განხილული ყველა საკითხის მიმოხილვა. ჩვენ შევეჩეთ მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ნაშრომში. ავტორი თითქმის არცერთ სადავო და კანონმდებლობით დაუმუშავებელ საკითხს არ უვლის გვერდს და ამ საკითხებზე მეცნიერული სიღრმით დასაბუთებულ ორიგინალურ შეხედულებებს გამოთქვამს.

ნაშრომში არ იგრძნობა ის ტრაფარეტული და მშრალი სტილი, რაც ესოდენ დამახასიათებელია

ბელია სამართლებრივ თემებზე დაწერილი ლიტერატურისათვის ამიტომაც არის, რომ ნაშრომი საინტერესოდ იკითხება და სამართლებრივი თემის პუბლიცისტურად თხრობის იშვიათი ნიმუშია. ნაშრომში გვხვდება ცალკეული ტექნიკური, კორექტურული შეცდომები (გვ. 31—32-96). შენიშვნების უმრავლესობა თვით თემის ხირთულიდან და განხილულ საკითხთა მომწესრიგებელი ზოგიერთი სამართლებრივი ნორმების არასრულყოფილებიდან გამომდინარეობს, რაც სრულიადაც არ ამცირებს ნაშრომის მაღალ თეორიულ დონეს.

პროფესორ ს. ჯორბენაძის ნაშრომი „საცხოვრებელი სახლი და მოქალაქეთა საბინაო უფლება-მოვალეობანი“ იურიდიულ ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი დიდად დაეხმარება მართლმსაჯულების ორგანოებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონულ და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს საბინაო საკითხების სწორად გადაწყვეტაში, და ამ საგნის შესწავლით დაინტერესებულ ტუდენტებს, აგრეთვე სხვა პირებს.

### გ. დევდარიანი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი



# ინფორმაცია

## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო პლენუმი

ა. კარანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თ. შავგულიძისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების 1974 წლის მუშაობის შედეგები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში კოლეგიები დიდ ყურადღებას უთმობდნენ რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებას, მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდაში სამსჯავრო პროცესების მნიშვნელობის ამაღლებას, კოლეგიების საქმიანობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვასა და თანამშრომელთა შორის დისციპლინის განმტკიცებას.

კოლეგიებმა საკმაო შრომა გასწიეს დანაშაულის ხელის შემწყობი მიზეზების გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის, აგრეთვე მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლებისათვის.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ვადები. თუ 1973 წელს ვადის დარღვევით განხილული იყო სისხლის სამართლის საქმეთა 28 პროცენტი, 1974 წელს — 9 პროცენტი.

შემცირდა სახალხო სასამართლოებზე საქმეთა აცილების შემთხვევები.

ხორციელდება ღონისძიებანი სამოქალაქო დავების სწორად და დროულად გადაწყვეტისა და ცალკეული კატეგორიის საქმეებზე ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენისათვის. გაუმჯობესდა სახალხო სასამართლოებისადმი დახმარება, მომთხოვნელობა და კონტროლი, ზედამხედველობის წესით საჩივრების შემოწმების ხარისხი და ვადები. კოლეგიამ პირველი ინსტანციით განიხილა რთული და გაჭინურებული

საქმეების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. ამის შედეგად რესპუბლიკაში შემცირდა განმეორებითი საჩივრების, საკასაციო და ზედამხედველობის წესით გასაჩივრებულ საქმეთა რიცხვი.

კოლეგიები განაზოგადებდნენ რთული კატეგორიის საქმეებს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის წინაშე აყენებდნენ საკითხებს სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო მითითებების მისაცემად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესაბამისად კოლეგიებმა გააუმჯობესეს კონტროლი სადირექტივო ორგანოთა მითითებებისა და მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი. ხორციელდება ღონისძიებები სასამართლო დოკუმენტების აღსასრულებლად მიქცევის ოპერატიულობის გაზრდისათვის.

მაგრამ კოლეგიების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის რესპუბლიკაში მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

ჯეროვნად არ სრულდება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილების მითითებები. აღმინისტრაციული ორგანოები სუსტად ეწევიან ბრძოლას ჩვენი საზოგადოებისათვის ისეთი უცხო მოვლენების წინააღმდეგ, როგორც არის სახელმწიფოებრივი ქონების გატაცება, მეჭრთამეობა, სპეკულაცია და სხვ. სასამართლოები სათანადოდ ვერ ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებს სოციალისტური საკუთრების გატაცების, ვაჭრობაში და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. გვხვდება მიღებულ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის, აგრეთვე სასამართლო დოკუმენტების აღსასრულებლად მიქცევის გაჭინურების ფაქტები.



კოლეგები ჯერ კიდევ ვერ ახდენენ ქმედითს გავლენას რესპუბლიკაში მართლმსაჯულების განხორციელებაზე, ყოველთვის არ ხდება საქმეთა სწორი, კანონის შესაბამისი გადაწყვეტა. არის შემთხვევები, როცა ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენი არ შეესაბამება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის დადგენილებას „სასამართლო განაჩენის შესახებ“, არ არის აღმოფხვრილი საქმეთა განხილვის გაჭიანჭურების შემთხვევები, ხშირად უყურადღებოდ რჩება სამოქალაქო დავების მიზეზები და კანონდარღვევის ცალკეული ფაქტები, განსაკუთრებით შრომისა და საბინაო დავების დარღვევის დროს.

საქმეთა გადაწყვეტისას კოლეგიის წევრებს ზოგჯერ უხეში შეცდომები მოსდით. ვხვდებით ცუდად გამოძიებული საქმეების წარმოებაში მიღების, საქმეთა ზერელედ განხილვის, მტკიცებათა არასწორი შეფასების, დაუსაბუთებელი განაჩენის დადგენისა და კანონის შეუსაბამო სასჯელების დანიშვნის ფაქტებს. კოლეგიების წევრებს ყოველ საჭირო შემთხვევაში არ გამოაქვთ კერძო განჩინებები და ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე არ აყენებენ კანონის დამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხს. არ არის აღმოფხვრილი მოქალაქეთა უკანონო მსჯავრდების, საჩივრების გაჭიანჭურების, საქმეთა საესკაციო წესით არაკანონიერად განხილვის ფაქტები.

ყოველთვის არ სწორდება ქვემდგომი სასამართლოების შეცდომები, ზოგჯერ უსაფუძვლოდ უქმდება ან იცვლება სახალხო სასამართლოების განაჩენები და გადაწყვეტილებები, რასაც შედეგად უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმისა და პლენუმის ძლიერ დატვირთვა, საქმეთა გადაწყვეტის გაჭიანჭურება და მოქალაქეთა საფუძვლიანი გულისწყრომა მოსდევს. კოლეგიების წევრები არ იჩენენ პრინციპულ-პარტიულ დამოკიდებულებას ქვემდგომი სასამართლოების მიმართ კანონის უხეში დარღვევის დროს.

კოლეგიების განჩინებები ზოგჯერ მოკლებულია სათანადო დასაბუთებულობას, არ მიუთითებენ ნორმატიულ აქტებზე, საჩივრებში დაყენებულ ყველა საკითხს არ ეძლევა ამომწურავი პასუხი.

ჯერ კიდევ არაფექტურია დანაშაულის თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ხაზით ჩატარებული მუშაობა. იგი ყოველთვის სათანადოდ არ არის კოორდინირებული პროკურატურის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოების შესაბამის რგოლებთან.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ივ. შორდანამ: უკანასკნელ ხანს ხშირად ლაპარაკობენ თითქოს სახალხო სასამართლოების ნაკლოვანებებში ბრალი მიუძღვით უმაღლესი სასამართლოს შესაბამის კოლეგიებს, რომლებიც უსაფუძვლოდ ცვლიან და აუქმებენ განაჩენებს და ამით მაჩვენებლებს უფუჭებენ მათ. ეს ბრალდება დაუსაბუთებელია. ყველაფერი რომ უმაღლესი სასამართლოს გადაბრალდეს და არაფერი ითქვას სახალხო სასამართლოების სერიალულ შეცდომებზე, სწორი არ იქნება. ასე მაგალითად:

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 75 წლის მოხუცს, სამართალში არყოფილს, სხვა დროს არაფერში შენიშნულს, სამამულო ომის მონაწილეს 1 წლისა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა იმისათვის, რომ დაზარალებულს ხელის ვარტყმით სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა. იგი პროცესზევე აიყვანეს პატიმრობაში. კოლეგიამ სასჯელი პირობითად ჩაუთვალა.

კასპის რაიონის სახალხო სასამართლომ გმირ დედას, რომელმაც 11 შვილი აღზრდა, სამართალში არყოფილს, 70 წლის მოხუცს და მის რძალს, 4 შვილის დედას, რომელთაგან ერთი ქუძუმწოვარა ჰყავდა, 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს იმისათვის, რომ ინვალიდი შვილისათვის სოცულურწველყოფის განყოფილების გამგეს ავტომანქანა „ზაბოროუეცის“ გამოტანის დასაჩქარებლად შესთავაზეს 100 მანეთი. გამგემ ეს თანხა არ აიღო და აქტი შეადგინა. კოლეგიამ ორივეს პირობითი მსჯავრი დაუნიშნა. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ხშირად განაჩენებში არ არის დასაბუთებული სასჯელი. ამით უხეშად არის დარღვეული საქართველოს სსრ სსსკ 317-ე მუხლის მოთხოვნა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის № 4 დადგენილება „სასამართლო განაჩენის შესახებ“. ვინაშე იძლევა ძალაში დარჩენს განაჩენი, სადაც სასჯელი დასაბუთებული არ არის? კანონში მხოლოდ ის რომ ითქვას, რომ სამართალში მიცემული დამნაშავეა და არაფერი ითქვას იმის შესახებ თუ რატომ მიესაჯა მსჯავრდებულს ეს სასჯელი? სამწუხაროდ, ჩვენ ასეთ განაჩენებს თვალს ვარიდებთ და არაფერს ვამბობთ. კანონის თანახმად არც ერთი ასეთი განაჩენი ძალაში არ უნდა დარჩეს. ჩვენი ბრალი ის არის, რომ ამ დარღვევებს ვურიგდებთ და არ ვიჩენთ პრინციპულულობას.

სახალხო მოსამართლეებს სურთ ასეთი განა-



ჩენები ძალაში დარჩეს და ამით გაიუმჯობესონ მაჩვენებლები მომავალი არჩევნებისათვის. ჩვენ გვესმის მათი მდგომარეობა, მაგრამ საქართველოს სსრ უმადლესი სასამართლოს საქმიანობას მათი საარჩევნო კამპანიის შემადგენელ ნაწილად ვერ გადავჭყვევთ. მართლმსაჯულების განხორციელება კანონის შესაბამის განაჩენებს ითხოვს.

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების გამგემ გ. ცირამუხაძე: სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლას ყოველთვის ექცეოდა დიდი ყურადღება. ამჟამად პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინა პლანზე წამოაყენა მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხი და ამიტომ დადგენილებაში უნდა ითქვას ამ საკითხზე. საკავშირო პროკურატურამ ამასწინათ შეამოწმა საქართველოს სსრ პროკურატურის საქმიანობა და აღნიშნა, რომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების მხრივ რესპუბლიკაში სახარბიელო მდგომარეობა არ არის. როგორც გამოძიების დროს, ასევე განაჩენშიც სავალდებულოა ითქვას, რომ ყადაღადადებული ქონება შექენილი არის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით. ეს სამწუხაროდ განაჩენებში მეტად იშვიათად გვხვდება. ასე მაგალითად ლაზიშვილების განხილულ საქმეზე დადგენილ განაჩენში ერთი სიტყვაზე არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ის ავარაკები და სხვა ქონება, რომელთაც ყადაღა დაედო, შექენილი იყო გატაცებული ქონებით.

საქართველოს სსრ უმადლესი სასამართლოს წევრმა გ. ბახტაძემ: საკასაციო წესით ჩატარებული პროცესები უხარისხოა. ჩვენ შევიჩვიეთ, რომ საკასაციო კოლეგიაში დიდი ოდენობით იხილება საქმეები. არავინ არ დაფიქრებულა, თუ კოლეგიამ დღეში რამდენი საქმე შეიძლება განიხილოს.

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების გამგემ უ. კობახიძემ: თუ სადმეა საჭირო კოორდინაცია, ჩემი აზრით, ეს ყველაზე მეტად საჭიროა უმადლესი სასამართლოს სიხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიასა და რესპუბლიკის პროკურატურის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილებას შორის. ეს მეტად აუცილებელია კანონიერი განაჩენებისა და განჩინებების დადგენისათვის. არ იქნებოდა ურიგო, თუ კოლეგია და განყოფილება კვარტალში ერთხელ ჩაატარებდნენ საწარმოო თათბირს და იმსჯელებდნენ რატომ გაუქმდა სახ. სასამართლოს განაჩენები, კოლეგიის განჩინებები, როგორი იყო პროკურატურის პოზიცია, რაინი დაუშვა შეცდომა მოსამართლემ და ა. შ.

ეს დაგვეხმარება, რომ ერთგვაროვნად ვუხელმძღვანელოთ სახალხო სასამართლოებს და გვექონდეს ერთიანი დასჯითი პრაქტიკა მთელ რესპუბლიკაში.

სახალხო სასამართლოებს რატომღაც ჯერ კიდევ აქვთ ძველი შეხედულება იმის თაობაზე, თითქოს მათი მუშაობა დასჯითი პრაქტიკის პროცენტებით განისაზღვრება და ცდილობენ ამ პროცენტების გაზრდას. საკითხისადმი ასეთი მიდგომა უსწორია და ეს უნდა იცოდნენ სახალხო სასამართლოებმა. დასჯითი პრაქტიკა კანონის შესაბამისი უნდა იყოს.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვლ. მიახურაძე: უმადლესი სასამართლოს ზოგიერთ წევრს ასე წარმოუდგენია — თუ ბევრ განაჩენსა და გადაწყვეტილებას გააუქმებს, ამას მკაცრ მოთხოვნად და კანონის ზუსტ დამკველად მიიჩნევენ. რასაკვირველია, ერთ ეტაპზე ასეა, მაგრამ ნუ დაგვაფიქვდება, რომ ამ ეტაპს მეორე ეტაპი მოჰყვება, როდესაც გვეტყვიან: ერთხელ გააუქმეთ, მეორედ... დააყენეთ საკითხი, რომ ეს მოსამართლე უფარგისია? მოითხოვეთ მისი გამოწვევა? თუ არა, მაშინ უმადლესი სასამართლოს წევრმაც უნდა გაინაწილოს მოსამართლის ბრალი. ამ საკითხს ობიექტურად უნდა მივუდგეთ.

საქართველოს სსრ პროკურატურის მოვალეობის შემსრულებელი ლ. თალაკვაძე: როდესაც ვამბობთ ჩვენს შორის კოორდინაცია არისო, ეს უფრო ზრდილობის ამბავია. სინამდვილეში არავითარი კოორდინაცია არ არსებობს, ხოლო თუ არის, ისიც შემთხვევიდან შემთხვევითობამდე. ამ პრობლემის მოგვარება კი ჩვენთვის ძალიან საჭიროა. ყველაფერი უნდა გადავდოთ და მას დიდი გულსისყური უნდა მივაპყროთ, სადავო საკითხებზე ერთ აზრამდის მივიდეთ და კანონიერება უსტრდება უნდა გავატაროთ.

დასჯითი პრაქტიკის შესახებ. ამ რამდენიმე დღის წინათ იუსტიციის სამინისტროში პარაზიტული ცხოვრების კანონპროექტზე მსჯელობდნენ, ბჭობდნენ როგორ უნდა დამძიმდეს მუხლი ამ დანაშაულის შესახებ. რისთვის გვჭირდება ეს? ამ მუხლს ჩვენ ძალიან იშვიათად ვიყენებთ. ამ დროს კი ასეთი პირი ძალზე ბევრია. ჩემი აზრით, როდესაც ლაპარაკია დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერებაზე და როდესაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჯერ საქმარისად არ ივრძნობა ჩვენი კანონის სუსხი და სიმძიმე, იგულისხმება, რომ ჩვენ ეს კანონი უნდა გამოვიყენოთ. მოვიყვან ერთ მაგალითს. ქ. თბილისის პროკურატურა ვ. რაზმაძემ ქალაქში პარაზიტულ ელემენტებთან ბრძოლის მდგომარეობა შეისწავლა, შემდეგ



ინფორმაციით შევიდა ქალაქის პარტიულ კომიტეტში. ამის შემდეგ გაიზარდა გამოვლენილი პარაზიტული ელემენტების რიცხვი.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე **გ. ტყეშელაძე**: უპირველესად თვალშისაცემი ერთგვარი გათიშულობა რესპუბლიკის იურიდიულ დაწესებულებათა შორის. იგრძნობა უწყებრივი კარჩაკეტილობა. არ ჩანს ერთიანი, წმინდა პარტიული, მასშტაბური მიდგომა მართლმსაჯულების პრობლემებისადმი.

ფრად მნიშვნელოვანია კოორდინაციის საკითხი. ეს იმას ეხება, თუ როგორ გავცვალოთ ჩვენ ერთმანეთში ინფორმაცია. ცნობილია, რომ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის გარეშე მართვა შეუძლებელია. ჩვენ კი ამ პირობას არ ვიცავთ, ერთი უწყება არ ეცნობა მეორე უწყების ინფორმაციას და შემდეგ ისინი ურთიერთსაწინააღმდეგოდ დადგენილებებს ღებულობენ. თანაც ეს ხდება მართლმსაჯულების სფეროში, სადაც არასწორად მიღებულ გადაწყვეტილებას შეიძლება აუწყრელი დანაკლისი მოჰყვეს. მე ხელთა მაქვს ორი დოკუმენტი. ერთი დღევანდელი პლენუმის დადგენილების პროექტი და მეორე — იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება. მათში სხვადასხვაგვარი ინფორმაციაა ერთი და იგივე საკითხზე — სასამართლობის მდგომარეობაზე. რომელ დოკუმენტს დავუჯეროთ? ბუნებრივია, რომ მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისათვის საჭიროა დროული და ოპერატიული ინფორმაცია. განა არ შეიძლება, ვიდრე აქ გამოვიტანდით დადგენილების პროექტი განსახილველად იუსტიციის სამინისტროში ვაგზავნილიყო და პირიქით, ვიდრე იუსტიციის სამინისტრო ამ საკითხს გაიტანდა კოლეგიაზე, ამ დადგენილების პროექტი უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობისთვის გაეგზავნა? ეს აუცილებელი იყო. ამის შედეგად ამ საკითხზე შეიქმნებოდა ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რაც თავის მხრივ გარკვეულ ზეგავლენას მოახდენდა სახალხო სასამართლოების მუშაობაზე.

სასჯელის დანიშვნა მოსამართლის მოღვაწეობის ყველაზე უმაღლესი პუნქტია, შეფასების უმაღლესი საფეხურია. მოსამართლე ამოწმებს მტკიცებულებებს, აფასებს მოწმეთა ჩვენებებს, ექსპერტის დასკვნებს და ა. შ. და ყველაფერი ეს თავს იყრის კვალიფიკაციისა და ბოლოს სასჯელის განსაზღვრაში. გასაოცარია, ამ ყველაზე ურთულესი, საპასუხისმგებლო საკითხის შესახებ, როცა ასეთი განსხვავებული შეხედულება არსებობს. შთანბვდილება ასეთია: ჩვენ ღრმად არ შეგვისწავლია დასჯითი პრაქტიკა, დასჯითი

პოლიტიკა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ითქვა: ჩვენ ადამიანებს შაბლონურად არ უნდა მივუდგეთ, უნდა მოვახდინოთ პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია. ეს, რასაკვირველია, შეეხება როგორც იუსტიციის სამინისტროს, ისე უმაღლეს სასამართლოს. დასჯითი პრაქტიკა ღრმად და დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი. მიზანშეწონილი იქნება, თუ უმაღლესი სასამართლო, იუსტიციის სამინისტრო და რესპუბლიკის პროკურატურა შეადგენენ დაწვრილებით მოხსენებით ბარათებს ამ საკითხზე, ამ უწყებების მოსახურებებს ვაგაერთიანებთ, რათა ერთხელ და სამოლოოდ გადავწყვიტოთ ეს საჭირობო პრობლემა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა **ლ. ჩორგოლაშვილმა**, **ივ. გოგილაშვილმა**, **ლ. წერეთელმა**, **ა. გეგენავამ**, **ო. გველესიანმა**.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის **ა. ცინცაძის** მოხსენების საფუძველზე პლენუმმა განიხილა „სასამართლო პრაქტიკა მუშა-მოსამსახურეების სამუშაოზე აღდგენის შესახებ“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა **გ. დევდარიანმა**, **ა. ქუშისაშვილმა**, **ნ. ბაღაძემ**, **პროფ. ნ. წერეთელმა**, საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს გამგემ **ვ. შარაშენიძემ**, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ **დ. მაქარაშვილმა**, **ქ. თბილისის** 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **ა. გეგია**, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ **გ. ხელაძემ**, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების გამგემ **გ. ცირამუამ**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **გ. იოსავამ**.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლოებში სამუშაოზე აღდგენის საქმეების განხილვისას კვლავ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები. სასამართლოები ზოგჯერ არასრულყოფილად, ზერელედ, საქმის ფაქტიური გარემოებების გაუთვალისწინებლად იხილავენ საქმეებს, რაც იწვევს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში ამ გადაწყვეტილებების გაუქმებას.

ზნობრივად საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელობის მიერ პროფესიული კავშირების ადგილკომებთან წინასწარ შეუთანხმებლად მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის ფაქტები. 365 შესწავლილი საქმიდან სასამართლოებმა 110 მუშა-მოსამსახურე აღადგინა იმის გამო, რომ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს მუშაკის



განთავისუფლების საკითხი არ ჰქონდათ შეთანხმებული პროფესიული კავშირის საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივ კომიტეტთან.

სასამართლოები ჯერ კიდევ არ ატარებენ მთელი სიმკაცრით კანონით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას იმ პირების მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მუშა-მოსამსახურეთა კანონის აშკარა დარღვევით სამუშაოდან გათავისუფლებაში. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას ჯერ კიდევ არღვევენ საქართველოს სსრ სსრ-მოქალაქე სამართლის საბროცესო კოდექსის 106-ე მუხლით დადგენილ ვადებს. თითქმის ყოველ განხილულ მეხუთე საქმეზე დარღვეულია ვადები.

პლენუმმა მოითხოვა სასამართლო პრაქტიკაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებისას გულდასმით უნდა შემოწმდეს მოცემული დავის სასამართლოს განსჯადობის საკითხი. სასამართლოებმა განუხრებლად უნდა იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 20 მაისის ბრძანებულებით დამტკიცებული შრომის დავების განხილვის წესის შესახებ დებულებით № 1 ნუსხით. აქ მოცემულია იმ მუშაკთა სია, რომელთა დავა სამუშაოზე აღდგენისა, სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ წესრიგდება ხელშეწყობის წესით შედგგომი ორგანოს მიერ და სასამართლოს განსჯადი არ არის.

ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლა დაოშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკითხი წინასწარ შეთანხმებულია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივ კომიტეტთან. მუშაკის დათხოვნის შესახებ ბრძანების გაფორმების შემდეგ ადმინისტრაციის მიერ საკითხის ადგილკომთან შეთანხმება ჩაითვლება საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის უხეშ დარღვევად და დათხოვნილი მუშაკი აღდგენილი უნდა იქნეს დაუყოვნებლივ.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად მუშებს და მოსამსახურეებს უფლება აქვთ მოშალონ განუხარჯრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, მაგრამ ამის შესახებ ორი კვირით ადრე წერილობით უნდა გააფრთხილონ ადმინისტრაცია. ორი კვირის ვასკლამდე ადმინისტრაციას არა აქვს უფლება გაათავისუფლოს მუშაკი, თუ თვით მუშაკი არ ითხოვს ორ კვირაზე ადრე გათავისუფლებას. ამ მიზეზით მუშაკის გათავისუფლების საკითხის სასამართლოში განხილვისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს განცხადების დაწერის მოტივი. უკეთუ დადგინდება, რომ

განცხადება სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ დაწერილია იძულებით, სასამართლო მოვალეა გათავისუფლება უკანონოდ ჩათვალოს და მუშაკი აღდგენოს სამუშაოზე.

პლენუმმა განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ივ. სუმბათაშვილის მოხსენება „არასრულწლოვანთა დანაშაულობებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 3 ივლისის № 6 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ამ საკითხის განხილვისას ბევრ საინტერესო საკითხს შეეხნენ კამათში გამოსულნი: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ლორია, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები ე. ცაბოლოვა, ე. ჩიქვინიძე, საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილების უფროსი თ. ფიცხვერია, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების გამგე ი. ჯღნეტი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ზ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე შ. ხუჭუა.

როგორც პლენუმმა აღნიშნა, საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების პრაქტიკის განზოგადების მასალებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთი სასამართლო ზერელედ და ფორმალურად იხილავს არასრულწლოვანთა დანაშაულობის საქმეებს, ყოველთვის არ აპრულებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილებასა და „არასრულწლოვანთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 30 ივნისის № 4 დადგენილების მიითვებებს.

არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას სასამართლოებში ხშირად გვხვდება მტკიცებულებათა არასწორი შეფასება და არასრულწლოვანთა უსაფუძვლოდ დასჯა.

სასამართლოები ყოველთვის არ ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების მე-7 პუნქტით და მსჯავრს დებენ არასრულწლოვანებს, რომელთა ქმედობა, თუმცა ფორმალურად კი შეიცავს საქართველოს სსრ სსკ ამა თუ იმ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ მისი სუბიექტისა და სუბიექტური მხარის თავისებურებათა მხედველობაში მიღებით იმდენად უმნიშვნელო საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, რომ მათ მიმართ



აუცილებელია საქართველოს სსრ სსსკ მე-8 მუხლის გამოყენება.

სასამართლოები ჯერ კიდევ უფარდებენ არასრულწლოვანებს მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას, მაშინ, როდესაც შესაძლებელია მათ შეუფარდონ სასჯელის ისეთი ღონისძიება, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ იქნება დაკავშირებული ან გადასცენ ისინი აღსაზრდელად საზოგადოებას.

ამავე დროს სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება დამამძიმებელ გარემოებებში დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანის მიმართ გაუმართლებლად ღმობიერი სასჯელის ღონისძიების შეფარდების შემთხვევები.

ჯერ კიდევ უხეშად ირღვევა საპროცესო ნორმები არასრულწლოვანთა მიმართ საქმეების განხილვის დროს. არასრულწლოვანების სამართალში მიცემისას ირღვევა საქართველოს სსრ სსსკ 229-ე, 230-ე და 231-ე მუხლები.

პლენუმმა სასამართლოების ყურადღება გამაზვილა არასრულწლოვანთა საქმეებზე სასამართლო პროცესის განსაკუთრებული გულისყურით მომზადებაზე. თითოეულმა პროცესმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს არა მარტო მსჯავრდებულზე, არამედ მის მშობლებზე, სხვა მოზარდებსა და იმ პირებზე, რომელთაც ევალებათ არასრულწლოვანის აღზრდა.

სასამართლო პროცესი ისე უნდა ჩატარდეს, რომ არასრულწლოვანის აღზრდისთვის პასუ-

ხისმგებელმა ყველა პირმა შეიცნოს პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე და შემდგომ თავიანთ საქმიანობაში იხელმძღვანელონ ამით.

სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ მიზეზებსა და პირობებს, რომლებმაც უბიძგეს არასრულწლოვანს ანგარებითი დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) ჩადენისაკენ და მიიღონ პროფილაქტიკური ხასიათის ყველა ზომა მათ აღსაკვეთად.

სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებმა ყველა დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად კოორდინირება უნდა მოახდინონ თავიანთი ღონისძიებებისა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობასთან ბრძოლაში და მკაცრი კონტროლი გაუწვიონ შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ აკ. კარანაძემ.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე.

ლ. იხაბაძე



6103/133



წიგნი 50 333.

ИНДЕКС 76185

# საბჭოთა სამართალი № 3

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Министерства Юстиции Грузинской ССР